# ლელო

ლელო ბეჭდვითი მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 თებერვალი **შაბათი** 2011

№046 (13343) ფასი 60 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

PORTUGAL RUGBY

პორტუგალია VS საქართველო



2010 წელი. პორტუგალია-საქართველო

# არ უნდა ალია-ბალია, ავიღოთ პორტუგალია

13



## კვირკველიას ვერცხლი

12

## პირველ-მეორეზე...

ზესტაფონი ოლიმპის გზაზე



3



## ბარსელონა ბალეარებზე, არსენალზე ფიქრში

7



## NBA-ში ფანჯარა დაიხურა ზაზა ჰიუსტონში ვერ გაფრინდა

11

## ომი თუ მშვიდობა?



დღეს გერმანიაში სუპერმატჩია

8



## იტალია მილანი–ნაპოლის მოლოდინში

6

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა

# ფეხბურთის ცენტრალიზებული გახდა

## ვინც არ მუშაობს, ის ვერც შეჭამს

გუშინ "მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ კომუნისტური ფრაზა გაგვახსენა - ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს. ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** ყელში ამოუვიდა უფუნქციო რეგიონული ფედერაციების დაფინანსება და ხელი დაუქნია, ან რამე გააკეთეთ, ან თეთრსაც ვერ მიიღებთო.

სიჭინავამ აღმასკომის წევრებს ფედერაციის წესდების 68-ე მუხლის ამოქმედება შესთავაზა, რომლის მიხედვითაც ფედერაცია უფლებამოსილია ორგანიზება და კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს ტერიტორიაზე გამართულ ყველა ოფიციალურ ტურნირს, ყველა ლიგისა და ასაკის ჩემპიონატებს, აგრეთვე ეროვნულ თასს.

რატომ გახდა საჭირო ამ პუნქტის ამოქმედება, აღმასკომის წევრებს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელმა **რევაზ შენგელიამ** განუმარტა: *"ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საფეხბურთო სკოლებში დასაქმებული ფეხბურთელების რეგისტრაციაა. რაც მეტი ბავშვია რეგისტრირებული, მით მეტად დაგვეხმარება უეფა. დღეისათვის ოფიციალურად 17 ათასი ბავშვია აღრიცხული, მაგრამ ეს სრულყოფილი სტატისტიკა არ არის, 12 წლიდან ყველა ბავშვი დარეგისტრირებული ნამდვილად არ არის.*

*რეგიონული ფედერაციების მიმართ ინდივიდუალური მიდგომა გვექნება. ახლა თითოეულის წლიური ბიუჯეტი 10 ათასია, რაც შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. ეს არის 68-ე მუხლთან დაკავშირებული ცვლილება, რაც ყველა დონის შეჯიბრების ცენტრალიზებულ მართვას გულისხმობს".*

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და აღმასკომის თავმჯდომარემ **ზვიად სიჭინავამ** რეგიონულ ფედერაციებს მეტი აქტიურობა ურჩია: *"68-ე მუხლის ამოქმედების მიზანი რეგიონული ფედერაციების ბიუჯეტების ცენტრალიზებული მართვაა. ერთმანეთთან არ გვაქვს კავშირი, აქედან გამომდინარე კი არ არის ინფორმაციაც, რა ხდება დაბალ ლიგებში. ამიტომ ყოველ ორშაბათს დავგეგმოთ, ვინ რას აკეთებს.*

*რეგიონებში ფეხბურთის განვითარება ადგილობრივი ფედერაციების მუშაობაზეა დამოკიდებული. როგორც მე მივდივარ უეფაში დაფინანსების მისაღებად პროექტით, ასევე უნდა მოხდეს ჩვენთანაც - წარმოადგინეთ პროექტი, ვინ რას აპირებთ. ფულს კი ხელფასების გასაცემად არ ვარიგებთ, ეს მიზნობრივი პროგრამებია. შეიკრიბება აღმასკომი, ხარჯებს დავიანგარიშებთ და თანხები ფედერაციების მუშაობის ადეკვატური იქნება. ვინც კარგად იმუშავებს, მეტი ბიუჯეტი ექნება, ხოლო ვინც არაფერს აკეთებს – ფულს არ მივცემთ.*

*რაჭა-ლეჩხუმ-ზემო სვანეთის რეგიონულ ფედერაციას 100 ათას ლარიანი ბიუჯეტი არ სჭირდება, რადგან ცოტა გუნდი და ფეხბურთელი ჰყავს, თბილისში კი უამრავი გუნდი და ფეხბურთელია და 200 ათასიც არ ეყოფა. მაგრამ ეს არის ჩვენი ვარაუდი და არა დაზუსტებული მონაცემი. ჩვენ კი ზუსტი ციფრი უნდა ვიცოდეთ - რამდენია ბავშვი და გუნდი, რომ "გრასრუტსის" თუ უეფას სხვა პროგრამების ასათვისებლად ზუსტი მონაცემები წარვადგინოთ.*

*კახეთის 5-6 გუნდი თბილისის ჩემპიონატში მონაწილეობს. მაშინ რად გვინდა კახეთის რეგიონული ორგანიზაცია, ხომ არ სჯობია, თბილისისა და კახეთის ფედერაციები გავაერთიანოთ? რაჭაში სულ 30 ბავშვი ვარჯიშობს, მაგრამ იმერეთის რეგიონში ტურნირი მოიგო.*

*მეტ-ნაკლებად ნორმალურად მუშაობენ თბილისის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთისა და აფხაზეთის ფედერაციები. რეგიონულ ფედერაციებს ტურნირების ორგანიზება ევალებათ, მაგრამ ზოგიერთი არაფერს აკეთებს. რას აკეთებენ ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, აჭარის ფედერაციაში? ყველგან პრეზიდენტი და გენერალური მდივანია და ხელფასებს იღებენ. მოკლედ, ბევრი რამ შესაცვლელია.*

*სადაც მუშაობენ, უამრავი საქმეც აქვთ. იმერეთის რეგიონულმა ფედერაციამ გურია თანამშრომლობაზე დაითანხმა, სამეგრელოს ფედერაცია კი ზუგდიდის იქით ვერ იყურება, აბაშაში ნიჭიერი ფეხბურთელი თუ გამოჩნდა, უცებ იმერეთში მიჰყავთ.*

*მოკლედ, რეგიონული ფედერაციები უნდა ავამოქმედოთ, თორემ საბჭოთა კავშირის დროს 25 ათასი ფეხბურთელი ბავშვი იყო დარეგისტრირებული, ახლა კი მხოლოდ 17 ათასია. თბილისის ფედერაცია საფეხბურთო ფესტივალს რომ ატარებს, იმავეს რეგიონებში რატომ ვერ ახერხებთ? ჩაატარეთ და დღეს უეფა თუ 1000 ბურთს გვაძლევს, ხვალ 2000-ს გადმოგვცემს. რომ იცოდეთ, სკოლბურთის ფესტივალის გამო უეფამ დამატებითი ერთი ვარსკვლავი მოგვანიჭა.*

*ცალკე პრობლემაა ფეხბურთელთა რეგისტრაცია. ბაქარ მირცხულავას და ირაკლი შეყილაძის მაგალითზე გეტყვით. „ბენფიკამ" და „ემპოლიმ" მათ გამზრდელ სკოლებს საკომპენსაციო თანხა უნდა გადაუხადონ, მაგრამ ოფიციალური დოკუმენტი ვერ მოიძებნა, რომელ სკოლაში ვარჯიშობდნენ. პორტუგალიური და იტალიური კლუბები კი ამ საბუთებს ითხოვენ. მოთამაშეთა რეგისტრაცია მომავალში მსგავს პრობლემებს გამორიცხავს.*

*უნდა იცოდეთ, თუ საკომპენსაციო კლუბს კომპენსაციას თქვენ არ მოსთხოვთ, ფედერაციაა ვალდებული ეს გააკეთოს".*

ამას გარდა, აღმასკომის გადაწყვეტილებით, ამიერიდან ფედერაციის 33-ივე სუბიექტს ყოველწლიურად 500-ლარიანი საწევროს გადახდა დაევალა.

როგორც ცნობილია, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მსაჯებს ანაზღაურება სახელმწიფოს დახმარებით გაეზარდათ. მათთვის გამოყოფილ თანხებს სპეციალური კომისია გააკონტროლებს და ის "შავფორმიანები", რომლებიც მოვალეობას თავს ვერ გაართმევენ და სერიოზულ შეცდომებს დაუშვებენ, ფინანსურად დაისჯებიან.

პირველი ლიგის კლუბებმა - ლანჩხუთის "გურიამ", ტყიბულის "მეშახტემ" და წყალტუბოს "სამგურალმა" აღმასკომს კვლავ მიმართეს თხოვნით: უმაღლესში გადასვლა არ გვინდა, არც ლიცენზირების საშუალება გვაქვს და არც სურვილი და იქნებ, ეს პროცესი გადაგვივადოთო. ფედერაციამ კლუბების გაჭირვება გაითვალისწინა და სამეული ლიცენზირებას არ გაივლის.




ზვიად სიჭინავა (მარცხნივ) და გია ფირცხალავა ისევ ერთად არიან

# ფირცხალავა ფედერაციას ვიცედ დაუბრუნდა

უსპონსოროდ, უფულოდ და უფუნქციოდ დარჩენილი პროფესიული ფეხბურთის ლიგა ქაღალდზე არსებობს, მაგრამ რეალურად უფუნქციოდ არის დარჩენილი და ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზება მომავალ სეზონამდე ჩამოერთვა. თანამშრომლები ოფისში აღარ დადიან, რადგან იჯარის გადაუხდელობის გამო, სპორტის დეპარტამენტმა ორგანიზაციას შენობა დააცლევინა. ფეხბურთის ფედერაციაში ამბობენ, რომ ლიგა არ გაუქმდება და აუცილებლად ამუშავდება, როდესაც შესაფერისი ფინანსური მდგომარეობა იქნება.

ამასობაში კი ლიგის თავკაცი **გია ფირცხალავა** კვლავ ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნეს. ეს გადაწყვეტილება გუშინ "მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე ფედერაციის აღმასკომის წევრებმა მიიღეს.

შეგახსენებთ, რომ ფირცხალავა ამ პოსტზე ჯერ კიდევ 2009 წლის საფეხბურთო რევოლუციის დროს დაინიშნა, როდესაც **ნოდარ ახალკაცი** გადადგა, ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** კი ახალი გუნდის შეკრება დაიწყო.

მას შემდეგ პოსტიდან პროფლიგის პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი** გადადგა, ფედერაციაში ეროვნული ჩემპიონატის კურატორი ფირცხალავა კი მის ნაცვლად აირჩიეს.

აღმასკომის წევრებს ფირცხალავას ვიცე-პრეზიდენტად დაბრუნება სიჭინავამ შესთავაზა და, ცხადია, წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ამავე დროს, ფირცხალავა პროფლიგის პრეზიდენტის პოსტსაც შეინარჩუნებს.

მას კვლავ ეროვნული ჩემპიონატისა და ეროვნული თასის გათამაშების კურირება დაევალა.

ოლიმპი

# იაშვილის კიდევ ერთი შანსი

## პავლიაშვილიც რუსთავში

საქართველოს ჩემპიონმა რუსთავის "ოლიმპმა" განაცხადში ორი თავდამსხმელი დაიმატა - **სანდრო იაშვილი** და "სამტრედიას" ყოფილი წევრი **ილია პავლიაშვილი**.

21 წლის პავლიაშვილი ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე "სამტრედიაში" თამაშობდა, მაგრამ მისი ტრანსფერი პირველი ლიგის "გაგრას" ეკუთვნოდა. სწორედ ამ უკანასკნელის ხელშეწყობით გაემგზავრა იანვარში იალტის "ჟემჩუჟინაში" გასასინჯად, მაგრამ საბოლოოდ ისევ საქართველოში დაბრუნდა. "ოლიმპის" ახალ მთავარ მწვრთნელს **თორნიკე მაისურაძეს** კი ახალგაზრდა ფორვარდი მოსწონდა და კონტრაქტი შესთავაზა.

25 წლის სანდრო იაშვილის ფეხბურთში დაბრუნება მნიშვნელოვანი ამბავია. უნიჭიერესი ფეხბურთელი, რომელმაც დიდ ფეხბურთში ხმაურიანად შეაბიჯა, "რომას" საფეხბურთო სკოლაში ა. 18 წლის სანდრო საქართველოს ნაკრებშიც ათამაშეს, მაგრამ ვერა და ვერ აეწყო მისი კარიერა ისე, როგორც მის პოტენციალს შეეფერებოდა.

სანდრო ბოლოს სწორედ რუსთავის "ოლიმპში" თამაშობდა და გუნდთან ერთად ჩემპიონიც გახდა, მაგრამ ზაფხულის მოსამზადებელ ეტაპზე გუნდში აღარ გამოჩნდა და მას შემდეგ უგუნდოდ იყო. მხოლოდ ზამთარში გამოჩნდა, ორჯერ ცხინვალის "სპარტაკში" ივარჯიშა და შემდეგ რუმინეთის ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფის "გაზ-მეთანში" მიიწვიეს. ეს ტრანსფერიც რომ ჩაიშალა, სანდრომ საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა.

დასანანია, ნიჭიერი ფეხბურთელი დღემდე რომ ვერ გაიხსნა. იმედია, რუსთავის "ოლიმპის" ახალ ხელმძღვანელთა ნდობა მაინც გახდება ის გასაღები, რაც სანდრო იაშვილს სჭირდება. ის ხომ ჯერ 25 წლის არის და კიდევ აქვს დიდი ფეხბურთის თამაშის შანსი.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



სანდრო იაშვილი

ინფრასტრუქტურა

# მიხეილ მესხის სტადიონი ფედერაციას გადასცეს

## რეაბილიტაციის 50 პროცენტს უეფა დააფინანსებს

უპატრონობის გამო, „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონი მისი დირექტორის, **გივი ჭანტურიძის** ენთუზიაზმითა და ფედერაციის კეთილი ნებით არსებობდა. თუმცა სტადიონის შენახვას უზარმაზარი სახსრები სჭირდება და, ცხადია, ქვეყნის მეორე სტადიონი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა - პლასტმასის ინდივიდუალურმა სკამებმა ფერი დაკარგეს, გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და დელეგატების ოთახები შეილახა და რაც მთავარია, მოედანია საშინელ მდგომარეობაში.

თუმცა სტადიონს გუშინ საშველი დაადგა: ფეხბურთის ფედერაციასა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის გაფორმებული „უზუფრუქტის ხელშეკრულებით" „მიხეილ მესხის" სტადიონი 30 წლით ფედერაციას გადაეცა.

*„სტადიონი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სარგებლობაში 30 წლის განმავლობაში იქნება, თუმცა მას სტადიონის გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის უფლება არ ექნება. თუ აუცილებელი გახდა სტადიონის გაქირავება ან იჯარით გადაცემა, ფედერაციას სახელმწიფოს თანხმობა დასჭირდება. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, რეკონსტრუქციისთვის საჭირო თანხის მინიმუმ 50 პროცენტს თავის თავზე უეფა აიღებს; დარჩენილი თანხა კი უნდა მოვიძიოთ დაინტერესებულ პირებთან, ინვესტორებთან, სპონსორებთან. შეიძლება, ეს იყოს მუნიციპალური დახმარებაც"* - იუწყება ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური.

კომენტარი ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** ჩამოვართვით.

**- სტადიონი თბილისის მერიამ გადმოგცათ?**

- სტადიონი ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნოდა და არა მერიას.

**- რა სახის სამუშაოებია დაგეგმილი?**

- სტადიონი თბილისში ჩამოსულმა ესპანელმა არქიტექტორმა დაათვალიერა. ის ახლა პროექტს ამთავრებს, რომელსაც უეფასთან შევათანხმებთ და რადგან სტადიონი უკვე გადმოგვეცა, სამუშაოებსაც მალე დავიწყებთ.

**- რა მასშტაბის სამუშაოები იგეგმება?**

- ჩვენ სტადიონის სრულ რეაბილიტაციას ვგეგმავთ.

**- უეფას სტანდარტებში მაღალი ვარსკვლავის მისანიჭებლად, სხვა მოთხოვნების შესრულებასთან ერთად, სტადიონის ტრიბუნები გადახურული უნდა იყოს.**

- ჩვენ ამას ვითვალისწინებთ და ტრიბუნების სრულ გადახურვას ვაპირებთ. ამას გარდა, შეიცვლება ინდივიდუალური სკამები, VIP და პრესლოჟები, მოედნის საფარი, გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები. დასავლეთ ტრიბუნაზე, სამთავრობო ლოჟის ქვევით მთელ სიგრძეზე განთავსდება ბევრად უფრო ვრცელი და კომფორტული პრესლოჟა. მოკლედ, ყველაფერი შეიცვლება. სხვათა შორის, ძველ ბალახის საფარს მომდევნო კვირას ავიღებთ და ახლის დაგებას დავიწყებთ.

**- სტადიონი რამდენ მაყურებელზე იქნება გათვლილი?**

- ახლა 24 500 მაყურებელს იტევს და ტევადობის შემცირებას არც რეაბილიტაციის დროს ვაპირებთ. იმედია, ეს იქნება ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და კომფორტული სტადიონი. მისი ბუნებრივი მდებარეობა, ჩვენი ხელისუფლების, უეფასა და ფიფას მხარდაჭერა მაიმედებს, რომ საქართველოს უმაღლესი დონის სტადიონს ვაჩუქებთ, რომელიც უეფასა და ფიფას ყველა მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

ჩემი სურვილია, რომ "მიხეილ მესხზე" ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ითამაშოს. თუმცა, ცხადია, მისით ჩვენმა კლუბებმაც უნდა ისარგებლონ. მთავარია, რომ გადმოგვეცა და საქმე ნულიდან დაიძრა.

**- როდის დასრულდება სრული რეაბილიტაცია?**

- ჩვენი აზრით, ეს 2012 წლის ბოლოსთვის იქნება შესაძლებელი.

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ორი... ჩემპიონი

...არ გვეპუება ზამთარი და არც „წასვლა“ უნდა; ჰოდა, ჩვენს გავერანებულ მოედნებს, როგორ ფიქრობთ, ამდენი ატმოსფერული ნალექი მოუხდებოდა? ასეც რომ არ იყოს, უკვე მერამდენედ მტკიცდება, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე არასაფეხბურთო თვე... თებერვალია; მაგრამ, უმაღლესი ლიგის კალენდრის შემდგენლებსაც ნუ გავამტყუნებთ: ისედაც შემჭიდროებული გრაფიკია და, წარმოიდგინეთ, თებერვალში ჩასატარებელი ოთხი ტური სადღა უნდა „ჩაესვათ“? მოკლედ, ისე როგორც მეორე ეტაპის დაწყებიდან თითქმის ყველა ტურის წინ, ახლაც ამინდის იმედად ვართ; თანაც, დღეს ტრადიციულ „ტურის წინათქმას“ კი გთავაზობთ, მაგრამ ხვალ თუ რომელიმე მატჩი გადაიდო, ნურავის გაუკვირდება, — დიდია იმის ალბათობა, რომ უამინდობამ გარკვეული კორექტივები კვლავაც შეიტანოს ჩვენს ჩემპიონატში. ისე კი, მართლაც საინტერესო ტური გველოდება: ბოლოს და ბოლოს, იმ გუნდის ვინაობას შევიტყობთ, გაზაფხულის მოსვლას ცხრილის პირველ ადგილზე რომ შეხვდება! რაღა თქმა უნდა, ტურის და, ალბათ, მესამე წრის ცენტრალურ დაპირისპირებას ვგულისხმობთ, ზესტაფონში რომ უნდა ჩატარდეს, — ჩემპიონატის ორი ფავორიტის შეხვედრა მართლაც დიდ ინტერესს იწვევს. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ ხვალინდელ შეხვედრაში ერთმანეთს... ორი ჩემპიონი შეხვდება: სტუმრები ოფიციალური სტატუსით (მოქმედი ჩემპიონი) იასპარეზებენ, მასპინძლები კი — არაოფიციალურით („ზამთრის ჩემპიონი“). რაც მთავარია, „ზესტაფონისა“ და „ოლიმპის“ მატჩს, სატურნიროს გარდა, ფსიქოლოგიური ფაქტორითაც დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ: ორივე ფავორიტი სწორედ ხვალინდელ შეხვედრაში ეცდება თავისთვის სასურველი შედეგის მიღწევას, რამეთუ ამის მერე (ფაქტობრივად, IV წრის დაწყებამდე) მეტ-ნაკლებად იოლი თამაშები ელოდებათ; ანუ, მესამე წრის ბოლომდე, ცოტა არ იყოს, ძნელად სავარაუდოა, რომ ჩემპიონატის ორივე ფავორიტმა სადმე ქულები დაკარგონ...

**ზესტაფონი–ოლიმპი**
Bwin: 2.00 3.10 3.50
27.02. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
**14:00**

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი; ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, ი. უკლება;
მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი



2010 წლის 15 დეკემბერი. ოლიმპი-ზესტაფონის სათასო დაპირისპირება

„ზესტაფონმა“ 2010 წლის 11 დეკემბერს „ვიტ ჯორჯია“ რომ დაამარცხა, იმის მერე მშობლიურ ქალაქში აღარ უთამაშია. და აი, ორთვენახევრიანი პაუზის მერე ადგილობრივი ქომაგები უპრინციპულესი მატჩის მოლოდინში არიან: მოიგებს „ზესტაფონი“ და ლიდერობასაც დაიბრუნებს, დანარჩენ შემთხვევაში კი სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავაც „ოლიმპი“ დარჩება. ისე, „ოლიმპს“ უკვე 12-მატჩიანი წაუგებელი სერია დაუგროვდა (ოღონდ, მხოლოდ ჩემპიონატის შეხვედრებს ვგულისხმობთ) და საერთოდაც, გასული წლის 3 ოქტომბრის მერე რუსთაველები მხოლოდ ერთადერთხელ დამარცხდნენ; ახლა, მეტოქესაც აღარ იკითხავთ: საქართველოს თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში „ზესტაფონმა“ სამი უპასუხო გოლი გაიტანა „ოლიმპის“ კარში და ამ შედეგით, განმეორებითი შეხვედრაც, ფაქტობრივად, ფორმალობად აქცია. რაც შეეხება ჩემპიონატის დაპირისპირებებს, ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით დასრულდა: ზესტაფონში მასპინძლებმა **ნიკოლოზ გელაშვილის** ერთადერთი გოლით გაიმარჯვეს, რუსთავში კი „ოლიმპს“ მოგება **ალექსანდრე კვახაძის** ზუსტმა დარტყმამ მოუტანა. სხვათა შორის, მეორე წრის ამ მატჩის შემდეგ „ოლიმპი“ სატურნირო ცხრილის ლიდერიც გახდა, მაგრამ ისიც მოგეხსენებათ, რომ პირველი ეტაპის გამარჯვებული საბოლოოდ „ზესტაფონია“. მასპინძლები ხვალინდელ შეხვედრაში დისკვალიფიცირებულ **შოთა ბაბუნაშვილს** მოისაკლისებენ, „ოლიმპს“ კი, იმავე მიზეზით წამყვანი ნახევარმცველი **დავით ბოლქვაძე** დააკლდება.

**სპარტაკი–სიონი**
Bwin: 2.40 3.20 2.65
27.02. გორი. ქართლი
**14:00**

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი; ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ზ. ფიფია;
მეოთხე მსაჯი: ლ. კვარაცხელია

ერთი პერიოდი, ამ გუნდებს შორის დაპირისპირებებს აშკარად არასასიამოვნო აჟიოტაჟი უნდა მოჰყოლოდა ხოლმე; ისეთი შემთხვევაც არაერთი ყოფილა, თითქმის ყოველი სატრანსფერო კამპანიის დროს „სიონიდან“ „სპარტაკში“ (ან, პირიქით) ფეხბურთელები რომ მიდი-მოდიოდნენ; თუმცა, ამ სეზონში ჩატარებულ ორივე მატჩზე საეჭვო თუ „არაჯანსაღი“ არავის არაფერი შეუმჩნევია და იმედი დავიტოვოთ, ხვალინდელი მატჩიც რომ ჭეშმარიტად სპორტული პრინციპების დაცვით ჩატარდება. მასპინძლებს სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ, გამარჯვებაზე ფიქრი მოუწევთ (მით უფრო, რომ ოპტიმალური შემადგენლობით იასპარეზებენ). თუმცა, „სპარტაკს“ დანაკლისი მაინც ექნება: მთავარი მწვრთნელი **ბადრი კვარაცხელია** დისკვალიფიცირებულია და თავის გუნდს სათადარიგოთა სკამიდან ვერ დამოძღვრავს. რაც შეეხება „სიონს“, **გიორგი ყიფშიძის** გუნდს მართლაც „სულზე მოუსწრო“ ბოლო ორ შეხვედრაში მოპოვებულმა ოთხმა ქულამ; თანაც, „სიონის“ ქომაგთათვის არც ის ფაქტი უნდა ყოფილიყო ნაკლებად მნიშვნელოვანი, რომ ზედიზედ ორი მატჩია გოლები გააქვს გუნდის გამოცდილ ახალწვეულს **რევაზ ჯიქიას.**

**დინამო–ბაია**
Bwin: 1.60 3.40 5.25
27.02. თბილისი. ბ. პაიჭაძე
**14:00**

არბიტრი: გ ვადაჭკორია; ასისტენტები: ბ. ჭიჭინაძე, დ. ჩიგოგიძე;
მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე

ყველასათვის მოულოდნელად, ხვალინდელ მეტოქეებს მეორე ეტაპის სტარტი აშკარად განსხვავებული გამოუვიდათ: „დინამომ“ სამ მატჩში მხოლოდ 2 ქულის მოგროვება მოახერხა, „ბაიამ“ კი ორი მოგებითა და ერთი ფრით სატურნირო მდგომარეობა მკვეთრად გაიუმჯობესა. რა ბევრი მტკიცება უნდა იმ ფაქტს, ხვალინდელ შეხვედრაში უპირობო ფავორიტებად მასპინძლები რომ უნდა მივიჩნიოთ: ბოლოს და ბოლოს, საჩემპიონო ამბიციების მქონე „დინამოს“ უკვე ნამდვილად აღარ აქვს ქულების აქეთ-იქით დარიგების უფლება. გარკვეულ ინტერესს იწვევს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ **ნიკა კვეკვესკირის** ასპარეზობაც, — იმის გათვალისწინებით, რომ „საყრდენი“ ედნილსონი დისკვალიფიცირებულია, „დინამოს“ ახალგაზრდა ახალწვეულს ალბათ, ძირითადში ვიხილავთ. თუმცა, „დინამომ“ ბოლო მატჩები, ფაქტობრივად, სხვადასხვა შემადგენლობით ჩაატარა და მართლაც ძნელია იმის თქმა, თუ ვის დაეყრდნობა მოყოჩაღებულ მეტოქესთან ხვალინდელ მატჩში **კახა კაჭარავა,** სხვათა შორის, ამ გუნდებს შორის წინა ორივე დაპირისპირება ერთნაირი ანგარიშით (0:0) დასრულდა; თუმცა, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელისათვის ბევრად უსიამოვნო გასახსენებელი, რაღა თქმა უნდა, მეორე წრის მატჩი იქნებოდა, — სწორედ იმ შეხვედრის მერე იყო (5 ნოემბერს), კაჭარავამ საკუთარი პოსტი რომ დატოვა...

**ვიტ ჯორჯია–სამტრედია**
Bwin: 1.80 3.40 3.80
27.02. თბილისი. შატილი (თემქაზე)
**14:00**

არბიტრი: ლ. სილაგავა; ასისტენტები: ლ. თოდრია, ლ. ვარამაშვილი;
მეოთხე მსაჯი: ჯ. ხორავა

საკმარისი იყო „ვეტერინარებს“ წინა ტურში მოეგოთ და სატურნირო მდგომარეობაც მკვეთრად გაიუმჯობესეს! არადა, **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდს ზედიზედ ოთხმატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა და ერთ-ერთი უშუალო კონკურენტის ძლევით ახლა სატურნირო ცხრილში მეტ-ნაკლებად „მისაღებ“ ადგილზე იმყოფებიან. ვიდრე „ვიტ ჯორჯიას“ სარბიელი (მცხეთაში) ბოლომდე მწყობრში ჩადგება, ამ გუნდს საშინაო მატჩების ჩატარება თემქაზე, „შატილის“ სტადიონზე მოუწევს. თუმცა, ვეჭვობთ, რომ ხვალინდელი მატჩიც ისეთივე სცენარით წარიმართოს, როგორც პირველ წრეში იყო; შეგახსენებთ, რომ 29 აგვისტოს ჩატარებული შეხვედრის პირველი ტაიმი „სამტრედიამ“ მოიგო (2:0), მაგრამ შესვენების შემდეგ მოედანზე სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა და „ვიტ ჯორჯიამ“ მეტოქის კარში 4 უპასუხო გოლი გაიტანა! არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმ შეხვედრაში გოლები ვისაც გაჰქონდა, თითქმის ყველა მათგანი ამჟამად სხვა გუნდების ღირსებას იცავს (**კვარაცხელია, ლიპარტია, კვერენჩხილაძე, პავლიაშვილი**) და ერთადერთი მხოლოდ **ბექა ზაქრაძეა,** ხვალ მოედანზე რომ შეიძლება ვიხილოთ.

**ტორპედო–კოლხეთი**
Bwin: 1.83 3.20 4.00
27.02. ქუთაისი. ტორპედო
**17:00**

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი; ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე;
მეოთხე მსაჯი: ი. ურუშაძე

ორივე გუნდის ურთიერთშეთანხმებით ეს მატჩი სხვა შეხვედრებთან შედარებით გვიან (17 საათზე) დაიწყება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს; ჰო, „ტორპედოს“ სატურნირო მდგომარეობა ისე დამძიმდა, რომ ხვალინდელ შეხვედრაში მასპინძლებისთვის ერთადერთი მისაღები შედეგი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება უნდა იყოს! „დინამოსი“ არ იყოს, „ტორპედომაც“ სერიოზული სატრანსფერო კამპანია აწარმოა ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში, ნაყოფიერი უცხოური შეკრებაც გაიარა, მაგრამ **გია გიგატაძის** გუნდმა ორ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა მოაგროვა. თუმცა, უიღბლობაც უნდა ვახსენოთ: იმავე „ოლიმპთან“ სტუმრად მატჩში ქუთაისელებმა გოლი ხომ მატჩის ბოლო წამებზე გაუშვეს. სხვათა შორის, „ტორპედოსთან“ მიმართებაში კვლავაც „დინამოსთან“ გვინდა გარკვეული პარალელის გავლება: ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის მსგავსად, ქუთათურთა საყვარელ გუნდსაც რომ რეალურად ხელეწიფება ამ დროებითი კრიზისის დაძლევა, ამაში, რატომღაც ღრმად ვართ დარწმუნებული.

**გია ტუხაშვილი**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ოლიმპი | 21 | 13 | 5 | 3 | 33 | 17 | 44 | 12 | 10 | 2 | 0 | 20 | 4 | 32 | 9 | 3 | 3 | 3 | 13 | 13 | 12 |
| 2 | ზესტაფონი | 20 | 13 | 2 | 5 | 41 | 13 | 41 | 8 | 7 | 0 | 1 | 23 | 2 | 21 | 12 | 6 | 2 | 4 | 18 | 11 | 20 |
| 3 | დინამო | 21 | 10 | 7 | 4 | 24 | 11 | 37 | 11 | 7 | 4 | 0 | 18 | 5 | 25 | 10 | 3 | 3 | 4 | 6 | 6 | 12 |
| 4 | ბაია | 21 | 8 | 5 | 8 | 21 | 23 | 29 | 12 | 7 | 3 | 2 | 15 | 10 | 24 | 9 | 1 | 2 | 6 | 6 | 13 | 5 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 21 | 8 | 2 | 11 | 21 | 27 | 26 | 10 | 5 | 1 | 4 | 14 | 13 | 16 | 11 | 3 | 1 | 7 | 7 | 14 | 10 |
| 6 | სიონი | 21 | 6 | 7 | 8 | 15 | 24 | 25 | 10 | 5 | 3 | 2 | 10 | 7 | 18 | 11 | 1 | 4 | 6 | 5 | 17 | 7 |
| 7 | ტორპედო | 20 | 5 | 8 | 7 | 10 | 12 | 23 | 9 | 3 | 5 | 1 | 5 | 3 | 14 | 11 | 2 | 3 | 6 | 5 | 9 | 9 |
| 8 | კოლხეთი | 21 | 6 | 4 | 11 | 16 | 33 | 22 | 11 | 6 | 1 | 4 | 13 | 10 | 19 | 10 | 0 | 3 | 7 | 3 | 23 | 3 |
| 9 | სამტრედია | 20 | 5 | 5 | 10 | 19 | 34 | 20 | 10 | 5 | 3 | 2 | 11 | 8 | 18 | 10 | 0 | 2 | 8 | 8 | 26 | 2 |
| 10 | სპარტაკი | 20 | 4 | 5 | 11 | 20 | 26 | 17 | 10 | 3 | 3 | 4 | 17 | 12 | 12 | 10 | 1 | 2 | 7 | 3 | 14 | 5 |

● ზესტაფონი



გორან გრუიცა

## გრუიცა განაცხადში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და "ზესტაფონს" შორის წარმოშობილი დავის ისტორიას აღარ შეგახსენებთ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ყველაფერი მშვიდობიანად და, რაც მთავარია, შედეგიანად დასრულდა – ხორვატი ახალწვეული **გორან გრუიცას** ტრანსფერი სფფ-მ გუშინ დაარეგისტრირა და შესაბამისად, ხვალ "ზესტაფონი"-"ოლიმპის" მატჩის განაცხადში მის გამოჩენას უნდა ველოდოთ.

ფედერაციას გრუიცას დარეგისტრირებისთვის "ზესტაფონისთვის" 15 ათასი ლარი აღარ მოუთხოვია...

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონი

## ადამია ბომბარდირებში მეორეა, რატიმ უნგრეთი გახსნა

აზერბაიჯანული პრემიერლიგის 22-ე ტურში თავი **გიორგი ადამიამ** გამოიჩინა. მისმა „ყარაბახმა“ 5:1 გაანადგურა „თურანი“. გიორგიმ მატჩის დასაწყისშივე მიითვალა დუბლი (მე-11 და მე-16 წუთებზე). პირველ შემთხვევაში ადამია ჩაწოდებულს გამოეხმაურა და შესაშური ტრაექტორიით გაუშვა ბურთი სტუმართა კარში, ხუთ წუთში კი მან ლამაზი კომბინაცია დააგვირგვინა გოლით. გიორგიმ 90 წუთი ითამაშა, დამარცხებულთა რიგებში კი **ოლეგ გველესიანი, გიორგი ბედიაშვილი** და **გიორგი ჭედია** იყვნენ. ეს უკანასკნელი უკვე მე-20 წუთზე შეცვალეს. „ყარაბახს“ 42 ქულა გაუხდა და მე-3 ადგილზე გადავიდა, მაგრამ **კახა ცხადაძის** „ინტერს“ მარაგში თამაში აქვს. ადამიამ უკვე 10 გოლი გაიტანა ჩემპიონატში. 29 წლის ქართველი ბომბარდირთა დავაში მხოლოდ „ნეფთჩის“ 23 წლის ლეგიონერ **ბახოდირ ნასიმოვს** (15 გოლი) ჩამორჩება. შარშანდელთა შედარებით, გიორგის დიდებული სეზონი აქვს - გასულ სეზონში მან ორ გუნდში (ბაქი, ყარაბახი) ჯამში 4 გოლი გაიტანა.

აზალ-“ბაქის“ მატჩში (0:0) შეუცვლელად ითამაშა მასპინძელთა 10-იანმა **ნუგზარ კვირტიამ**. ამ ქულით სტუმრებმა მოწინავე ექვსეულის ბოლო საგზური მოიპოვეს. მაშ ასე, შემდეგი ტურიდან ჩემპიონობისთვის ბრძოლას „ნეფთჩი“, „ხაზარი“, „ყარაბახი“, „ინტერი“, აზალ და „ბაქი“ განაგრძობენ.

თითქმის ორთვიანი შესვენების შემდეგ განახლდა უნგრული შოპრონილიგა. 2011 წელს ლიგაში პირველი გოლი ქართველის ანგარიშზეა - „დიორი ეტო“ „შიოფოკს“ ესტუმრა და მე-17 წუთზე **რატი ალექსიძემ** გახსნა ანგარიში. ეს 32 წლის ფორვარდის მე-4 გოლია ჩემპიონატში. რატის გოლი ერთადერთი და გამარჯვებისა აღმოჩნდა. ჩვენმა თანამემამულემ 90 წუთი ითამაშა, **თეიმურაზ შარაშენიძე** კი 61-ე წუთზე გამოჩნდა. რატიმ და „ეტოს“ მეკარემ მატჩში საუკეთესო შეფასებები (7-7 ბალი) მიიღეს. ჩვენი ჩემპიონატისა არ იყოს, უნგრულ ლიგასაც უჭირს მაყურებელთა დასწრების მხრივ - ამ თამაშს მხოლოდ 300 მაყურებელი დაესწრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● ინტერვიუ რატი წინამძღვრიშვილთან

# მადლობა გოლებით

**მუხლის მძიმე ტრავმის გამო რატი წინამძღვრიშვილს დაახლოებით ორწელიწად-ნახევარი გაუცდა (შუალედში მხოლოდ მცირე ხნით ითამაშა) და მოედანს შარშან დაუბრუნდა. ორი ოპერაციისა და დროში გაწელილი სარეაბილიტაციო პროცესის გამო ახალგაზრდა ნიჭიერი ფორვარდის საფეხბურთო მომავალს ბევრმა ხაზი გადაუსვა, მაგრამ რატიმ შეუპოვარი ხასიათისა და თავდაუზოგავი შრომის წყალობით მაინც შეძლო საყვარელი საქმის კეთება და დღეს საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირთა დავასაც ლიდერობს.**

**"ლელო" "ზესტაფონის" თავდამსხმელს გაესაუბრა და ვფიქრობთ, ინტერვიუ საინტერესო გამოგვივიდა.**

**- პირველ ყოვლისა, უფეხბურთოდ გატარებული წლები გაიხსენე.**

- სიტყვებით ვერ აღვწერ იმ განცდებს, რაც მაშინ მეუფლებოდა. მოკლედ რომ ვთქვა, ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოვიარე და მადლობა ღმერთს, ეს უმძიმესი პერიოდი რომ გადავლახე. ფეხბურთი მთელი ჩემი ცხოვრებაა და ვერაფრით წარმომედგინა, სხვა რა უნდა გამეკეთებინა. უკეთ მაშინ გავხდი, როცა ექიმებმა ვარჯიშის დაწყების ნება დამრთეს. ზოგს ჰგონია, რომ ტრავმირებული ფეხბურთელი უქმადაა, მაგრამ ასე არაა. პირიქით, სარეაბილიტაციო პერიოდში მოთამაშეს დიდი შრომა უწევს იმისთვის, რომ ნელ-ნელა ძველი ფიზიკური კონდიციები დაიბრუნოს. გაათმაგებული მონდომებით ვვარჯიშობდი, რომ ფეხბურთი კვლავ მეთამაშა. ამდენი გაცდენილი დროის მიუხედავად, წამითაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ ჩემს საყვარელ საქმეს გავაკეთებდი.

**- გადატანილმა უსიამოვნებებმა პიროვნულად ხომ არ შეგცვალა?**

- როგორ ვთქვა, უფეხბურთოდ ყოფნისას რამე სასარგებლო შევიძინე-მეთქი, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, რომ ბევრ რამეს სულ სხვა თვალით დავუწყე ყურება, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინე. სამწუხაროდ, ბევრი ახლობელი დავკარგე, მაგრამ ალბათ, ასე იყო საჭირო, რადგან იმ ხალხს მხოლოდ მაშინ ვახსოვდი, წარმატებული ფეხბურთელი რომ მერქვა, განსაცდელის დროს კი ბევრმა საერთოდ დამივიწყა. საბედნიეროდ, ჩემ გვერდით კარგი ადამიანებიც აღმოჩნდნენ და ახალი მეგობრებიც შევიძინე.

**- "ამერიდან" "ზესტაფონში" მაშინ გადახვედი, როცა თამაში არ შეგეძლო.**

- ჩემი ტრავმიდან დიდი დრო არ იყო გასული, "ამერს" ფინანსური პრობლემები რომ შეექმნა და მერე, სამწუხაროდ, დაიშალა კიდეც. თუკი დაშავებამდე საინტერესო წინადადებები არ მაკლდა, ტრავმირებული აღარავის გავხსენებივარ და არ ვიცი, რა იქნებოდა, ჩემით "ზესტაფონი" რომ არ დაინტერესებულიყო. ნდობა ვიგრძენი და გაათმაგებული მონდომებით შევუდექი რეაბილიტაციის პროცესს და შემდეგ ვარჯიშს. დიდი მადლობელი ვარ "ამერის" პრეზიდენტის, ზურაბ ფოცხვერიასი, რომელიც ჩემს მდგომარეობას გაგებით მოეკიდა და რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებით ვემადლიერები "ზესტაფონის" პრეზიდენტ ილია კოკაიას, რომელმაც ჩემი ირწმუნა. ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებ, რომელსაც მასმედიის საშუალებით პირველად ვყვები: ტრავმირებული ვიყავი, როცა ბატონმა ილიამ "ზესტაფონში" გადასვლა და ძვირად ღირებული ოპერაციის დაფინანსება შემომთავაზა. მეტიც, იგი მზად იყო, ოპერაციის თანხა გადაეხადა და კონტრაქტზე შემდეგ დაგველაპარაკა. მე სწორედ ეს ვარიანტი ავირჩიე და "ამერიდან" "ზესტაფონში" მოგვიანებით გადავედი. ოპერაცია და სარეაბილიტაციო პროცესი კი ბრწყინვალე პირობებში ჩატარდა, საქვეყნოდ ცნობილ ქირურგ მარტინსთან ვიმკურნალე, რომელსაც მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები აკითხავენ. მოკლედ, მოედანზე დაბრუნებამდე ძალიან გრძელი გზა გავიარე და ახლა თავს უბედნიერესად ვგრძნობ, "ზესტაფონის" ხელმძღვანელობისა და გულშემატკივრისთვის მადლობის გადახდა შედეგიანი თამაშით რომ შემიძლია. მათი ნდობის გასამართლებლად თავს არ დავზოგავ.

**- ძველი პოტენციალის გამოვლენას უკვე ახერხებ?**

- მთავარი იყო, ფიზიკური კონდიციები დამებრუნებინა, რაც შევძელი კიდეც. თამაშიდან თამაშამდე საკუთარ თავს უკეთესობას ვატყობ და ვგრძნობ, რომ კიდევ მეტი შემიძლია. იმასაც ვხედავ, რომ მოედანზე უფრო გააზრებულად ვმოქმედებ და გამოცდილებაც მემატება.

**- ესპანურ შეკრებაზე "ზესტაფონის" შემადგენლობაში ერთ-ერთი გამორჩეული იყავი.**

- ეს შეკრება ძალიან ნაყოფიერი გამოდგა გუნდისთვისაც და პირადად ჩემთვისაც – ოთხ მატჩში სამი გოლი გავიტანე. "მარბელიის თასზე" მეშვიდე ადგილს დავჯერდით და იმის მიუხედავად, რომ ძლიერი მეტოქეები გვყავდა, მეტიც შეგვეძლო. განსაკუთრებით კარგად კიევის "დინამოსთან" ჩატარებულ მატჩს ვიხსენებ, სადაც ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე შევძელით ჩვენი ფეხბურთის ჩვენება და შევჩენკოსა და სხვა გამორჩეულ ფეხბურთელებს ტოლი არაფერში დავუდეთ. გულით გვინდოდა, პენალტების სერიაში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩენოდა, მაგრამ სამწუხაროდ, მეტოქეს იქ ვეღარ ვაჯობეთ...

**- საკუთარ აქტივს ერთი გოლი "სპარტაკთან" მატჩშიც შემატე.**

- გოლმა, რა თქმა უნდა, გამახარა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ დაძაბულ ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვეთ. მოედანზე სულ რამდენიმე წუთი გავატარე და მიხარია, ამ დროშიც რომ მოვასწარი თავის გამოჩენა.

**- "დინამოსთან" კი საუკეთესო თამაში ნამდვილად არ ჩაგიტარებია.**

- გეთანხმებით, მაგრამ ამის მიზეზი მატჩის შინაარსი იყო. "ზესტაფონმა" ის შეხვედრა თავისთვის უჩვეულო სტილში, დაცვაზე ორიენტირებული ტაქტიკით ჩაატარა და ამის გამო საქმე ნაკლებად მქონდა.

**- საინტერესოა, რომ მიმდინარე ჩემპიონატში ყველა გოლი შეცვლაზე შესულმა გაიტანე.**

- ასეა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ძირითად შემადგენლობაში ცუდად ვთამაშობ. უბრალოდ, სასტარტოში იმდენად ცოტა მატჩი ჩავატარე, რომ გოლის გატანა ჯერ ვერ მოვასწარი. ამის დროც მალე მოვა...

**- კონკურენცია კი "ზესტაფონის" თავდასხმაში საკმაოდ მძაფრია.**

- ძალიანაც კარგი, რომ მწვრთნელს საშუალება აქვს არჩევანი ძლიერ ფორვარდებს შორის გააკეთოს. გელაშვილიცა და დვალიც ჩემი სერიოზული კონკურენტები არიან, მაგრამ ეს ფაქტორი ერთმანეთთან ურთიერთობაში ხელს არ გვიშლის, პირიქით, მათთანაც და თითოეულ თანაგუნდელთანაც ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. თუკი არცთუ დიდი ხნის წინ მთლიანი თამაშის ჩატარება მიჭირდა, ახლა 90 წუთის სათამაშოდ აბსოლუტურად მზად ვარ.

**- ვინ მიგაჩნია მთავარ კონკურენტებად უმაღლესი ლიგის ბომბარდირობისთვის ბრძოლაში?**

- პირველ რიგში, გელაშვილი და დვალი. სხვადასხვა დროს ეს წოდება ორივეს მოპოვებული აქვს და ამის კარგი შანსი აქვთ. მათ გარდა, რეალური პრეტენდენტია ირაკლი მოდებაძეც. გამორიცხული არაა, სხვებმაც იბრძოლონ, ჩვენს ჩემპიონატში რამდენიმე მაღალი დონის თავდამსხმელი თამაშობს.

**- "ზესტაფონის" ბოლოდროინდელ თამაშს როგორ შეაფასებ?**

- სეზონი ახალი განახლებულია და ამ დროს საუკეთესო თვისებებს ვერც ერთი გუნდი ავლენს, პოტენციალი კი "ზესტაფონს" ნამდვილად დიდი აქვს, რაც უხლოეს ტურებში აუცილებლად გამოჩნდება. გუნდი უფრო სტაბილურია და გაუთვალისწინებელ ქულებს ნაკლებად კარგავს. მოკლედ, ჩემპიონობისთვის უკვე მომწიფებულები ვართ. ბომბარდირობა ჩემთვის ბუნებრივია, მნიშვნელოვანი მიზანია, მაგრამ მთავარი მაინც გუნდის წარმატებაა. "ოლიმპთან" მოახლოებული შეხვედრა ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და შევეცდებით, ამ მატჩშიც დავამტკიცოთ, რომ ჩემპიონობას ვიმსახურებთ.

**- შემდგომში ალბათ კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელებაზეც იფიქრებ.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ახლა მთლიანად "ზესტაფონზე" ვარ კონცენტრირებული. კლუბის ხელმძღვანელობას ნათქვამი აქვს, რომ საინტერესო შემოთავაზების შემთხვევაში უცხოურ კლუბში გადასვლაში ხელს შემიწყობენ.

**- ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების ამბიციაც გექნება.**

- ეს ჩემი უპირველესი ოცნებაა. მაქსიმალურად ვეცდები, ჩემი წარმატებული თამაშით თემურ ქეცბაიას ყურადღება დავიმსახურო.

**ლევან ჯანეზაშვილი**



● საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა. კალენდარი

### XVIII ტური
**26 თებერვალი, შაბათი**

მერცხალი (ოზურგეთი)-ლოკომოტივი (თბილისი)
ნ. დინამოელი (თბილისი)-გაგრა (გაგრა)
გორი (გორი)-ადელი (ბათუმი)
სქური (წალენჯიხა)-სამგურალი (წყალტუბო)
ჩიხურა (საჩხერე)-კოლხეთი (ხობი)
ჭიათურა (ჭიათურა)-მეშახტე (ტყიბული)
დინამო (ბათუმი)-მერანი (მარტვილი)
იმერეთი (ხონი)-გურია (ლანჩხუთი)
*ჩხერიმელა (ხარაგაული) - ისვენებს*

### XIX ტური
**4 მარტი, პარასკევი**

გურია-ბათუმი
მერანი-ჭიათურა
მეშახტე- ნ. დინამოელი
გაგრა-ჩიხურა
კოლხეთი-სქური
სამგურალი-გორი
ადელი-მერცხალი
ლოკომოტივი-ჩხერიმელა
*იმერეთი - ისვენებს*

### XX ტური
**9 მარტი, ოთხშაბათი**

ჩხერიმელა-ადელი
მერცხალი-სამგურალი
გორი-კოლხეთი
სქური-გაგრა
ჩიხურა-მეშახტე
ნ. დინამოელი-მერანი
ჭიათურა-გურია
ბათუმი-იმერეთი
*ლოკომოტივი - ისვენებს*

### XXI ტური
**14 მარტი, ორშაბათი**

სამგურალი-ჩხერიმელა
გურია-ნ. დინამოელი
მერანი-ჩიხურა
მეშახტე-სქური
გაგრა-გორი
კოლხეთი-მერცხალი
ადელი-ლოკომოტივი
იმერეთი-ჭიათურა
*ბათუმი - ისვენებს*

### XXII ტური
**18 მარტი, პარასკევი**

ლოკომოტივი -სამგურალი
ჩხერიმელა-კოლხეთი
მერცხალი-გაგრა
გორი-მეშახტე
სქური-მერანი
ჩიხურა-გურია
ჭიათურა-ბათუმი
ნ. დინამოელი-იმერეთი
*ადელი - ისვენებს*

### XXIII ტური
**23 მარტი, ოთხშაბათი**

მერანი-გორი

**24 მარტი, ხუთშაბათი**

იმერეთი-ჩიხურა
მეშახტე-მერცხალი
გაგრა-ჩხერიმელა
კოლხეთი-ლოკომოტივი
სამგურალი-ადელი
ბათუმი-ნ. დინამოელი
გურია-სქური
*ჭიათურა - ისვენებს*

### XXIV ტური
**30 მარტი, ოთხშაბათი**

ლოკომოტივი-გაგრა
მერცხალი-მერანი
ადელი-კოლხეთი
ჩხერიმელა-მეშახტე
გორი-გურია
სქური-იმერეთი
ჩიხურა-ბათუმი
ნ. დინამოელი-ჭიათურა
*სამგურალი - ისვენებს*

### XXV ტური
**4 აპრილი, ორშაბათი**

ჭიათურა-ჩიხურა
ბათუმი-სქური
იმერეთი-გორი
გურია-მერცხალი
მერანი-ჩხერიმელა
მეშახტე-ლოკომოტივი
გაგრა-ადელი
კოლხეთი-სამგურალი
*ნ. დინამოელი - ისვენებს*

### XXVI ტური
**8 აპრილი, პარასკევი**

სამგურალი-გაგრა
ადელი-მეშახტე
ლოკომოტივი-მერანი
ჩხერიმელა-გურია
გორი-ბათუმი
სქური-ჭიათურა
ჩიხურა-ნ. დინამოელი
მერცხალი-იმერეთი
*კოლხეთი - ისვენებს*

### XXVII ტური
**13 აპრილი, ოთხშაბათი**

ნ. დინამოელი-სქური
ჭიათურა-გორი
ბათუმი-მერცხალი
იმერეთი-ჩხერიმელა
გურია-ლოკომოტივი
მერანი-ადელი
მეშახტე-სამგურალი

**14 აპრილი, ხუთშაბათი**

გაგრა-კოლხეთი
*ჩიხურა - ისვენებს*

**19 აპრილი, სამშაბათი**

დ. ყიფიანის სახ. თასი.
1/2 ფინალის პირველი შეხვედრა

### XXVIII ტური
**20 აპრილი, ოთხშაბათი**

სამგურალი-მერანი
ადელი-გურია
მერცხალი-ჭიათურა
ლოკომოტივი-იმერეთი
ჩხერიმელა-ბათუმი
გორი-ნ. დინამოელი
სქური-ჩიხურა
კოლხეთი-მეშახტე
*გაგრა - ისვენებს*

### XXIX ტური
**28 აპრილი, ხუთშაბათი**

ჩიხურა-გორი
ბათუმი-ლოკომოტივი
ნ. დინამოელი-მერცხალი
ჭიათურა-ჩხერიმელა
იმერეთი-ადელი
გურია-სამგურალი
მერანი-კოლხეთი

**29 აპრილი, პარასკევი**

მეშახტე-გაგრა
*სქური - ისვენებს*

**4 მაისი, ოთხშაბათი**

დ. ყიფიანის სახ. თასი. 1/2 ფინალი
საპასუხო შეხვედრა

### XXX ტური
**7 მაისი, შაბათი**

სამგურალი-იმერეთი
ჩხერიმელა-ნ. დინამოელი
კოლხეთი-გურია
ადელი-ბათუმი
ლოკომოტივი-ჭიათურა
მერცხალი-ჩიხურა
გორი-სქური

**8 მაისი, კვირა**

გაგრა-მერანი
*მეშახტე-ისვენებს*

### XXXI ტური
**12 მაისი, ხუთშაბათი**

სქური-მერცხალი
ჩიხურა-ჩხერიმელა
ნ. დინამოელი-ლოკომოტივი
ჭიათურა-ადელი
ბათუმი-სამგურალი
იმერეთი-კოლხეთი
მერანი-მეშახტე
გურია-გაგრა
*გორი - ისვენებს*

### XXXII ტური
**16 მაისი, ორშაბათი**

მეშახტე-გურია
იმერეთი-გაგრა
კოლხეთი-ბათუმი
სამგურალი-ჭიათურა
ადელი-ნ. დინამოელი
ლოკომოტივი-ჩიხურა
ჩხერიმელა-სქური
მერცხალი-გორი
*მერანი - ისვენებს*

### XXXIII ტური
**20 მაისი, პარასკევი**

გორი-ჩხერიმელა
სქური-ლოკომოტივი
ჩიხურა-ადელი
გურია-მერანი
ბათუმი-გაგრა
ნ. დინამოელი-სამგურალი
ჭიათურა-კოლხეთი
იმერეთი-მეშახტე
*მერცხალი - ისვენებს*

### XXXIV ტური
**24 მაისი, სამშაბათი**

გაგრა-ჭიათურა
ადელი-სქური
ჩხერიმელა-მერცხალი
მერანი-იმერეთი
მეშახტე-ბათუმი
კოლხეთი-ნ. დინამოელი
სამგურალი-ჩიხურა
ლოკომოტივი-გორი
*გურია - ისვენებს*

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVIII ტურის წინ

# ფერგიუსონის ხელოვნება და ტური ლიდერების გარეშე

აგვისტოს ბოლოდან მოყოლებული ყველა იმას ამბობს, რომ პრემიერლიგაში ძალები გათანაბრდა და იმის გამოცნობა, ამა თუ იმ შეხვედრაში ვინ გაიმარჯვებს, შეუძლებელია. მაგრამ, როგორც ჩანს, კატეგორიული განცხადებების გაკეთებაც არ შეიძლება - აი, მოვიდა ტური, სადაც ერთმანეთს „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „უიგანი“ ხვდებიან და... კაციშვილს არ დასცდენია „უიგანი“ მოიგებსო. არც იმას დაგიდევენ, თამაში უიგანის DW-ზე რომ ტარდება. ყველა დარწმუნებულია, რომ ლიდერი გასავარდნთა სამეულის წარმომადგენელს ბდღვირს ადენს.

სტატისტიკა მოვიშველიოთ: „უიგანი“ პრემიერლიგაში 2005 წელს გადავიდა და მას მერე ეს ორი გუნდი თერთმეტჯერ პრემიერლიგაში და ერთხელაც ლიგის თასზე შეხვდა ერთმანეთს. თორმეტივე თამაში მანჩესტერელთა გამარჯვებით დასრულდა. გატანილი და გაშვებული გოლების თანაფარდობას აღარ იკითხავთ? „იუნაიტედმა“ „უიგანის“ კარში 39-ჯერ შეაგდო, გაშვებით კი მხოლოდ 4-ჯერ გაუშვა. ძლიერს სუსტი განსაკუთრებით შარშან „შემოეჩაგრა“, როდესაც შინაც და სტუმრადაც 5:0 მოუგო.

მიმდინარე სეზონში, ნოემბერში, „ოლდ ტრეფორდზე“ მანჩესტერელებმა 2:0 მოიგეს. იმ შეხვედრაში ძალთა ობიექტურ თანაფარდობას ისიც დაემატა, რომ „უიგანს“ მოედნიდან **ანტოლინ ალკარასი** და **უგო როდალეგა** გაუძევეს. კიდევ ღირსშესანიშნავი ის იყო, რომ გამარჯვებამ „იუნაიტედი“ პირველ ადგილზე გადაიყვანა და მართალია, „არსენალს“ მხოლოდ ერთი ქულით გადაასწრო, თამაშით ნაკლები ჰქონდა.

საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ ოთხშაბათს მარსელში, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ნათამაშები 0:0-ის შემდეგ სერ **ალექს ფერგიუსონს** შესაძლოა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელის დასვენება მოუნდეს, მით უფრო, რომ სამშაბათს „ოლდ ტრეფორდზე“ „ჩელსისთან“ გადადებული მატჩის ჩატარება უწევს. მეორე მხრივ კი „არსენალი“, რომელიც ახლახან ვახსენეთ, კუდში მისდევს და მოდუნების საშუალებას არ აძლევს. ერთი სიტყვით, სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს სერ ალექსის სამწვრთნელო ხელოვნება. თან, მიაქციეთ ყურადღება, „ჩელსი“ ამ უქმეებზე არ თამაშობს და სამშაბათამდე „გემრიელად“ დასვენებას მოახერხებს — ამ კვირაში დასავლეთლონდონელებსაც ჰქონდათ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა. „კოპენჰაგენს“ სტუმრად, **ნიკოლა ანელკას** ორი გოლით აჯობეს.

თავის მხრივ, „უიგანს“ ბოლო დროს სულაც არ მიუდის საქმეები ცუდად. გუნდმა „ლივერპულსა“ და „ვესტ ბრომვიჩთან“ ფრედ ითამაშა, „ბლექბერნს“ მოუგო და ფეხბურთელებსაც გული მიეცათ. მაგალითად, ახალგაზრდა ნახევარმცველი **ჯეიმს მაკკარტი** ყინჩად არის:

*„ბოლო პერიოდის კარგი შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენ შესანიშნავ გუნებაზე ვართ და არც „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინაშე ვაპირებთ თავის დახრას. „უიგანისთვის“ ეს დიდი თამაში იქნება. მისთვის საგანგებოდ ვემზადებით. მეტოქის ბოლო რამდენიმე შეხვედრას ჩანაწერში ვუყურეთ და დაკვირვებით შევისწავლეთ. მართალია, ხალხი ამბობს, რომ მანჩესტერელები ამ სეზონში ძველებურად კარგად ვერ თამაშობენ, მაგრამ თამაშებს მაინც იგებენ და ცხრილში პირველ ადგილზე არიან. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მაინც ყველანაირად ძალიან ძლიერი და სახიფათო გუნდია“.*

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაშზე ყურადღება ასე ძალიან იმიტომ გავამახვილეთ, რომ ამ უქმეებზე პრემიერლიგაში ორი მატჩით ნაკლები ტარდება. თან, ფავორიტები არ თამაშობენ: „არსენალს“ „ტოტენჰემთან“ უნდა გაერკვია ურთიერთობა, მაგრამ ამის ნაცვლად, კვირას, „უემბლიზე“ „ქარლინგის“ თასის ფინალში „ბირმინგემს“ ელის. სწორედ ამ „ბირმინგემს უნდა შეხვედროდა „ჩელსი“.

„მანჩესტერ სიტი“ ყოფილი მწვრთნელის, **მარკ ჰიუზის** „ფულჰემს“ მასპინძლობს და, რასაკვირველია, ბრძოლა ელის, თუმცა გამარჯვების შემთხვევაში მესამე პოზიციას განიმტკიცებს. „ლივერპულს“ კი კვირას „ვესტ ჰემთან“ აქვს სათამაშო. თუ გაიმარჯვებს, „ჩელსის“ სამი ქულით მიუახლოვდება. და მაინც, „ლურჯებს“ ორი შეხვედრა თადარიგში რჩებათ... გარდა ამისა, „ლივერპულმა“ ერთი კვირის წინ, ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ „უიგანთან“ ითამაშა 1:1. მაშინ **კენი დალგლიშმა** წაფორხილება კალენდარს დააბრალა, მაგრამ თუ კალენდარსა და დაღლაზეა ლაპარაკი, მაშინ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გუნდმა ხუთშაბათს ევროლიგაში პრალის „სპარტას“ უმასპინძლა და 1:0 გამარჯვებას ძალა შეალია... ერთი სიტყვით, დაღლის მომენტი არც ამჯერად უნდა გამოვრიცხოთ.

| დღეს, 19:00 | |
|---|---|
| ასტონ ვილა | VS |
| ბლექბერნი | |

**დისკვალიფიკაცია:** მაკუნი (ასტ)
**ტრავმა:** კუელიარი, იანგი, დელფი, უაიმენი - ჟივე, ჯონსი.

| დღეს, 19:00 | |
|---|---|
| ვულვზი | VS |
| ბლექპული | |

**ტრავმა:** ზუბარი, კიგთლი, გუედიოურა - რაჩუბკა, გილკსი, კრეინი, ბეშემი, კლარკი

| დღეს, 19:00 | |
|---|---|
| ევერტონი | VS |
| სანდერლენდი | |

**ტრავმა:** როდუელი, საა, ბერკლი - უილბეკი, მეილერი, კატერმოული, ტერნერი, კემპბელი.

| ხვალ, 17:30 | |
|---|---|
| ვესტ ჰემი | VS |
| ლივერპული | |

**ტრავმა:** ტომკინსი, კინი, აპსონი, კურუჟი - შილვი, ჯ. კოული

| დღეს, 19:00 | |
|---|---|
| ნიუკასლი | VS |
| ბოლტონი | |

**ტრავმა:** ამეობი, აირლენდი, სმიტი, ბენ არფა - ნაითი, სამუელი

| ხვალ, 19:00 | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი | VS |
| ფულჰემი | |

**ტრავმა:** რაზაკი, დე იონგი, ა. ჯონსონი - ეტუჰუ, სენდეროსი

| დღეს, 19:00 | |
|---|---|
| უიგანი | VS |
| მანჩესტერ იუნ. | |

**ტრავმა:** კლივერლი, ალკარასი - ანდერსონი, ოუენი, პარკ ჯი-სუნი, ჰარგრივზი, ევანსი, ფედინანდი, ვალენსია

| ზეგ, 00:00 | |
|---|---|
| სტოკი | VS |
| ვესტ ბრომვიჩი | |

**ტრავმა:** ეზერინგტონი, სიდიბე - იბანიესი



| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 26 | 16 | 9 | 1 | 57-25 | 57 |
| 2. არსენალი | 27 | 17 | 5 | 5 | 57-27 | 56 |
| 3. სიტი | 27 | 14 | 7 | 6 | 43-24 | 49 |
| 4. ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38-31 | 47 |
| 5. ჩელსი | 26 | 13 | 6 | 7 | 46-22 | 45 |
| 6. ლივერპული | 27 | 11 | 6 | 10 | 35-32 | 39 |
| 7. სანდერლენდი | 27 | 9 | 10 | 8 | 33-33 | 37 |
| 8. ბოლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 38-37 | 36 |
| 9. ნიუკასლი | 27 | 9 | 8 | 10 | 42-38 | 35 |
| 10. სტოკი | 27 | 10 | 3 | 14 | 31-34 | 33 |
| 11. ბლექბერნი | 27 | 9 | 5 | 13 | 34-42 | 32 |
| 12. ბლექპული | 27 | 9 | 5 | 13 | 42-51 | 32 |
| 13. ფულჰემი | 27 | 6 | 13 | 8 | 28-28 | 31 |
| 14. ევერტონი | 26 | 6 | 12 | 8 | 33-36 | 30 |
| 15. ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25-35 | 30 |
| 16. ასტონ ვილა | 27 | 7 | 9 | 11 | 31-46 | 30 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 27 | 7 | 7 | 13 | 35-52 | 28 |
| 18. უიგანი | 27 | 5 | 12 | 10 | 27-45 | 27 |
| 19. ვესტ ჰემი | 27 | 5 | 10 | 12 | 30-48 | 25 |
| 20. ვულვზი | 27 | 7 | 4 | 16 | 27-46 | 25 |

**ბომბარდირები:** 19 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 18 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი/ლივერპული); 10 - ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი), ნოლანი (ნიუკასლი), ბენტი (ასტონ ვილა), ვან პერსი (არსენალი);

კონფლიქტი



## ამორალური არსენალი

ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონასა“ და „არსენალის“ მერვედფინალურმა დაპირისპირებამ ინგლისური მასმედია ისე შთააგონა, რომ დღე არ გავა, თამაშს მიღმა რაიმე სხვა თემა არ გამონახოს. რასაკვირველია, ეს თემები ესპანეთისა და ინგლისის ამ გუნდების ქიშპობას შეიცავს. ერთ მათგანზე - „არსენალის“ კაპიტნის, **სესკ ფაბრეგასის** ლონდონიდან „ბარსაში“ გაჭიანურებულ ტრანსფერზე ხომ დაუსრულებლად შეიძლება წერა და, როგორც „ლელოს“ მკითხველს მოეხსენება, იქვეა დავის მეორე ობიექტიც - დედით ინგლისელი და მამით კატალონიელი 16 წლის **ჯონ მიგელ ტორალ ჰარპერი**. „ბარსელონას“ სკოლის ამ აღსაზრდელს, რომელსაც, ბედის ირონიით, ოთხი გვარსახელიდან ორი ინგლისური აქვს და ორიც ესპანური, „არსენალი“ ეპატიჟება - სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს. კონტრაქტის ღირებულება 750 ათასი ფუნტია. ამბობენ, რომ „ბარსა“ ყმაწვილს იმ ხელფასს, რასაც ლონდონელები სთავაზობენ, ვერ გადაუხდის და ამიტომ საკითხი, როგორც ჩანს, გადაწყვეტილია, მაგრამ კატალონიელთა პრეზიდენტი **სანდრო როსელი** ბრაზობს. მას თვით **არსენ ვენგერი** შემოელანძღა:

*„ჩვენ „არსენალის“ დირექტორებს ვუთხარით, რომ კარგად ვიცით, როგორ ცდილობენ ტორალის ლონდონში წაყვანას და ისიც გასაგებად ავუხსენით, რომ მათი საქციელი არ მოგვწონს. კანონი მათ არ დაურღვევიათ, თუმცა მათი საქციელი ამორალური იყო. ძალიან გვალიზიანებს ის ფაქტი, რომ ისინი ჩვენი სკოლის აღსაზრდელთან მაშინ მივიდნენ, როდესაც ის ჯერ კიდევ 15 წლის გახლდათ.*

*ამქვეყნად ორი მიდგომა არსებობს: ჩვენ ფულს საკუთარ აკადემიაში ვდებთ და მომავალ თაობას თავად ვზრდით, სხვები კი მთელ ევროპაში „თევზაობენ“. „არსენალი“ სწორედ ასეთია“.*

შემდეგ ჟურნალისტებმა როსელს ფაბრეგასის ტრანსფერზეც ჰკითხეს. „ბარსას“ პრეზიდენტმა მიუგო:

*„თუ ჩვენს მწვრთნელებს სესკთან თანამშრომლობა აინტერესებთ, მაშინ ყველაფერი ზაფხულში გამოჩნდება“.*

ქარლინგის თასი

# შჩესნის პოლონელი პაპა და ბირმინგემის კოსტიუმი



„ქარლინგის“ თასის ფინალზე ლაპარაკი „არსენალის“ კაპიტნის **სესკ ფაბრეგასის** ამბით დავიწყოთ: ფაბრესი დაშავებულია და „უემბლიზე“ „ბირმინგემის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს! ასეთია ესპანელი ფეხბურთელისთვის მწარე რეალობა. მას ორთავა კუნთი სტკივა. ბუნებრივია, ამის გაგონებაზე პირველი კითხვა, რაც გონებაში მოდის, ესაა: ვერც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში ითამაშებს სესკი? შეგახსენებთ, ეს მატჩი „კამპ ნოუზე“ 8 მარტს გაიმართება: „არსენალს“ „ბარსელონასთან“ პირველ შეხვედრაში 2:1 აქვს მოგებული. ამ კითხვაზე პასუხი ლონდონელების ქომაგთათვის სასიხარულოა - ფაბრეგასი ბარსელონაში იქნება!

გაზეთმა „სანმა“ გუშინ გამოაქვეყნა ექსკლუზიური წერილი, უფრო სწორად, მოკლე ინფორმაცია, სადაც წერს, რომ საღამოს სესკი **არსენ ვენგერთან** შესვლას და მუდარას აპირებდა. კაპიტანი ვენგერს დილითაც შეხვდა, რის მერეც კვლავ რენტგენის კაბინეტს მიაშურა. „არსენალის“ ინკოგნიტო თანამშრომელმა გაზეთს უამბო: *„სესკს სიგიჟემდე უნდა თამაში. პირველმა სკანირებამ აჩვენა, რომ მას ორთავა კუნთი მხოლოდ გაჭიმული აქვს და არა გაწყვეტილი. პარასკევს, მეორე სურათის გადაღების შემდეგ მას, რასაკვირველია, კვირამდე სამკურნალოდ დროც დარჩა. ის გუნდის კაპიტანია და ძალიან უნდა თასის ფინალში „უემბლიზე“ გაუძღვეს თანაგუნდელებს. რასაკვირველია, ფაბრეგასი ვენგერის გადაწყვეტილებას პატივს სცემს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც თამაშის სურვილი ყველა სხვა გრძნობაზე მაღლა დგას“.*

შეგახსენებთ, რომ „მეთოფეთა“ თილისმამ ოთხშაბათს, „სტოკთან“, პრემიერლიგის გამოტოვებული შეხვედრის მე-14 წუთზე დატოვა მოედანი. ხუთშაბათს ვენგერმა პრესას ასეთი რამ განუცხადა:

*„ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ სესკი კვირის ფინალს გამოტოვებს. ის ძალიან გულგატეხილია და ჩვენ ყველანი ვწუხვართ, ასე რომ მოხდა. ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია მისთვის გავაკეთოთ, თასის მოგებაა“.*

სხვათა შორის, ამ პრესკონფერენციაზე ვენგერმა თავი აარიდა პასუხს კითხვაზე - ითამაშებს თუ არა ფაბრეგასი 8 მარტს „ბარსელონას“ წინააღმდეგ, მაგრამ ფეხბურთელის პირადმა მწვრთნელმა **ხუან ფერნანდომ** ესპანური რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ვარსკვლავს „კამ ნოუზე“ თამაშის პრობლემა არ ექნება.

რასაკვირველია, ვენგერს ფაბრეგასის მნიშვნელობა და მისი განცდა ძალიან კარგად ესმის, მაგრამ „არსენალს“ წინ იმდენი მნიშვნელოვანი თამაში ელის, რომ მწვრთნელს მინიმალური რისკის გაწევაც კი არ სურს. რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა „ბარსელონასთან“ თამაშზეა ლაპარაკი.

ფაბრეგასის გამოკლება „მეთოფეთათვის“, რასაკვირველია, დიდი დარტყმაა, რადგან გუნდს ისედაც აკლია რამდენიმე ფეხბურთელი: **თეო უოლკოტი, ტომას ვერმაელენი** და **ლუკას ფაბიანსკი**. უოლკოტი, რომელიც ფაბრეგასის მსგავსად „სტოკთან“ შეხვედრაში დაშავდა, უფრო ცუდ დღეშია - მის გამოჯანმრთელებას დრო უნდა და კაცმა არ იცის, მოესწრება თუ არა ეს „ბარსელონასთან“ შეხვედრამდე. ფინალამდე ჯანმრთელობა უნდა შეუმოწმონ **რობინ ვან პერსის, ლორან კოშელნის** და **ალექს სონგს**.

სახალისო ცნობა: ლონდონელთა პოლონელი მეკარის **ვოიცეხ შჩესნის** პაპა ცხოვრებაში პირველად დატოვებს სამშობლოს, რათა „უემბლიზე“ თავისი 20 წლის შვილიშვილის თამაშს დაესწროს.

*„მატჩზე დასასწრებად ჩემი ოჯახის რამდენიმე წევრი მოდის - უთხრა შჩესნიმ ჟურნალისტებს - ჩამოდიან ჩემი ძმა და პაპა კაზიმეჟი, რომელსაც პოლონეთი არასდროს დაუტოვებია, ასე რომ, კვირის შეხვედრა მისთვის დიდი მოვლენაა“.*

„არსენალისთვის“ კარგი ამბავი ის არის, რომ თუ არსენ ვენგერს ამის სურვილი ექნება, „ბირმინგემის“ წინააღმდეგ თამაშს შეძლებს **აარონ რემსი**. მოგეხსენებათ, მან შარშან ფეხი მოიტეხა, გამოჯანმრთელების შემდეგ კი „მეთოფეებმა“ „კარდიფში“ გააქირავეს, რათა იქ პრაქტიკა მიეღო. სულ ახლახან, გასულ კვირას, მან „კარდიფის“ შემადგენლობაში „ლესტერს“ გოლიც კი გაუტანა, მაგრამ დღეს კვლავ ვენგერის განკარგულებაშია.

„ბირმინგემი“ კი 55 წელიწადია „უემბლიზე“ რომელიმე თასის ფინალში არ ყოფილა და, ბუნებრივია, მისთვის კვირის თამაში სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მაგრამ... უკვე მოხდა ისეთი რამ, რამაც ადამიანს შეიძლება აფიქრებინოს, რომ **ალექს მაკლიშის** გუნდი დაითარსა. კერძოდ, ინგლისში არსებობს ტრადიცია, რომლის თანახმადაც, თასის ფინალის წინ მეტოქეები „უემბლის“ მინდორზე საგანგებოდ ამ დღისთვის შეკერილი კოსტიუმებით გადიან და ხალხს ესალმებიან. „ბირმინგემ სიტიმ“ სამკერვალო „ჰერვი ნიკოლსთან“ დადო 9 ათას ფუნტიანი ხელშეკრულება, მაგრამ მხარეები ფერებზე ვერ შეთანხმდნენ და... აღარ ესწრება. თურმე ფეხბურთელები საკლუბო ფერების, მუქი ლურჯის, ცისფერისა და თეთრის კომბინაციას ითხოვდნენ, სამკერვალომ კი უთხრა, რომ ამ ფერის ნაჭრები არ აქვთ. დაიწყეს გამოსავლის ძებნა და სანამ ესკიზები შედგა, თამაშიც კარს მოადგათ.

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

იტალია. სერია A. XXVII ტურის წინ

# ევროფიასკოთი დაჩრდილული ტური

## და თამაში ექვს ქულაზე

მორიგი ტური მოახლოვდა, თუმცა იტალიურ სპორტულ პრესაში ჯერ კიდევ სერია A-ს ბინადართა ევროასპარეზზე წარუმატებელი თამაში განიხილება. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე სამივე აპენინურმა გუნდმა საშინაო მარცხი განიცადა, ევროპის ლიგიდან კი „ნაპოლი" „ვილიარეალმა დაიფრინა. არადა, ეს ის „ნაპოლია", რომელიც სერია A-ს სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა და ჩემპიონობისთვის იბრძვის. ეს კრიზისია - წერს „გაძეტა დელო სპორტი" და სრულიად სამართლიანადაც. კრიტიკა ჯერ მაინც მოზომილია, რადგან წინ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის განმეორებითი მატჩებია, მაგრამ თუ მოლოდინი გამართლდა და სამივე აპენინური გუნდი ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის მიღმა დარჩა, სპორტულ მედიაში ნამდვილად განგაშის ზარს შემოკრავენ. სრულიად საფუძვლიანადაც, რადგან პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ 2012-2013 წლებიდან სერია A-ს მხოლოდ სამი გუნდი ეყოლება ჩემპიონთა ლიგაში.

ყველაფერ ამის ფონზე, მორიგი ტური თითქოს ჩრდილშია მოქცეული, მაგრამ ეს ალბათ მაინც დროებითი მოვლენაა და უმჯობესია, დაგეგმილ შეხვედრებზე გადავიდეთ. ტურის ცენტრალური მატჩი ორშაბათისთვის არის გადატანილი, რადგან „ნაპოლიმ" ხუთშაბათს ევროპის ლიგის პაექრობა გამართა. **ვალტერ მაძარის** გუნდი „მილანს" ესტუმრება და თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა, ამაზე საუბარს სჯობს პირდაპირ სატურნირო ცხრილს ჩავხედოთ. ასეთ შემთხვევებში ამბობენ, რომ თამაში ექვს ქულაზეაო და ვნახოთ, ვის გაუღიმებს ფორტუნა. თუმცა, გუნდები მხოლოდ იღბლის იმედზე ყოფნას არ აპირებენ და სრულ საბრძოლო განწყობაზე არიან. მოვუსმინოთ ნეაპოლელთა მთავარ მწვრთნელს და ამაში დავრწმუნდებით: *„ევროპის ლიგაზე წარუმატებელი ასპარეზობა სასწრაფოდ უნდა დავივიწყოთ და სერია A-ზე გადავერთოთ. „ვილიარეალთან" პაექრობაში ედინსონ კავანი სათადარიგოთა სკამზე დავტოვე, რადგან მსურს, რომ „მილანთან" მატჩს იდეალურ კონდიციაში შეხვდეს. ეს არის სეზონის მატჩი, რომელშიც იმაზე მეტი უნდა გავაკეთოთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ საჭირო გახდა, თავს ზემოთაც ავხტეთ. ჩემპიონატი დასკვნით ფაზაში შედის და თითოეულ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფეხბურთელები საბრძოლოდ არიან განწყობილნი - ასეთი თამაშის წინ სწორედ ეს არის მთავარი და არა ტაქტიკა-სტრატეგია"*.

თუ **ესეკიელ ლავეცის** დისკვალიფიკაციას არ ჩავთვლით, „ნაპოლი" ფაქტობრივად უდანაკარგოდ ჩადის მილანში. თუმცა, არგენტინელი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და მისი არყოფნა სტუმრებს აუცილებლად დაეტყობათ. ლავეცის ან **სოსა** შეცვლის, ან **მასკარა**, თუმცა უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება.

დიდი სამზადისი აქვს **მასიმილიანო ალეგრის**, რომელიც **ანტონიო კასანოს** უპირებს სათადარიგოთა სკამზე დატოვებას. ასეთ ინფორმაციას ავრცელებს „გაძეტა დელო სპორტი" და ვარაუდობს, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან** ერთად, ძირითადში **ალეშანდრე პატოსა** და **რობინიოს** ვიხილავთ. საინტერესოდ გამოიყურება ნახევარდაცვის ხაზი, რომელიც სავარაუდოდ შემდეგი სამეულისგან დაკომპლექტდება: **კევინ პრინც ბოატენგი, ჯენარო გატუზო** და **მარკ ვან ბომელი**. ალეგრის თქმით, მთავარია მისი გუნდი მოედნის ცენტრზე გაბატონდეს: *„მართალია, მასპინძლები ჩვენ ვართ, მაგრამ არა მგონია, რომ ნეაპოლელებმა მეორე ნომრად ასპარეზობა მოისურვო. ეს ჩვენ უნდა ვაიძულოთ და ცენტრში უპირატესობა მოვიპოვოთ. არ ვთვლი, რომ ამ პაექრობაში სკუდეტოს ბედი წყდება, მაგრამ თამაშის მნიშვნელობას ბოლომდე ვაცნობიერებ. ფეხბურთელებიც მოტივირებულები არიან, ეს ვარჯიშებზეც აშკარად ეტყობათ"*.

**დღეს, 18:00**
**იუვენტუსი – ბოლონია**
**დისკვალიფიკაცია:** ბუფონი - რამირესი.
**ტრავმა:** რინაუდო, დე ჩელიე, სისოკო, კვალიარელა - ეკდალი, გარიჩი.

**ხვალ, 15:30**
**კატანია – ჯენოა**
**დისკვალიფიკაცია:** სპოლი - რაფინია.
**ტრავმა:** კაპუანო, ბიაჯანტი, ბელუში, შაკა, მარტინიო - დესტრო, კონკო, კიკო, მილანეტო.

**ხვალ, 18:00**
**რომა – პარმა**
**დისკვალიფიკაცია:** როზი, მექსე, გრეკო (რომ).
**ტრავმა:** ადრიანო, პეროტა, კასტელინი - კალვო, მარკესი.

**ხვალ, 18:00**
**ბარი – ფიორენტინა**
**დისკვალიფიკაცია:** როსი (ბარ).
**ტრავმა:** ბარეტო, ს. მაზიელო, კუტუზოვი, ბელმონტე, ალმირონი, რუდოლფი - სანტანა, კროლდრუპი, იოვეტიჩი, ფრეი.

**ხვალ, 18:00**
**კალიარი – ლაციო**
**ტრავმა:** როსი, დიაკიტე, მაური, მუსლერა, ბროკი (ლაც).

**ხვალ, 18:00**
**ბრეშა – ლეჩე**
**დისკვალიფიკაცია:** ჯაკომაცი, ვივესი (ლეჩ).
**ტრავმა:** დალამანო, სერენი, ფილიპინი, კორდოვა - ჯულიატო, დი მიკელე, ოფერე, ტომოვიჩი, ფერარიო.

**ხვალ, 18:00**
**ჩეზენა – კიევო**
**დისკვალიფიკაცია:** ცეზარი, რიგონი (კიევო).
**ტრავმა:** ფატიჩი - ლუჩანო.

**ხვალ, 18:00**
**პალერმო – უდინეზე**
**დისკვალიფიკაცია:** კამოციერი, გარსია (პალ).
**ტრავმა:** კასანი, მიკოლი, პინილია, გოიანი - ბასტა, ფერონეტი, ანჯელა.

**ხვალ, 23:45**
**სამპდორია – ინტერი**
**დისკვალიფიკაცია:** მაიკონი (ინტ).
**ტრავმა:** სემიოლი, პოცი - სამუელი, მილიტო, რანოკია, კორდობა.

**ზეგ, 23:45**
**მილანი – ნაპოლი**
**დისკვალიფიკაცია:** ლავეცი (ნაპ).
**ტრავმა:** პირლო, ინძაგი, ბონერა, ამბროზინი, ანტონინი - გრავა.



საინტერესო მატჩი გაიმართება გენუაში, სადაც „სამპდორია" „ინტერს" უმასპინძლებს. ერთი მხრივ, „სამპასთან" გასვლაზე თამაში არ უნდა იყოს იოლი, მაგრამ მეორე მხრივ, გენუური გუნდი სრულიად უმოტივაციოდ არის დარჩენილი. **ანჯელო პალომბომ** ისიც კი თქვა ჟურნალისტებთან საუბარში, რომ ერთი სული აქვს, როდის დასრულდება მიმდინარე სეზონი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან გუნდი ცხრილის შუაგულშია გაჭედილი, არც დაქვეითება ემუქრება, მაგრამ ველარც ევროსაგზურს შესწვდება. „ინტერი" სკუდეტოსთვის ბრძოლაშია ჩაბმული და ფავორიტად სწორედ მილანური გრანდი უნდა მივიჩნიოთ. **ლეონარდო** დაცვაში არსებული პრობლემებით გახლავთ შეშფოთებული, რადგან „ინტერს" კიდევ ორი მცველი გამოაკლდა: **ანდრეა რანოკია** და **ივან კორდობა**. ორივე ტრავმირებულია და „სამპდორიასთან" თამაშის გამოტოვება მოუწევთ. დაცვის ცენტრში **კრისტიან კივუ** შეიწევს და **ლუსიოსთან** შექმნის ტანდემს, ფლანგებზე კი **ძანეტის** და **ნაგატომოს** ვიხილავთ. შეტევის წინა ხაზზე **ჯამპაოლო პაცინი** და **სამუელ ეტოო** გაირჯებიან, მათ უკან კი **ვესლი სნეიდერი** იმოქმედებს.

„რომა" საკუთარ მოედანზე „პარმას" უმასპინძლებს და შეეცდება ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვოს. **ვინჩენცო მონტელას** გულშემატკივრები მხურვალე დახვედრას მოუწყობენ და ვნახოთ, რამდენად გაამართლებს ვინჩენცო მათ მოლოდინს. ამჯერად, სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრება **ფრანჩესკო ტოტი**, რომელიც სავარაუდოდ **მირკო ვუჩინიჩს** შეუწყვილდება. **მარკო ბორიელო** „ბოლონიასთან" პაექრობაში მეტად ინერტული გახლდათ და ამჯერად, რეზერვში მოუწევს ყოფნა. ინტერესს იწვევს „პალერმო'-"უდინეზეს" შეხვედრაც, რადგან ორივე გუნდი მაღალი ადგილებისთვის იბრძვის. თუ სიცილიელებმა სამი ქულის აღება ვერ მოახერხეს, საბოლოოდ დაემშვიდობებიან ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსს - გამარჯვების შემთხვევაში კი საკუთარის გარდა, „ლაციოს" საქმესაც გააკეთებენ. სიტყვამ მოიტყანა და აღვნიშნოთ, რომ „ბიანკოჩელესტეს" სარდინიაში ელის რთული გასვლა. „კალიარი" საკმაოდ კარგ ფორმაშია და სახლში იოლად არაფერს დათმობს. სულ ბოლოს კი ტურის პირველი მატჩის შესახებ უნდა ვთქვათ - კრიზისში მყოფი „იუვენტუსი" „ბოლონიას" მიიღებს და შეეცდება გაანადგუროს მეტოქე. მხოლოდ ეს თუ უშველის ტურინულ გრანდს, რომ ტიფოზების აგრესია აიცილოს თავიდან. ჯერჯერობით, „იუვეს" საქმე უკან მიდის, გუნდს ვერც **ჯანლუიჯი ბუფონის** დაბრუნებამ უშველა და ვერც „ინტერთან" გამარჯვებამ. თუ კიდევ ფიქრობენ პიემონტელები ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას, „ბოლონია" ყოველმიზეზგარეშე უნდა დაამარცხონ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 26 | 16 | 7 | 3 | 46-20 | 55 |
| 2. ნაპოლი | 26 | 16 | 4 | 6 | 41-22 | 52 |
| 3. ინტერი | 26 | 15 | 5 | 6 | 47-29 | 50 |
| 4. ლაციო | 26 | 14 | 6 | 6 | 33-22 | 48 |
| 5. უდინეზე | 26 | 13 | 5 | 8 | 42-30 | 44 |
| 6. რომა | 26 | 12 | 6 | 8 | 39-36 | 42 |
| 7. იუვენტუსი | 26 | 11 | 8 | 7 | 41-32 | 41 |
| 8. პალერმო | 26 | 12 | 4 | 10 | 44-36 | 40 |
| 9. კალიარი | 26 | 10 | 5 | 11 | 32-28 | 35 |
| 10. ჯენოა | 26 | 9 | 8 | 9 | 24-25 | 35 |
| 11. ფიორენტინა | 26 | 8 | 9 | 9 | 28-28 | 33 |
| 12. ბოლონია | 26 | 9 | 8 | 9 | 27-34 | 32 |
| 13. კიევო | 26 | 7 | 10 | 9 | 28-29 | 31 |
| 14. სამპდორია | 26 | 7 | 10 | 9 | 23-27 | 31 |
| 15. პარმა | 26 | 6 | 9 | 11 | 25-36 | 27 |
| 16. ლეჩე | 26 | 7 | 6 | 13 | 28-46 | 27 |
| 17. კატანია | 26 | 6 | 8 | 12 | 22-34 | 26 |
| 18. ბრეშა | 26 | 6 | 5 | 15 | 20-33 | 23 |
| 19. ჩეზენა | 26 | 5 | 7 | 14 | 19-36 | 22 |
| 20. ბარი | 26 | 4 | 6 | 16 | 14-40 | 15 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

ბომბარდირები: 20 – კავანი (ნაპოლი); 18 – დი ნატალე (უდინეზე); 15 – ეტოო (ინტერი); 14 - დი ვაიო (ბოლონია), მატრი (იუვენტუსი); 13 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

**ლაშა ნიკლაური**

კვირის ფრაზები, სიმბოლური, ჯახი



## ვენგერ, მათამაშე!

დღეს „არსენალის" კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** გუნდის თავკაც **არსენ ვენგერს** შეხვდება, რადგანაც ესპანელს სურს, რომ ფრანგმა მწვრთნელმა აზრი შეიცვალოს და კვირას ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში („ბირმინგემის" წინააღმდეგ) ათამაშოს – ვკითხულობთ „სანის" სტატიაში. „მეთოფეთა" გუნდის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა: *„ფაბრეგასი კაპიტანია და ბუნებრივია, რომ მას თამაში სურს. ვნახოთ, რა მოხდება, ყველაფერი არსენ ვენგერის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული"*. თუმცა, ცნობილი გახდა, რომ ესპანელის თამაში ფინალში გამორიცხულია.

## დაცინვა ტვიტერსა და ფეისბუქზე

ლონდონის „არსენალის" ახალგაზრდა კიპერმა **ვოიცეხ შჩესნიმ** „ჩელსის" მარცხენა მცველ **ეშლი კოულს** სოციალურ ქსელებზე „ტვიტერსა" და „ფეისბუქზე" დასცინა. მიზეზი: ინგლისის ასოციაციის თასის 1/16-ფინალში „ჩელსიმ" „ევერტონთან" თერთმეტმეტრიანებში წააგო და გადამწყვეტი პენალტი კოულმა ვერ შეაგდო. შჩესნი ზემოხსენებულ სოციალურ ქსელებზე წერს: *„ნეტა, ეშლი კოული დარტყმისას რაზე ფიქრობდა, რას უმიზნებდა? ვშიშობ, თვითმფრინავს"*.

## დორტმუნდს შანსი არ აქვს!

მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტი **ული ჰიონესი** კომენტარს უკეთებს მომავალ დიდ ჯახს, რომელშიც მისი გუნდი ბუნდესლიგის ლიდერ დორტმუნდის „ბორუსიას" უმასპინძლებს. *„მე „ბაიერნის" დამაჯერებელ მოგებას ველი და ყოვლად დაუშვებლად ვთვლი ფრეს ან წაგებას, - უამბო ჰიონესმა „ბილდს" - ჩვენ უკეთესი გუნდი გვყავს, ვიდრე „დორტმუნდს". მათ არანაირი შანსი არ აქვთ, ჩვენ ორი ბურთის სხვაობით მოვიგებთ"*.

## კვირის სიმბოლური

**(4-4-2): დანიელ არანსუბია** (დეპორტივო) – **რიკარდო კარვალიო** (რეალი), **ანდრეა ასვოლფი** (ნიურნბერგი), **მიკელე კანინი** (კალიარი), **მარსელ შმელცერი** (დორტმუნდი) – **ბასტიან შვაინშტაიგერი** (ბაიერნი), **ანხელ დი მარია** (რეალი), **ჩავი** (ბარსელონა), **ერნანესი** (ლაციო) – **შტეფან კისლინგი** (ლევერკუზენი), **სერხიო აგუერო** (ატლეტიკო).

## კვირის მომავალი ჯახი

კვირის მომავალ მთავარ მატჩად ჩვენ ბუნდესლიგის ჯახს მივიჩნევთ, რომელშიც ერთმანეთის წინააღმდეგ ჩემპიონატის ლიდერი „დორტმუნდი" და მისი მთავარი კონკურენტი მიუნხენის „ბაიერნი" წარსდგებიან, რომელმაც ოთხშაბათ საღამოს „ინტერს" მოუგო „სან სიროზე" - 0:1. „დორტმუნდს" შესაძლოა ამ მატჩში არ ჰყავდეს გუნდის პირველი მეკარე **რომან ვაიდენფელერი**, რომელმაც ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. რაც შეეხება „ბავარიას": მათ რაიმე სერიოზული ტრავმიანობა არ გააჩნიათ, მეტიც: როგორც იქნა, **არიენ რობენი** და **ფრენკ რიბერი** ერთად თამაშობენ.

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXV ტურის წინ

# ბარსა ბალეარებზე, არსენალზე ფიქრში

## კვირას დიდი მატჩია, დიდი

ჩემპიონი და მისი ერთადერთი კონკურენტი, ორივე სტუმრად თამაშობს. წყვილები ისეთია, დიდებულად ჟღერს, მაგრამ ერთია, „მალიორკა“-„ბარსელონასა“ და „დეპორტივო“-„რეალს“ ამ რამდენიმე სეზონის წინ გაცილებით მეტი დატვირთვა ექნებოდა, ვიდრე ახლა: ფინანსურად შეჭირვებულ „მალიორკას“ და აშკარად სუსტი შემადგენლობით დაკომპლექტებულ „დეპორს“ შეუძლიათ კი რეალურად ებრძოლონ გრანდებს? ტურის „მენიუში“ ორი ძალიან კარგი დაპირისპირება გვაქვს - დღეს „ვისენტე კალდერონს“ „სევილია“ ეწვევა, ხვალ კი „სან მამესზე“ ბილბაოს „ატლეტიკი“ „ვალენსიას“ დაუხვდება. ინტერესმოკლებული არც „ესპანიოლისა“ და „რეალ სოსიედადის“ მატჩი უნდა იყოს, ბარსელონას პირველად ეწვევა მტრის ბანაკში რაულ ტამუდო, რომელიც 10 წელი კაპიტნობდა „ესპანიოლს“. ამას გარდა, მეოთხეადგილოსანი „ვილიარეალი“, რომელმაც ევროპის ლიგიდან „ნაპოლი“ გააგდო, შეეცდება „რასინგის“ ახალი მწვრთნელის, **მარსელინოს** 100%-იანი შედეგის შეწყვეტას. დაბოლოს, ტურს მცირე ანდალუსიური დერბი დაასრულებს. მოკლედ, საინტერესო ბევრია...

| დღეს, 21:00 | |
|---|---|
| ატლეტიკო | VS |
| სევილია | |

**ტრავმა:** პულიდო, ფორლანი, გოდინი (?) - პალოპი (?), კასერესი (?), ჩიგარინი, დრაგუტინოვიჩი, გუარენტე, სანჩესი (?)

| დღეს, 21:00 | |
|---|---|
| ესპანიოლი | VS |
| სოსიედადი | |

**დისკვალიფიკაცია:** ტორესი - არანბურუ
**ტრავმა:** მოლინა (?), პენია, ალონსო (?), ფორლინი, ალვარესი, მატიონი, ოსვალდო, ბაენა, როდრიგესი (?) - იფრანი, ხ. ლორენტე

| დღეს, 21:00 | |
|---|---|
| სპორტინგი | VS |
| სარაგოსა | |

**ტრავმა:** ტორე - ლაგუარდია, ლაფიტა

| დღეს, 23:00 | |
|---|---|
| მალიორკა | VS |
| ბარსელონა | |

**დისკვალიფიკაცია:** დანი ალვეში (ბარ)
**ტრავმა:** რამისი, ვიქტორი, პინია - ვალდესი, პუიოლი, ჩავი, ჟეფრენი

| დღეს, 01:00 | |
|---|---|
| დეპორტივო | VS |
| რეალი | |

**ტრავმა:** სისკო, მანუელ პაბლო (?), ურეტა, საული - იგუაინი, ხედირა, კანალესი, დუდეკი (?)

| ხვალ, 20:00 | |
|---|---|
| ერკულესი | VS |
| ხეტაფე | |

**დისკვალიფიკაცია:** კორტესი, აგილარი, როდრიგესი - მარკანო
**ტრავმა:** დრენტე, ვალდესი, ფრიტცლერი, პამარო (?), სარი (?) - არისმენდი, უსტარი, მარიო, დელ მორალი

| ხვალ, 20:00 | |
|---|---|
| ლევანტე | VS |
| ოსასუნა | |

**ტრავმა:** გონსალესი, პალიარდო, პერესი - ფლანიო, სეხუდო (?), კორომინასი, სერხიო, რობერტო, რუპერი, არანდა

| ხვალ, 20:00 | |
|---|---|
| რასინგი | VS |
| ვილიარეალი | |

**დისკვალიფიკაცია:** კოლსა - ბრუნო
**ტრავმა:** სერანო, ციოლისი, დიოპი - ლოპესი, კარლოსი, სენა

| ხვალ, 00:00 | |
|---|---|
| ბილბაო | VS |
| ვალენსია | |

**დისკვალიფიკაცია:** იტურასპე, ირაოლა (ბილ)
**ტრავმა:** რამალიო, ორბაისი, აურტენეჩე, სან ხოსე, გომესი - მეჰმეთ თოფალი, ვისენტე, სესარი (?), მოია (?)

| ზეგ, 00:00 | |
|---|---|
| მალაგა | VS |
| ალმერია | |

**ტრავმა:** ასენხო, გამესი, მალაგუენო, დიდა, რუბენი, ბაპტიშტა - კრუსატი, ხუანმა ორტისი, ბადიასი, ნიეტო

დავიწყოთ ბალეარის კუნძულებზე გასამართავი მატჩით - ოთხშაბათს „ბარსა“ და მისი გულშემატკივრები, „ლა პულგამ“ ვარჯიში გამოტოვა, მცირე ტრავმას იშუშებდა, მაგრამ „ოქროს ბურთის“ მფლობელი მეორე დღესვე გამოჩნდა ბაზაზე და ჩვეულებრივ, გუნდთან ერთად ივარჯიშა. **ხოსეპ გვარდიოლამ** შვებით ამოისუნთქა, მას **მესის** გარეშე არ მოუწევს ფონს გასვლა, არც „მალიორკასთან“ და არც რამდენიმე დღეში - „არსენალის“ წინააღმდეგ. გვარდიოლამ სარეზერვო გუნდიდან პირველში **ტიაგო** (როგორც ხშირად ხდება ხოლმე ბოლო დროს), **მინიო** და **მონტოია** გადაიყვანა.

პეპმა გადაწყვიტა - „ბარსა“ კუნძულებზე არ წაიყვანს ტრავმირებულებს, **ვალდესს, პუიოლს, ჩავისა** და **ჟეფრენს** (რომელიც თითქმის გამოჯანმრთელდა), აგრეთვე დისკვალიფიცირებულ **დანი ალვეშს**. ჯანზე მყოფ 15-ეულს კი ზემოთ ჩამოთვლილი რეზერვისტები შეემატებიან, რომ მატჩის განაცხადი შეავსონ, თუმცა ტიაგო ალკანტარას თამაშს მეორე ტაიმში არ გამოვრიცხავთ.

*„მალიორკაში იმ ფეხბურთელებით მივდივართ, რომლებიც ამ ეტაპისთვის მწყობრში არიან. რაცა ვართ, ესა ვართ, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს გუნდიც იტყვის თავის სიტყვას. სეზონის განმავლობაში, ადრე თუ გვიან, დგება მომენტი, როცა ტრავმები გუნდს მოეძალება. როცა გავიგე, რომ ჩავის, ვალდესის და სხვების გამოყენება „მალიორკასთან“ არ შემეძლო, უბრალოდ, „წავშალე“ ისინი ჩემი ცნობიერებიდან და სხვებით შევცვალე. „მალიორკა“ ძალზე სერიოზული მეტოქეა, როცა ეს გუნდი შინ თამაშობს, ევროპული კლასის გუნდის შთაბეჭდილებას სტოვებს“*, - განაცხადა გვარდიოლამ, რომელმაც ვერ აუარა გვერდი ჩემპიონთა ლიგის თემას და „არსენალთან“ მომავალ დაპირისპირებას: *„ეს ისეთი თამაშია, სადაც უნდა გამოჩნდეს, რანი ვართ რეალურად, რისი მიღწევა შეგვიძლია. ჩვენი მიზანი კი ჯერ მეოთხედფინალში გასვლაა“*.

„ბარსას“ თავკაცი აღიარებს, რომ ტიტულის ბედი ჯერ ღიაა, თუმცა, მისი აზრით, ყველაზე რთული პერიოდი გუნდმა უკვე მოიტოვა უკან: *„ლიგაში ჯერ კიდევ 14 თამაში რჩება, ეს კი უამრავი ქულაა. ჩვენ გვრჩება რამდენიმე ძალზე მძიმე გასვლა, მაგრამ არ ვეთანხმები მოსაზრებას, თითქოს, ეს პერიოდია ყველაზე რთული. ყველაზე რთული პერიოდი ნოემბერი - იანვარია და ჩვენ ის უკვე გავიარეთ“*.

წინასამატჩო პრესკონფერენციაზე პეპს **ჯონ მიგელ ტორალზეც** ჰკითხეს, რომლის ტრანსფერსაც „არსენალში“ „ბარსას“ პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** ინგლისელთა მხრიდან ამორალური საქციელი უწოდა. პეპი კი ამბობს: *„მას ყველა უფლება ჰქონდა „არსენალში“ წასვლის, ვუსურვებ წარმატებულ საფეხბურთო კარიერას“*. ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ აღვნიშნავთ, რომ ტორალის აგენტი პეპის ძმა **პერე გვარდიოლაა**.



მესიმ ბარსას ბანაკი ერთი დღით შეაშინა

ორი სიახლეც „ბარსას“ ბანაკიდან, რომელიც უშუალოდ „მალიორკასთან“ მატჩს არ უკავშირდება - **ხოსე პინტო**, გოლკიპერი, რომელიც კუნძულელებთან მატჩში სტუმართა კარს დაიცავს, მომავალ კვირაში კონტრაქტს გაახანგრძლივებს. ამის შესახებ თავად პინტომ განუცხადა ოფიციალურ საიტს. მეორე სიახლე კი ასეთია - 20 აპრილს „სამეფო თასის“ ფინალში, კატალონიელ გულშემატკივრებს „მესტალიას“ ჩრდილო სექტორი დაეთმობათ. ამ ამბავმა ერთობ გაახარა ფანები, რადგან ისინი სწორედ იქ ისხდნენ 2009 წლის ფინალში „ბილბაოს“ წინააღმდეგ მოგებულ შეხვედრაში. „ბარსელონას“ ფანებს ფინალის ბილეთი 60 ევრო დაუჯდებათ.

**მიქაელ ლაუდრუპს** „ბარსელონასთან“ დაპირისპირებაში ისევ არ ეყოლება **ივან რამისი** და **ვიქტორ კასედესუსი**.

„რეალი“ „რიასორზე“ საბრძოლველად 20 კაცით მიდის. პირველი გუნდის 24-კაციან სიას **ჟოზე მოურინიომ პედრო ლეონი** გამოაკლო, ხოლო **სერხიო კანალესი, გონსალო იგუაინი** და **სამი ხედირა** ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ გალისიაში. როგორც ხედავთ, ფერნანდო გაგო მატჩის განაცხადშია. ის კი არა, ზოგიერთი არგენტინელს სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრასაც უწინასწარმეტყველებს.

გუშინ მოურინიომ ვარჯიში ორ ნაწილად დაყო, პირველ ნაწილში პორტუგალიელმა აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე აიღო, მეორეში კი ბურთით ვარჯიშზე. მეკარეებმა მეკარეთა მწვრთნელ **სილვინიო ლოუროსთან** ივარჯიშეს, **კასილიასს** და **ადანს** გვერდს **დუდეკი** უმშვენებდა, რომელმაც მოახერხა გამოჯანმრთელება, თუმცა ძნელი სავარაუდოა, რომ პოლონელი მატჩის განაცხადში მოხვდება.

შარშანდელ დაპირისპირებაში „რიასორზე“ ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი მოხდა - **გუტიმ** საფეხბურთო შედევრი აჩუქა პუბლიკას, ქუსლური პასი, რომლის შემდეგაც გოლი **ქარიმ ბენზემამ** გაიტანა. მეკარე **არანსუბიასთან** ერთი-ერთზე გასული „რეალის“ ლეგენდა დარტყმის ნაცვლად არაორდინალურად მოიქცა. ეს თამაში 13 თვის წინ გაიმართა, „რეალმა“ 3:1 მოიგო და „რიასორზე“ 17-წლიანი მოუგებელი სერია დაამხო. „რიასორზე“ „რეალის“ ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტი, 6 გოლი **ალფრედო დი სტეფანოს** აქვს გატანილი. ახლანდელ გუნდში კი ყველაზე მეტად გალისიელები ფრანგ ფორვარდს უნდა უფრთხოდნენ, ბენზემა სამეფო კლუბის ისტორიაში ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც „რიასორზე“ დუბლი შეასრულა, „ლიონთან“ თამაშმაც აჩვენა, რომ ბენზემა, როგორც იქნა, სასურველ ფორმაშია.

პირველ წრეში „რეალმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყო „დეპორს“, 6:1 მოუგო. მიუხედავად ამისა, **მიგელ ანხელ ლოტინა** მიიჩნევს, რომ „რეალთან“ მოგება შეიძლება: *„დიახ, მოგების იმედი მაქვს, რატომაც არა? ეს ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. თუკი შეცდომებს არ დავუშვებთ და ჩვენი თამაშით „რეალს“ წერტილოვან დარტყმებს მივაყენებთ, მოგება მართლა შეიძლება“*, - განუცხადა „მარკას“ გალისიელთა ოპტიმისტმა თავკაცმა. არ დაგვავიწყდეს, „დეპორის“ გოლკიპერის, დანიელ არანსუბის გმირობა წინა ტურში, როცა მან 95-ე წუთზე თავით გაიტანა გოლი და ალმერიაში გუნდს ქულა შეუნარჩუნა. „დეპორტივოს“ ტრავმამოშუშებული ლიდერი უბრუნდება - **ანდრეს გუარდადო**, სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდება. **სისკო** ნამდვილად ვერ ითამაშებს, მას კიდევ 6 კვირა ესაჭიროება სამკურნალოდ, საეჭვოა ვეტერანი მცველის, **მანუელ პაბლოს** თამაშიც.

„ვისენტე კალდერონზე“ ორი ძლიერი, მაგრამ ამ სეზონში ხელმოცარული გუნდი შეერკინება ერთმანეთს. დავიწყებთ იქიდან, რომ „ატლეტიკოს“ თავკაც **კიკე ფლორესს** ზაფხულში მადრიდიდან სწორედ „სევილიაში“ გადასვლას უქადნიან. აღსანიშნავია, ისიც, რომ ორივე გუნდი ნაადრევად დაემშვიდობა ევროთასებს, „ატლეტიკო“ ევროპის ლიგის ჯგუფში ჩარჩა, ხოლო „სევილიამ“ „პორტუსთან“ გმირული დაპირისპირების მიუხედავად პლეი ოფის პირველ რაუნდში დატოვა ასპარეზი.

ცხადია, რომ ამ თამაშში წაგებული ევროთასების საგზურის მოპოვების შანსებს ერთი-ორად შეიმცირებს, თუ საერთოდ არ დაკარგავს... „ატლეტიკომ“ წინა ტურში სტუმრად 1:0 დაამარცხა „სარაგოსა“, რითაც ლა ლიგაში 4-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა. ამას წინათ, **დიეგო მარადონამ** თქვა, რომ **სერხიო აგუეროს** მომავალ სეზონში „რეალის“ რიგებში ხედავს. შეგახსენებთ, რომ „კუნი“ დიეგოს სიძეა. „ატლეტიკოს“ დარჩენილი მატჩებიდან, „რეალთან“ და „ვილიარეალთან“ დაპირისპირებას თუ არ ჩავთვლით, ქაღალდზე ყველა მოსაგებად მოჩანს. თუკი კიკე და მისი გუნდი იოლ კალენდარს არ გამოიყენებენ, შესაძლოა, მართლაც გამართლდეს დიეგოს სიტყვები, „კუნს“ ბევრჯერ უთქვამს, რომ მხოლოდ ამბიციურ გუნდში სურს თამაში.



ჟოზე რიასორზე ლაშქრობის წინ

თავის მხრივ, „სევილია“ მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება „ევროზონას“ და ყველაფრით შეეცდება, „ვისენტე კალდერონზე“ ქულების მაქსიმუმის მოპოვებას. „სევილიას“ ამაში უთუოდ დაეხმარება ხორვატი **ივან რაკიტიჩი**, რომელიც მალევე შეეგუა ახალ კლუბს. დიეგო ფორლანს კოჭი აქვს დაშავებული და მისი თამაში ძალზე საეჭვოა. სამაგიეროდ, მასპინძლებს ბრაზილიელი **ელიასი** დაუბრუნდება, იქნება დისკვალიფიკაციამოხდილი **მარიო სუარესიც** და ნაოპერაციევი **დიეგო გოდინი**. ანდალუსიელთა კოტდივუარელი ნახევარმცველი **რომარიკი** შეუდგა ვარჯიშს და ის მადრიდში წაჰყვება გუნდს. საეჭვოა **მარტინ კასერესის** და **ანდრეს პალოპის** თამაში.

კვირას ბილბაოში „ლომები“ და „ღამურები“ დიდ სანახაობას გვპირდებიან. *„კვირას დიდი მატჩია, დიდი*, - ამტკიცებს ბასკთა მსოფლიოს ჩემპიონი ფორვარდი ფერნანდო ლორენტე - *„სან მამესზე“ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ვიცით ხოლმე, აგრესიულად და ძლიერად. ვფიქრობ, შეგვიძლია „ვალენსია“ დავამარცხოთ და გულშემატკივრები გავახაროთ“*. სხვათა შორის, **უნაი ემერის** გუნდი 4 დეკემბრის შემდეგ დაუმარცხებელია, მაშინ „ლოს ჩემ“ „რეალთან“ წააგო.

**ხოაკინ კაპაროსმა** უკვე განაცხადა, რომ დისკვალიფიცირებულ **ანდონი ირაოლას ოსკარ მარკოსი** შეცვლის, **იტურასპეს** კი - **ტოკერო**. უნაი ემერის თურქი **მეჰმეთ თოფალის** იმედი არ უნდა ჰქონდეს, მას კოჭი აწუხებს და, ალბათ, არ ითამაშებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 24 | 21 | 2 | 1 | 73-13 | 65 |
| 2. რეალი | 24 | 19 | 3 | 2 | 55-19 | 60 |
| 3. ვალენსია | 24 | 14 | 6 | 4 | 38-25 | 48 |
| 4. ვილიარეალი | 24 | 14 | 4 | 6 | 42-24 | 46 |
| 5. ბილბაო | 24 | 12 | 2 | 10 | 38-34 | 38 |
| 6. ესპანიოლი | 24 | 12 | 1 | 11 | 30-35 | 37 |
| 7. სევილია | 24 | 10 | 4 | 10 | 36-38 | 34 |
| 8. სოსიედადი | 24 | 11 | 1 | 12 | 35-37 | 34 |
| 9. ატლეტიკო | 24 | 10 | 3 | 11 | 33-31 | 33 |
| 10. ხეტაფე | 24 | 9 | 4 | 11 | 35-38 | 31 |
| 11. მალიორკა | 24 | 9 | 4 | 11 | 25-31 | 31 |
| 12. რასინგი | 24 | 7 | 7 | 10 | 21-33 | 28 |
| 13. დეპორტივო | 24 | 6 | 8 | 10 | 21-35 | 26 |
| 14. ოსასუნა | 24 | 6 | 7 | 11 | 25-30 | 25 |
| 15. ერკულესი | 24 | 7 | 4 | 13 | 24-38 | 25 |
| 16. სპორტინგი | 24 | 5 | 9 | 10 | 23-31 | 24 |
| 17. ლევანტე | 24 | 7 | 3 | 14 | 24-36 | 24 |
| 18. სარაგოსა | 24 | 5 | 8 | 11 | 22-37 | 23 |
| 19. ალმერია | 24 | 4 | 9 | 11 | 24-40 | 21 |
| 20. მალაგა | 24 | 5 | 5 | 14 | 31-50 | 20 |

**ბომბარდირები:** 25 - ლეო მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 16 - დავიდ ვილია (ბარსელონა); 13 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 12 - ჯუზეპე როსი (ვილიარეალი), პედრო როდრიგესი (ბარსელონა)

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტურის წინ

# ომი თუ მშვიდობა?

## იდეალურ ფორმაში მყოფი ბაიერნი დორტმუნდს სერიოზულ გამოცდას ჩაუტარებს

**გუშინ**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი | 2 |
| ბორუსია (მ) | 1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 23 | 17 | 4 | 2 | 49-13 | 55 |
| 2. ლევერკუზენი | 23 | 13 | 6 | 4 | 48-32 | 45 |
| 3. ბაიერნი | 23 | 12 | 6 | 5 | 49-27 | 42 |
| 4. ჰანოვერი | 23 | 13 | 2 | 8 | 33-31 | 41 |
| 5. მაინცი | 23 | 12 | 1 | 10 | 35-29 | 37 |
| 6. ფრაიბურგი | 23 | 11 | 4 | 8 | 31-30 | 37 |
| 7. ჰამბურგი | 23 | 11 | 3 | 9 | 34-31 | 36 |
| 8. ნიურნბერგი | 23 | 10 | 5 | 8 | 33-31 | 35 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 23 | 8 | 6 | 9 | 40-33 | 33 |
| 10. შალკე | 23 | 8 | 5 | 10 | 28-28 | 29 |
| 11. ზტ. პაული | 23 | 8 | 4 | 11 | 27-37 | 28 |
| 12. აინტრახტი | 23 | 8 | 3 | 12 | 24-32 | 27 |
| 13. ვოლფსბურ. | 24 | 6 | 8 | 10 | 29-34 | 26 |
| 14. კიოლნი | 23 | 7 | 5 | 11 | 30-42 | 26 |
| 15. ვერდერი | 23 | 6 | 6 | 11 | 28-48 | 24 |
| 16. კაიზერსლ. | 23 | 6 | 5 | 12 | 32-41 | 23 |
| 17. შტუტგარტი | 23 | 5 | 4 | 14 | 40-47 | 19 |
| 18. ბორუსია (მ) | 24 | 5 | 4 | 15 | 35-59 | 19 |

**ბომბარდირები:** 18 - გომესი (ბაიერნი); 16 - სისე (ფრაიბურგი); 14 - გეკასი (აინტრახტი); 11 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), ია კონანი (ჰანოვერი); 10 - ბარიოსი (ბორუსია დ), რაული (შალკე), შიურლე (მაინცი).

**დღეს, 18:30**
**შალკე VS ნიურნბერგი**
**დისკვალიფიკაცია:** კოენი (ნიურ)
**ტრავმა:** ჰუგლანდი, პანდერი, პაპადოპულოსი, დანილო აველარი, ყენია, მორიტცი, ხარისტეასი - ფრანტცი, გიუნდოგანი, ბუნიაკუ, შიბერი

**დღეს, 18:30**
**ჰოფენჰაიმი VS მაინცი**
**ტრავმა:** გულდე, ვაისი, ობასი - სვენსონი, შალაი

**დღეს, 18:30**
**კიოლნი VS ფრაიბურგი**
**დისკვალიფიკაცია:** ბრეჩკო, პეტიტი (კიოლ)
**ტრავმა:** ჟერომელი, მაკენა, შორხი, მატუშიკი, პეჟკო, ჩიჰი - პუპლინი, იეგერი, როზენტალი, შუსტერი, ვილიამსი, ბეხმანი

**დღეს, 18:30**
**კაიზერსლაუტ. VS ჰამბურგი**
**ტრავმა:** შიმუნეკი, ილიჩევიჩი, კირხი - დიკმაიერი

**დღეს, 18:30**
**ზტ. პაული VS ჰანოვერი**
**დისკვალიფიკაცია:** თორანდტი (ზტ. პ.)
**ტრავმა:** ეგერი, ლეხნერი, მორება, ოჩიპკა, როთენბახი, ასამოა - ავევორი, ანდრეასენი, ია კონანი

**დღეს, 21:30**
**ბაიერნი VS ბორუსია (დ)**
**ტრავმა:** ოლიჩი - ჰორნშუ, ოვომოიელა, კაგავა, კელი, კრინგე, ზიდანი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბაიერნი (4-2-3-1): კრაფტი - ლამი, ტიმოშჩუკი, ბადშტუბერი, პრანიჩი - ლუის გუსტავო, შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი, რიბერი - გომესი.

ბორუსია დ. (4-2-3-1): ლანგერაკი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი, გიოტცე, გროსკროიტცი - ბარიოსი.

არბიტრი: მანუელ გრეფე (ბერლინი)

**ხვალ, 18:30**
**აინტრახტი VS შტუტგარტი**
**ტრავმა:** ნიკოლოვი, კრისი, ბაირამოვიჩი, კაიო, კლერკი - ბოკა, ფ. დეგენი, აუდელი, ფუნკი, გენტნერი, კაკაუ, პოგრებნიაკი

**ხვალ, 20:30**
**ვერდერი VS ლევერკუზენი**
**დისკვალიფიკაცია:** ფრინგსი (ვერ)
**ტრავმა:** ფანდერი, ბიონიში, ნალდო, დ. იენსენი, აიქი, თაი - გიფერი, ბარნეტა

**მიუნხენის** „ბაიერნს" 24-ე ტურში დორტმუნდის „ბორუსიაზე" სერიოზული დევნის დაწყების უკანასკნელი შანსი ეძლევა: რეკორდმაისტერი ტურისა და ზოგადად სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს მატჩში სწორედ ერთპიროვნულ ლიდერს და ჩემპიონობის ნომერ პირველ კანდიდატს მასპინძლობს. გადარჩენისთვის მებრძოლებს, „კიოლნს", „კაიზერსლაუტერნს" და „ზანკტ პაულის" საშინაო მატჩები აქვთ, შავ დღეში მყოფი „შტუტგარტი" კი ხვალ ფრანკფურტში ჩადის.

### ჰანოვერის ახალი მიზანი

მიუხედავად არცთუ ისე მძიმე მდგომარეობისა, „კიოლნისთვის", „კაიზერსლაუტერნისთვის" და „ზანკტ პაულისთვის" გადარჩენა ჯერ კიდევ მთავარი თემაა და დღეს სამივე მათგანი საკუთარ მოედანზე თამაშობს. ამ სამეულიდან ყველაზე კარგ მდგომარეობაში „ზანკტ პაულია" და კიცელები დღეს „მილერნტორშტადიონზე" „ჰანოვერს" უმასპინძლებენ. **ჰოლგერ სტანისლავსკის** გუნდმა წინა ტურში, დორტმუნდში ცუდად ითამაშა (0:2), რამაც მწვრთნელი ძალიან გააბრაზა. „ჰანოვერელებმა" კი, გადალახეს რა 40-ქულიანი ბარიერი, ამ სეზონში ახალი მიზანი დაისახეს: „წითლებს" დარჩენილ 11 ტურში მინიმუმ 9-ზე მეტი ქულის აღება სურთ და თუ ეს მოახერხეს (რაც რეალურია), „ჰანოვერი" თავისივე რეკორდსაც გააუმჯობესებს. 2007/2008 წლების სეზონში ამ გუნდმა 49 ქულას მოუყარა თავი და „ჰანოვერს" ამაზე მეტი ქულა აქამდე არასდროს დაუგროვებია. **მირკო სლომკას** გუნდს დღეს მთავარი დამრტყმელი ძალა, **დიდიე ია კონანი** არ ეყოლება - კოტ დ'ივუარელი ტრავმირებულია.

### ლაკიჩი ვეღარ ეშმაკობს

„კაიზერსლაუტერნში" ისევ ფეთქებადი სიტუაციაა - „ჰამბურგთან" შეხვედრის წინ „წითელი ეშმაკები" ნერვებმოშლილები არიან. საქმე იმაშია, რომ „ლაუტერნს" მეორე წრეში არც ერთი თამაში არ მოუგია (0/4/2) და უკვე „წითელ ზონაში", მე-16 ადგილზეა. გოლეადორი **სრდიან ლაკიჩი** ხვდება, რომ გუნდს მისი გოლები სჭირდება, მაგრამ 437 წუთია, გატანას ვერ ახერხებს. მას მერე, რაც გაირკვა, რომ სეზონის ბოლოს „ლაუტერნს" დატოვებს, ლაკიჩი რატომღაც ვეღარ „ეშმაკობს".

კიოლნში კი დღესდღეობით ძალიან კარგი სიტუაციაა. „ბაიერნისა" და „მაინცის" დამარცხების, ასევე, „ჰოფენჰაიმთან" ფრის შემდეგ, „თხები" გასავარდნ ზონას მნიშვნელოვნად დაშორდნენ და ამ ეტაპზე „თავი ქუდში აქვთ". თუმცა პრობლემაა ის, რომ მწვრთნელი **ფრანკ შეფერი** „ფრაიბურგთან" დღევანდელ შეხვედრაში ხუთ წამყვან ფეხბურთელს ვერ გამოიყენებს: **ბრეჩკო** და **პეტიტი** დისკვალიფიცირებულები არიან, **მატუშიკი, პეჟკო** და **ჟერომელი** კი - ტრავმირებულები.



### ნიურნბერგი ევროპაზე ოცნებობს

გაგიკვირდათ? რატომ? ფრანკებს ამის უფლება ნამდვილად აქვთ! „ნიურნბერგმა" ზედიზედ ოთხი თამაშის მოგება შეძლო, ახლა მერვე ადგილზეა და მეხუთე, ანუ, ევროპაში გამსვლელ პოზიციას მხოლოდ ორი ქულა აშორებს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ნიურნბერგმა" ზედიზედ ოთხი თამაშის მოგება ბოლოს 22 წლის წინათ მოახერხა. ახლა კი ფრანკებს იმედი აქვთ, რომ მოგებათა სერიას გელზენკირხენშიც გააგრძელებენ, თუმცა ხვდებიან, რომ ეს ძალიან ძნელია. „ნიურნბერგის" მთავარი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** ამბობს, „შალკემ" გერმანიის თასიდან გამოგვაგდო და ამისათვის შურისძიებას შევეცდებითო. თუმცა ის დღეს გუნდის მთავარ გოლეადორს, **იულიან შიბერს** ვერ გამოიყენებს - ახალგაზრდა თავდამსხმელმა მუხლის ტრავმა მიიღო.

### იყო როკი, გახდა ბლუზი

„მაინცს" პირველ წრეში ყველა როკჯგუფს ეძახდა და ფეხბურთელებიც სიამოვნებით იფერებდნენ ამ სტატუსს - გოლს რომ გაიტანდნენ, კუთხურის ალამთან როკკონცერტის იმიტაციას აკეთებდნენ ხოლმე. მეორე წრეში კი **თომას ტუხელის** გუნდი ვეღარ თამაშობს ისე კარგად, როგორც სეზონის სტარტზე - მაინცელები როკიდან ეგრევე ბლუზზე გადავიდნენ. ერთ დროს თითით საჩვენებელმა „მაინცმა" მეორე წრის ექვს თამაშში მხოლოდ ოთხ ქულას მოუყარა თავი. პირველი წრის პირველი ექვსი ტურის შემდეგ კი ტუხელის ბიჭებს ექვსივე თამაში მოგებული ჰქონდათ. რა გასაკვირია, რომ „ჰოფენჰაიმთან" თამაშის წინ მაინცელებმა წარუმატებლობათა სერიის მიზეზების ძებნა დაიწყეს. უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ „მაინცი" მეორე წრეში მომენტების მხოლოდ 14.7 პროცენტს იყენებს, როცა პირველ წრეში ეს მაჩვენებელი 35 პროცენტი იყო.

### დორტმუნდელები მიუნხენელებს კბენენ და ემუქრებიან

იმ დროს, როცა „ბაიერნი" შუა კვირაში მილანის „ინტერს" „ჯუზეპე მეაცაზე" 1:0-ს უგებდა, დორტმუნდელები რეკორდმაისტერს „მწარედ კბენდნენ".

*„ჩვენ ჩვენი შემადგენლობისთვის საერთო ჯამში 34-35 მილიონ ევროს ვიხდით, „ბაიერნის" შემადგენლობა კი, ხელფასებიანად, 110-დან 120 მილიონამდე ღირს. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს სიამაყის უფლება, მიუნხენელებს კი უნდა რცხვენოდეთ, 24-ე ტურის წინ 13 ქულით რომ ჩამოგვრჩებიან,"* - ეს არც მეტი, არც ნაკლები, „დორტმუნდის" მენეჯერ **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** სიტყვებია.

*„ბაიერნს" ძალიან ბევრი ფანი ჰყავს, მაგრამ უმეტესობა ისეთია, გუნდი რომ ვერ იგებდეს, ფეხებზე დაიკიდებენ. ჩვენ კი, დორტმუნდელებს მსოფლიოში უერთგულესი, ყველაზე მაგარი გულშემატკივრები გვყავს,"* - ეს კი **კევინ გროსკროიტცის** სიტყვებია.

ვფიქრობთ, მხოლოდ ამ ციტატების მოყვანაც კი საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად მძაფრი საფეხბურთო ატმოსფერო იქნება დღეს საღამოს „ალიანს არენაზე". „ბორუსიას" თავკაცი **იურგენ კლოპი** დღეს პირველ მეკარეს და გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, **რომან ვაიდენფელერს** ვერ გამოიყენებს. მას გამოუცდელი ავსტრალიელი კიპერი **მიტჩელ ლანგერაკი** შეცვლის.

### იდეალური მეტოქეები

გაჭირვებული „შტუტგარტი" ხვალ ფრანკფურტიდან სამი ქულის წაღებას შეეცდება. ლოგიკურად, შვაბებისთვის „აინტრახტი" იდეალური მეტოქეა, რადგან „შტუტგარტს" ძალიან ბევრი, 47 გოლი აქვს გაშვებული, რაც **ბრუნო ლაბადიას** გუნდის დაცვის უსუსურობაზე მიუთითებს, „აინტრახტს" კი ექვსი თამაშია, გოლი არ გაუტანია. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბუნდესლიგის ისტორიაში პირველად მოხდა ისე, რომ მეორე წრის პირველ ექვს ტურში გუნდმა ერთი გოლის გატანაც კი ვერ შეძლო. საერთო ჯამში კი, **მიხაელ სკიბეს** გუნდს 544-წუთიანი უგოლო სერია აქვს. ისე, ამ ლოგიკით, „შტუტგარტი" „აინტრახტისთვისაც" იდეალური მეტოქეა. სხვათა შორის, ხუთშაბათს ლაბადიას გუნდი ევროპის ლიგიდან გავარდა (0:2 ბენფიკასთან). კვირის მეორე მატჩი კი „ლევერკუზენისა" და კიდევ ერთი „გაჭირვებული აზნაურის", „ვერდერის" დუელია. „შტუტგარტისგან" განსხვავებით, „ლევერკუზენმა" ევროპის ლიგაში წარმატებით იასპარეზა და ხარკოვის „მეტალისტის" ბარიერი უპრობლემოდ გადალახა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## ბაიერნი VS ... ვინ ვის?

**მიუნხენელები** ამბობენ, რომ მათ დორტმუნდის „ბორუსიაზე" გაცილებით უკეთესი ფეხბურთელები ჰყავთ, „ბაიერნის" შეფები აცხადებენ, რომ 2:0-ზე დიდი ანგარიშით მოგება უნდათ, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ „ბორუსია" რეკორდმაისტერს 13 ქულით უსწრებს. ორი აზრი არ არსებობს, დღევანდელი ტოპ-მატჩი ძალიან საინტერესო იქნება.

„ბაიერნის" პრეზიდენტი **ული ჰიონესი** პირდაპირ ამბობს, რომ დღეს „ბაიერნს" „დორტმუნდის" დიდი ანგარიშით დამარცხება სურს. ული სამბურთიანი უპირატესობით გამარჯვებას ან „რაღაც ამდაგვარს ელოდება", რასაც ასე ასაბუთებს: ჩვენს უბრალოდ, „დორტმუნდზე" ძლიერი გუნდი გვყავსო. მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნს" „დორტმუნდამდე" 13 ქულა აშორებს, ჰიონესის მოსაზრებას **კრისტიან ნერლინგერიც** იზიარებს - ჩვენ „ბორუსიას" არა მარტო ზოგადად, არამედ დღესაც ვჯობივართ და ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ მოვიგებთო.

არადა, სტატისტიკა აბსოლუტურად საპირისპიროზე მეტყველებს: „ბორუსიას" ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი (49, როგორც ბაიერნს), ფლანგიდან ჩაწოდებებითაც ყველაზე, მათ შორის, „ბაიერნზეც" მეტი გაიტანა (13/ბაიერნმა 8), ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გაშვებული (13) და „შავყვითლებს" „ბაიერნზე" სახიფათო ნახევარდაცვა ჰყავთ (28 გოლი/ბაიერნი 22).

კარგი შეტევა არაფერს ნიშნავს, თუ დაცვაც ძლიერი არ გყავს. „ბორუსიას" ამ სეზონში მხოლოდ 13 გოლი აქვს გაშვებული, 23-დან 11 თამაშში BVB-მ კარი მშრალად შეინახა და მხოლოდ ერთ მატჩში გაუშვა ერთზე მეტი გოლი (ლევერკუზენთან 0:2). **იურგენ კლოპის** გუნდი სწრაფ, ტექნიკურ და ზომიერად აგრესიულ ფეხბურთს თამაშობს: დორტმუნდელები დღემდე საშუალოდ ერთ მატჩში 237 ორთაბრძოლაში ილებდნენ მონაწილეობას (მიუნხენელები 200-ში). კლოპის შეგირდები მოედანზე ძალიან სწრაფად მოძრაობენ და მუდმივად ერთმანეთს ეხსნებიან. მოკლედ, დევიზი „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის", „ბორუსიას" სტილზეა ზედგამოჭრილი.

„ბაიერნს" კი განსხვავებული სტილი აქვს. თავდაცვისას **არიენ რობენი, თომას მიულერი** და **ფრანკ რიბერი** დაცვისთვის მიხმარებას უმეტესად თაკილობენ, რის გამოც კაპიტანი **ფილიპ ლამი** ხშირად ბრაზდება ხოლმე. ზოგადად, „ბაიერნის" დაცვის ხაზი გაცილებით არასტაბილურია, ვიდრე „დორტმუნდისა", რაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ **ლუის ვან გაალმა** ამ სეზონში 34 ოფიციალურ მატჩში დაცვის ხაზი 13-ჯერ შეცვალა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ვან გაალმა იანვარში მეკარეც გამოცვალა.

რეკორდმაისტერის შეტევები მეტწილად რიბერისა და რობენის დრიბლინგებზეა დამოკიდებული - „ბაიერნი" უმეტესად ფლანგებიდან უტევს. „ბორუსიასგან" განსხვავებით, ბავარიელები ბურთს მოედნის ცენტრში გაცილებით დიდხანს ათამაშებენ ხოლმე. მიუნხენურ გრანდს ბურთის ფლობის მაჩვენებელი საშუალოდ ერთ მატჩში 59 პროცენტი აქვს, რაც ბუნდესლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია, „დორტმუნდს" კი – 51%.

„ბორუსიაში" კი დაცვაზე ერთადერთი ცენტრფორვარდი, **ლუკას ბარიოსიც** ბეჯითად ზრუნავს ხოლმე, აღარაფერს ვამბობთ ნახევარმცველებზე. დაცვაში **სუბოტიჩი** და **ჰუმელსი** ჰარმონიულად უგებენ ერთმანეთს, ორი საყრდენიდან, ერთი (**შაჰინი**) ორგანიზატორიცაა, მეორე კი (**სვენ ბენდერი**) ტიპური ჩამშლელი, რომელსაც ასევე შეუძლია რაღაც დოზით აზროვნება. ამ ეტაპზე დორტმუნდს მომენტების გამოყენების პრობლემა აქვს: კლოპის გუნდმა 2011 წელს, 6 თამაშში მხოლოდ 10 გოლი გაიტანა, „ბაიერნმა" კი - 18. თუკი მიუნხენელებს პირველ წრეში რობენი (4 გოლი და 3 პასი მეორე წრის ექვს თამაშში) აკლდათ, დორტმუნდელებს ახლა **შინჯი კაგავა** (8 გოლი და 1 პასი პირველი წრის 17 თამაშში) აკლიათ.

ბავარიელები კი ამბობენ, გაცილებით უკეთესი ფეხბურთელები გვყავსო, მაგრამ ფეხბურთი გუნდური თამაშია. სხვა დანარჩენი კი დღეს საღამოს, მიუნხენის „ალიანს არენაზე" გამოჩნდება.

● ლიგა 1. XXV ტურის წინ

# ლიგა ერთი აპრილში გამოჩნდება

| დღეს | |
|---|---|
| 21:00 | არლი-ბრესტი |
| 21:00 | მონაკო-კაენი |
| 21:00 | სოშო-მონპელიე |
| 21:00 | სტ.ეტიენი-ნიცა |
| 21:00 | რენი-ლანსი |
| 21:00 | ვალანსიენი-ლორიანი |
| 23:00 | ბორდო-ოსერი |
| **ხვალ** | |
| 19:00 | ნანსი-ლორიანი |
| 19:00 | პსჟ-ტულუზი |
| 23:00 | ლილი-ლიონი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 24 | 12 | 9 | 3 | 42-23 | 45 |
| 2. რენი | 24 | 12 | 7 | 5 | 28-18 | 43 |
| 3. მარსელი | 24 | 11 | 9 | 4 | 34-20 | 42 |
| 4. ლიონი | 24 | 11 | 8 | 5 | 38-24 | 41 |
| 5. პსჟ | 24 | 11 | 8 | 5 | 37-24 | 41 |
| 6. მონპელიე | 24 | 10 | 7 | 7 | 21-23 | 37 |
| 7. სენტ ეტიენი | 24 | 9 | 8 | 7 | 33-30 | 35 |
| 8. ლორიანი | 24 | 10 | 4 | 10 | 32-31 | 34 |
| 9. ბრესტი | 24 | 9 | 7 | 8 | 25-24 | 34 |
| 10. ტულუზი | 24 | 10 | 3 | 11 | 26-26 | 33 |
| 11. სოშო | 24 | 9 | 4 | 11 | 39-31 | 31 |
| 12. ბორდო | 24 | 7 | 10 | 7 | 29-30 | 31 |
| 13. ვალანსიენი | 24 | 7 | 9 | 8 | 30-27 | 30 |
| 14. კაენი | 24 | 7 | 7 | 10 | 26-34 | 28 |
| 15. ნანსი | 24 | 8 | 4 | 12 | 26-39 | 28 |
| 16. ოსერი | 24 | 4 | 14 | 6 | 29-30 | 26 |
| 17. ნიცა | 24 | 6 | 8 | 10 | 15-27 | 26 |
| 18. მონაკო | 24 | 4 | 12 | 8 | 23-26 | 24 |
| 19. ლანსი | 24 | 5 | 9 | 10 | 24-38 | 24 |
| 20. არლი | 24 | 1 | 7 | 16 | 12-44 | 10 |

“ბორდო” და “ოსერი” ერთმანეთს დღეს ხვდებიან. წინა ტურის შემდეგ ორივე გუნდი შერცხვენილია. “ბორდომ” საშვილიშვილო სირცხვილი ჭამა და “ლორიანთან” 5:1 წააგო. „ოსერს“ კი არ წაუგია, მაგრამ შინ უიმედო აუტსაიდერ “არლთან” ნათამაშები ფრე მორალური თვალსაზრისით ამას ნიშნავდა. ჟირონდელებისგან წელს განსაკუთრებულ ალმაფრენასა და საჩემპიონო თამაშის ჩვენებას არავინ ელოდა, მაგრამ მთლად ასეთი უგვანი ასპარეზობაც მოულოდნელი იყო. გამოცდილ **ჟან ტიგანას** ჯერ კიდევ დიდი შრომა მართებს იმისთვის, რომ გუნდს ღირსეული სახე დაუბრუნოს... თუ აცალეს, რასაკვირველია. ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი 24-ე ტურის შემდეგ შოკში იყო. აი, რას აცხადებდა ის: *“ეს კოშმარია... ჩვენი თამაშის შინაარსზე თუ მთხოვთ ლაპარაკს, სათქმელი არაფერი მექნება. ასეთი რამ პირველად მოხდა ამ სეზონში, რასაც ვერანაირ ახსნას ვერ ვუძებნი. ძალიან მიყვარს ეს კლუბი და თუკი რამე მიზეზი მქონდა აქ სამუშაოდ, უპირველესად, სწორედ ამის გამო. სწორედ ამიტომ არის ეს მარცხი ასეთი მტკივნეული. ვიცოდი, რომ ძნელი სეზონი გვექნებოდა, მაგრამ ასეთი”*?! ტიგანას ბიჭებმა უკანასკნელი გამარჯვება 21-ე ტურში დააგემოვნეს “ნიცასთან” (2:0), მას შემდეგ იყო საპატიო ფრე “ლიონთან” გასვლით შეხვედრაში და ორი წაგება “კაენთან” შინ (1:2) და “ლორიანთან”, რომლის ანგარიში ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ბორდოელებმა ბოლო ხუთი მატჩიდან “შაბანი დალმაზე” მხოლოდ ერთი მოიგეს და სწორედ ასეთი უბადრუკი ასპარეზობის დამსახურებაა, რომ ისინი სახლში დაგროვილი ქულებით მხოლოდ ექვს გუნდს ალემატებიან.

არანაკლებ გაოგნებული შეჰყურებდა ტაბლოს “აბე დეშამზე” “ოსერის” დამრიგებელი **ჟან ფერნანდესიც**. მის გუნდს ახლა გასავარდნი ზონიდან ორადორი ქულა აშორებს და ეს, რასაკვირველია, გუნდში სიტუაციას ბუნებრივად ძაბავს. *“არლთან” უმნიშვნელოვანესი დაპირისპირება გვქონდა, მაგრამ დაკისრებულ ამოცანას თავი ვერ გავართვით, რადგან ისევ და ისევ უამრავ შეცდომას ვუშვებდით დაცვის ხაზში, ხოლო შეტევაში სიზუსტე არ გვყოფნიდა. გუნდმა თამაშის კონტროლი მხოლოდ მას მერე ჩაიგდო ხელთ, რაც გოლი გავუშვით. “ოსერი” არ დანებდა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია,”* – თქვა მწვრთნელმა. ფერნადესის გუნდი შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე **ირენეუშ ელენმა** გადაარჩინა. *“აუცილებელია, გუნდმა კონცენტრაცია დადებით ასპექტებზე გააკეთოს. იმედია, გადამწყვეტ ეტაპზე ტრავმირებული ფეხბურთელებიც წამოგვეშველებიან,”* – დაამატა იქვე ჟან ფერნანდესმა, ვინც მიმდინარე სეზონში მართლაც გააწამა ტრავმებმა. ამ მხრივ განსაკუთრებით წინა ხაზის მოთამაშეები “სცოდავენ”. *“იცით რა? ჩემი გუნდის გასახდელში პრობლემა არ არსებობს, გადაუჭრელი საკითხი ტრავმებია, მაგრამ გუნდი იმიტომ ვართ, რომ ერთმანეთის ტვირთი ხანდახან ვატაროთ. ჩვენ არ გვაქვს უფლება ასე ნელ-ნელა ჩავიძიროთ,”* – განაგრძო მწვრთნელმა. *“ნამდვილად არ გვინდა ჩვენ გავხდეთ ის თაობა, რომლის ხელშიც ჩაიძირება “ოსერი”*, - განაცხადა მცველმა **სედრიკ ენბარმა**.

“პარი სენ-ჟერმენის” ამბიციას ხანგრძლივი პაუზის (ბოლო “ოქრო” დედაქალაქელებმა 1994 წელს მოიგეს) შემდეგ ლიგა 1-ის ჩემპიონობა მოიპოვოს, კიდევ ერთი გამოცდა ელის - “პარკ დე პრენსს” “ტულუზი” სტუმრობს. 17-წლიანი ლოდინის შემდეგ **ანტუან კამბუარეს** გუნდი ისე ახლოს არის ოცნების ასრულებასთან, როგორც დიდი ხანია არ ყოფილა. წინა ტურში პარიზელებმა დიდებული შთაბეჭდილება დატოვეს, როცა “ნიცას” გასვლაზე 3:0 მოუგეს. ახლა ისინი ლიდერს სულ რაღაც 4 ქულით ჩამორჩებიან. აი, რას აცხადებს კამბუარე: *“ამ გამარჯვებით ჩვენ უკეთესები ვხდებით, რადგან 3 ქულა ჩვენს განწყობაზე აისახება. “რენთან” წაგებისა და “ლანსთან” უგოლო ფრეს შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ მოგებათა გზას ისევ დავუბრუნდებოდით. მე ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, რადგან “ნიცასთან” მათ იდეალურად ითამაშეს”*. შინაური კედლები მუსიე ანტუანის გუნდისთვის კიდევ ერთი დამატებითი მოტივაცია უნდა გამოდგეს. *“ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ მომენტამდე ვრჩებით “ლილის” მდევართა შორის. იმედია, ამ რბოლაში საბოლოოდ პირველები ჩვენ მივალთ. გადამწყვეტი პერიოდი აპრილში დადგება და ეჭვი მაქვს, რომ ლიდერებში მყოფი ხუთი გუნდიდან რბოლას ყველა ვერ შემორჩება,”* – აცხადებს კამბუარე. რაც შეეხება “ტულუზს”: ამ გუნდს ევროპაში ასპარეზობის ამბიცია... ჰქონდა, იქამდე, ვიდრე “რენთან” შინ არ წააგებდა უმნიშვნელოვანეს შეხვედრას. რასაკვირველია, ამით ყველაფერი არ დასრულებულა, მაგრამ ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლა ამიერიდან ძალიან გართულდება. ყველაფრის მიუხედავად, ისინი “პარკ დე პრენსზე” ტურისტის რანგში ჩასვლას არ აპირებენ.



**ლევან ბიბილაშვილი**



● კრიზისი

# ანჩელოტი მიზეზებს ასახელებს

## ნიჭის დეფიციტი, მენტალიტეტი და ცარიელი სტადიონები

“ჩელსის” თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** იტალიურ გამოცემა “ლა რეპუბლიკას” ჟურნალისტებთან იტალიური ფეხბურთის მოდერნიზაციის აუცილებლობაზე ილაპარაკა. კალჩოს დონე იმდენად დაეცა და რეიტინგიც იმდენად შეელახა, რომ ამას იქით თუ საქმე შეიძლება კიდევ გაუარესდეს, ბევრს უკვე ველარ წარმოუდგენია. 2012/13 წლების სეზონიდან იტალიის ჩემპიონატი ბუნდესლიგას ჩემპიონთა ლიგაში მე-4 ადგილს დაუთმობს. ეს უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილია. შეუძლებელია ანჩელოტის ყოველივე ეს სულის სიღრმემდე არ აწუხებდეს. მან ჯერ შეაჯამა საკითხი და იტალიური ფეხბურთის მამებს გამოსავლის გზები შესთავაზა. კარლოს აზრით, იტალიელებმა ვერც საკუთარ შეცდომებზე ისწავლეს და არც სხვის კარგ მაგალითს მიბაძეს. მას მხედველობაში ინგლისური პრემიერლიგის გუნდები ჰყავს: *“იტალიურ ფეხბურთში შექმნილი კრიზისი გარდამავალია. ჩვენს ფეხბურთში ნაკლებად იდება ინვესტიციები, ნაკლებად მოდიან ტალანტები და მგონია, რომ იტალიურმა ტაქტიკურმა სქემებმაც გამოიწვია ჩვენი დაშორება სხვა ლიდერებთან. სხვებმა გაგვისწრეს. ძველი პოზიციების დასაბრუნებლად ერთადერთი გამოსავალი მოთმინებაა. ვფიქრობ, კალჩოში დიდი რევოლუცია უნდა მოხდეს. ასევე აუცილებელია, რომ სტადიონები კერძო კაპიტალის მფლობელთა ხელში აღმოჩნდეს, რათა ისინი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს. ჩვენი სტადიონები არაკომფორტული ჯერ კიდევ 1990 წელს იყო და მას მერე ხომ... ინგლისში კი სტადიონზე შეგიძლია მთელი დღე გაატარო.”*

კარლეტომ კომენტარი გააკეთა ასევე “რომაში” შესაძლო დანიშვნაზე. აი, რას აცხადებს ინგლისის ჩემპიონთა თავკაცი: *“იმედი მაქვს, რომ სამუშაოდ იქ დავრჩები, სადაც ამჟამად ვიმყოფები. ლონდონში თავს ღმერთივით ისე ვგრძნობ”*.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი.

საპასუხო მატჩების სიმბოლური ნაკრები



# წინ ფრანგები, უკან ინგლისელები

ანელკამ სიმბოლური დუბლით დაიმსახურა

**თქვენს წინაშეა ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალების სიმბოლური ნაკრები, რომლის ცენტრალური დაცვა მთლიანად ინგლისურია, შეტევა - ფრანგული, კარში კი ახალგაზრდა გერმანელი გოლკიპერი „დგას“. შეგახსენებთ, რომ სიმბოლური ნაკრები უეფას ოფიციალური საიტის მომხმარებელთა და ექსპერტთა მიერაა შედგენილი.**

### მეკარე

**თომას კრაფტი** (ბაიერნი): მიმომხილველებმა „სან სიროზე“ 22 წლის გოლკიპერში **ოლივერ კანისეული** „ნიშნები“ შეამჩნიეს. მის ანგარიშზე არც მეტი და არც ნაკლები, ხუთი უმაღლესი კლასის „სეივია“. კრაფტმა მასპინძელთა საუკეთესო მოთამაშე **სამუელ ეტო’ოს** სისხლი გაუშრო.

### მცველები

**ანტონი რევეიერი** (ლიონი): ძალიან ხშირად უწევდა **კრიშტიანო რონალდოს** წინააღმდეგ თამაში და აგრესიული დაცვითი სტილით პორტუგალიელს გასაქანი არ მისცა.

**ჯონ ტერი** (ჩელსი): კაპიტანი ტერი საუკეთესო იყო დაცვის ხაზში, მან „კოპენჰაგენის“ მთავარი დამრტყმელი ძალა, **დამე ნ’დოიე** არ გაახარა.

**კრის სმოლინგი** (მანჩესტერი): კრის ვინ? დიახ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ახალ სახეებს ამკვიდრებს ევროპაში - 21 წლის მცველმა კი „ველოდრომზე“ ჩინებულად, უშეცდომოდ ითამაშა. სერ **ალექს ფერგიუსონი** ამბობს, რომ სმოლინგის კლასი დღითი დღე იზრდება.

**გაბრიელ ჰაინცე** (მარსელი): ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მონადინებით ითამაშა, კარგი დუეტი შექმნა ფლანგზე **ანდრე აეუსთან** ერთად. ამ წყვილმა კი **ნანის** ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა.

### ნახევარმცველები

**არიენ რობენი** (ბაიერნი): „სან სიროზე“ „ინტერის“ პრობლემები რომ არადა არ არ მთავრდებოდა, ჰოლანდიელის დამსახურება იყო. **გომესმაც** მის შორეულ დარტყმულს დაამატა.

**ლუიზ გუსტავო** (ბაიერნი): დებიუტიც ასეთი უნდა, თან მოქმედ ჩემპიონთან. **ლუის ვან გაალი** კი აცხადებს, ბრაზილიელს თამაში უკეთაც შეუძლიაო.

**იოან გურკუფი** (ლიონი): „რეალთან“ დაპირისპირებაში გურკუფის სტანდარტულები, ლამის ერთადერთი იარაღი იყო. სტუმართა კარში გოლიც მის საჯარიმოს მოჰყვა.

**ანდრე აეუ** (მარსელი): ცოცხალი და შეუჩერებელი, **ჯონ ო’ში** დიდ გასაჭირში ჩააგდო.

### თავდამსხმელები

**ნიკოლა ანელკა** (ჩელსი): „ჩელსის“ უპირატესობა დანიის დედაქალაქში ფრანგის დუბლში აისახა.

**ქარიმ ბენზემა** (რეალი): გამოვიდა და ეგრევე გაუტანა ყოფილ გუნდს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მემორიალი



# ქვირქველიას ბულგარული მედალი

ბულგარულ ბურგასში გუშინ დაიწყო დან კოლოვისა და ნიკოლა პეტროვის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც პარალელურად ტარდება სამივე საჭიდაო სახეობაში - ქალებში, თავისუფალსა და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ვაჟებში, თუმცა ბულგარეთში ჩვენგან მხოლოდ ბერძენ-რომაელები გამოდიან.

შეჯიბრება გუშინ დაიწყო და მასში სამი ქართველი ჩაება - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74), ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **სოსო ჯაბიძე** და **ალექსანდრე დიხამინჯია** (ორივე - 96). ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ გუნდის ლიდერი კვირკველია გამოვიდა - ვერცხლის მედალი მოიპოვა. სამწუხაროდ, ტურნირის მიმდინარეობაზე მთლად ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება - თვით ბულგარული ფედერაციის საიტზეც კი მწირი ინფორმაციებია, თუმცა ის კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველ წრეში ჩვენებურმა სერბი **მარკო დევჩიჩი** დაამარცხა. მომდევნო წრეში ვინ ჩამოიცილა გზიდან - მასპინძელი **სტილიან ნაიდენოვი** თუ თურქი **ალი არიქოლლუ**, გადაჭრით ვერ გეტყვით, მაგრამ დაზუსტებით ვიცით, რომ ნახევარფინალში კორეელი **კანგ ნაე-კოო** დაჯაბნა. ფინალში მას არც ისე ძლიერი მეტოქე ჰყავდა - რუმინელი **იონელ პუშკაშუ**. კვირკველიას ტიტულების კაცს მისი დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა, თუმცა იმედები გაგვიცრუვდა. შეხვედრის მიმდინარეობაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩვენებური დამატებით დროში დამარცხდა.

სამწუხაროდ, ტურნირს მალევე გამოეთიშნენ დიხამინჯია და ჯაბიძე. დიხამინჯია პირველივე წრეში დამარცხდა ევროპის პრიზიორ **ელის გურთან**, რომელიც ეროვნებით ალბანელია და აქამდე ისტორიული სამშობლოს ღირსებას იცავდა, ახლა კი ბულგარეთის სახელით გამოდის. ჩვენდა საბედნიეროდ, გური ფინალში გავიდა და დიხამინჯიას სანუგეშოში გადასვლის შანსი მისცა, მაგრამ ჩვენებურმა ის ვერ გამოიყენა - ამერიკელ **ჯასტინ რუისთან** დამარცხდა და საბოლოოდ გამოეთიშა ტურნირს. თავს იმით თუ ვინუგეშებთ, რომ საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი დიხამინჯია ჯერ ძალზე ახალგაზრდაა და ამ რანგის ტურნირში უცხოეთში პირველად ჭიდაობდა.

დიდად ვერც ჯაბიძემ გაგვახარა, რომელიც, როგორც იქნა, გაჭიანურებული ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა აქტიურ სპორტს. ეს შეჯიბრება მისთვის უფრო სარეაბილიტაციო პროცესის თვალსაზრისით იყო საინტერესო და შედეგი არც იგეგმებოდა. ვერ გეტყვით, რა შთაბეჭდილება დატოვა მან მწვრთნელებზე, ტურნირს კი ისიც პირველივე წრიდან გამოეთიშა ამერიკელ **რობ შმიტთან** წაგების შემდეგ.

დღეს ტურნირში ჩვენი გუნდიდან **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) და **დიმიტრი ჯავახიშვილი** (120) გამოვლენ, **ლაშა გოგიტაძე** (55), **არჩილ თურმანიძე** და **ანტონ მამაგეიშვილი** (66) კი ხვალ იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# შავების თეთრი დღე

დოჰაში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრანპრის გათამაშების ბოლო ეტაპზე ტურნირის ფავორიტმა **ნანა ძაგნიძემ** ზედიზედ ორი პარტია მოიგო, მაგრამ შემდეგ რა მოხდა, ვერ გეტყვით - ასევე, ზედიზედ ორჯერ წააგო: ჯერ ეკვადორელ **მარტა ფიეროსთან**, გუშინ კი სომეხ **ელინა დანიელიანს** თეთრებით მე-40 სვლაზე დანებდა. ამ უკანასკნელმა 4 შესაძლებლიდან 4 ქულით პოზიციები განიმტკიცა. მართალია, ძაგნიძეს 4-დან მხოლოდ 2 ქულა აქვს, მაგრამ ხელის ჩაქნევა ნაადრევია, რადგან წინ კიდევ 7 პარტიაა სათამაშო და სულ მცირე მე-2 ადგილისთვის ბრძოლა შესაძლებელია.

გაგვახარა **მაია ჩიბურდანიძემ**, რომელმაც შავი ფიგურებით 52-ე სვლაზე სომეხ **ლილით მკრტიჩიანს** გააჩერებინა საათი. გუშინ კიდევ ერთმა მოჭადრაკემ გაიმარჯვა შავებით - ფრანგმა **მარი სებაგმა** მასპინძელი **ჟუ ჩენი** დაჯაბნა. ყაიმზე შეთანხმდნენ **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი) და **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი), მარტა ფიერო (ეკვადორი) და **პია კრამლინგი** (შვედეთი). თეთრებს ნამუსი ჩინელმა **სიუ იუჰუამ** მოსწმინდა - 33-ე სვლაზე დაამარცხა მონგოლი **ბათჰუიანგ მონგონთუული**. საერთოდ, შავებმა 6 შესაძლებლიდან 4 ქულა აართვეს თეთრებს.

სატურნირო მდგომარეობა 4 ტურის შემდეგ: დანიელიანი-4, ფიერო, სებაგი - 2,5-2,5, ძაგნიძე, იუჰუა, კრამლინგი, ჩიბურდანიძე, კონერუ - 2-2, სტეფანოვა, ჟუ ჩენი - 1,5-1,5, მონგონთუული, მკრტიჩიანი - 1-1 ქულა.

დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ: კრამლინგი-ძაგნიძე, სტეფანოვა-ფიერო, სებაგი-კონერუ, ჩიბურდანიძე-ჟუ ჩენი, მონგონთუული-მკრტიჩიანი, დანიელიანი-სიუ იუჰუა.

**ვაჟა დანელია**



# თექვსმეტწლამდელები

16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე უდანაკარგოდ მხოლოდ **ირაკლი ბერაძე** განაგრძობს პაექრობას. გუშინ მან შავი ფიგურებით **გუგა ბურდული** დაამარცხა. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან **გიგლა ბენიძე** და **შალვა ნადირაშვილი**. გიგლამ **ნიკოლოზ ქუმსიაშვილს** სძლია, შალვა კი **ნოე თუთისანს** დაუზავდა. კარგად ითამაშა 12 წლის **გიორგი სიბაშვილმა**, რომელმაც გუშინ **სერგო ნილოსანს** აჯობა და 3 ქულით მეწინავეებს მიუახლოვდა. 3-3 ქულა კიდევ 6-მა მოჭადრაკემ მოაგროვა.

გოგონებში **ლიკა კობეშავიძემ ანა კუჭავა** დაამარცხა და 3,5 ქულით **ანა შამათავასთან** ერთად ლიდერობს. ანა მე-4 ტურში სეხნია - **ანა მარდალეიშვილს** დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ **ნანი უნაფქოშვილი** და **ნინო ხომერიკი**, **თეკლა მაჭარაშვილმა** კი **ლიზი ტრაპაიძეს** სძლია. მაჭარაშვილმა, იმნაძემ, მარდალეიშვილმა და უნაფქოშვილმა 3-3 ქულას მოუყარეს თავი.

დღეს მე-5 ტურში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შემდეგი შეხვედრები: **გოგონები**. შამათავა-კობეშავიძე, მაჭარაშვილი-იმნაძე, მარდალეიშვილი-უნაფქოშვილი, კუჭავა-გოგიშვილი, ხომერიკი-კაკუტია. **ვაჟები.** ბერაძე-ბენიძე, ნადირაშვილი-სიბაშვილი, არჯევანიძე-თუთისანი, ენდელაძე-ებრალიძე, ჩაიძე-ბურდული.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მძლეოსნობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის ვეტერანი მუშაკის, მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის

**ყარამან საბანაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია და საქართველოს მძლეოსნობის სამყარო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 74 წლისა უეცრად გარდაიცვალა ვეტერანი მძლეოსანი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი და დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი

**ყარამან საბანაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი: 27, 28.02; დაკრძალვა 1.03.
მისამართი: ქერჩის ქუჩა №20 (პოლიციის აკადემიასთან).

სნოუბორდი. ინტერვიუ


ლევან მშვილდაძე

# დიდი პერსპექტივა

სნოუბორდი სათხილამურო სახეობების ერთ-ერთი ოლიმპიური დისციპლინაა (სნოუ - თოვლი ბორდ - დაფა, ანუ დაფით სრიალი). ჩვენს ქვეყანაში სათხილამურო კურორტების მატებასთან ერთად იზრდება ზამთრის სახეობების და კერძოდ, სნოუბორდის პოპულარობა. ბაკურიანსა თუ გუდაურში, ახლა უკვე მესტიაში, ახალგაზრდების უმეტესობა სწორედ სნოუბორდზე სრიალს ეუფლება.

ახალი შექმნილია საქართველოს სნოუბორდის ფედერაცია (პრეზიდენტი **ლევან მშვილდაძე**), რომელიც აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სათხილამურო ფედერაციასთან.

ლევან მშვილდაძე წარმატებებსა და ფედერაციის უახლოეს გეგმებზე გავესაუბრება.

**- ბატონო ლევან, როდის შეიქმნა ფედერაცია და სად მიიღეთ პირველად შეჯიბრებაში მონაწილეობა?**

- წელიწადი გასულ დეკემბერში შეგვისრულდა., თუმცა სპორტის ამ სახეობას ჩვენში 8 წელიწადზე მეტია ჰყავს მიმდევრები. პირველად საერთაშორისო სარბიელზე სათხილამურო სახეობების ფედერაციის FIS ეგიდით) თურქეთის ქალაქ ერზრუმში ვიასპარეზეთ და წარმატებითაც. პარალელურ და გიგანტურ სლალომში რევაზ ნაზლაიძემ 2 ოქროს მედალი მოიპოვა, რითაც დაიწყო ჩვენი მიღწევების ათვლა. შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთში კურორტ ლამოლინაში 44-ე შედეგი ვაჩვენეთ, ბულგარეთის კურორტ პამპოროვოში კი მე-4 ადგილი დავიკავეთ. განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს ურიგო არ არის...

**- რა პრობლემებს წააწყდით?**

- ძალიან რთული იყო ინვენტარის შეძენა და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და სათხილამურო სახეობების ფედერაციის დახმარებით მოხერხდა დიდ სარბიელზე გასვლა. ახალი ინვენტარის შეძენა იგეგმება უახლოეს მომავალში.

**- საერთაშორისო შეჯიბრების დონის რამდენი სპორტსმენი გყავთ?**

- სხვადასხვა დისციპლინაში მონაწილეობს სულ 5 სპორტსმენი. სამომავლოდ საერთაშორისო ტურნირებში ახალგაზრდების ჩართვაც იგეგმება. ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი რევაზ ნაზლაიძე ერთადერთია, ვისაც ლიცენზია აქვს მონაწილეობა მიიღოს მსოლიოს თასზე, წლეულს, მოსკოვში 5 მარტს.

**- მთავარი, ალბათ, ახალგაზრდა პერსპექტიული თაობის აღზრდაა?**

- ძირითადი ამოცანა სწორედ ეს არის. ორიენტირი - ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. კარგია, რომ სპორტის სამინისტროსა და ჩვენი ფედერაციის ეგიდით მესტიაში შეიქმნა სნოუბორდის სკოლა. იქ უკვე ჩავიტანეთ ინვენტარი და გავხსენით ბავშვთა ჯგუფები.

**- წლეულს შიდა შეჯიბრებებს თუ ჩაატარებთ?**

- აუცილებლად ჩავატარებთ, რაც ხელს შეუწყობს ჩვენში ამ სახეობის პოპულარობას. იგეგმება საქართველოს პირველობა სხვადასხვა დისციპლინაში. უკვე გვყავს სამი გუნდი - გუდაურის, ბაკურიანისა და მესტიის. იქმნება აჭარაშიც, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ჩავატაროთ გუნდური პირველობები.

**- სნოუბორდი და ტურიზმი, ამაზე რას იტყვით?**

- ზემოხსენებული ზამთრის ჩვენი კურორტები სნოუბორდის, ისევე როგორც სხვა სათხილამურო სახეობების მოყვარულებისთვის ეგზოტიკური ადგილებია. სნოუბორდს კი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტურიზმის განვითარებაში. ტურისტები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა კომერციულ შეჯიბრებაშიც.

**- და ალბათ ოდესლაც საერთაშორისო ასპარეზობასაც ვუმასპინძლებთ?**

- დიახ, საამისოდ ყველა პირობა და შესაძლებლობა გაგვაჩნია. ამ თემას განვიხილავთ. აპრილში ვგეგმავთ კომისიის მოწვევას საერთაშორისო ფედერაციიდან. კომისია შეისწავლის ჩვენს შესაძლებლობებს, რათა მოგვეცეს უფლება, დავაყენოთ საერთაშორისო ასპარეზობის მასპინძლობის საკითხი.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**
გუდაურიდან

წყალბურთი

# ლიგამუსმა პირველზე გადაინაცვლა

### 4-6 მარტს თბილისი ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს

1995-1996 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა პირველი ტურის შემდეგ 6-6 ქულით „ივერია-1" და „ლიგამუსი-1" დაწინაურდნენ. გათამაშების ცხრილის პირველ საფეხურზე ივერიელები მოექცნენ ბურთების უკეთესი შეფარდებით (99:4). გუშინ „ოლიმპიკის" აუზში მეორე ტურის პირველი დღის პაექრობები გაიმართა. კვლავ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა „ლიგამუსი-1", რომელმაც „ბათუმს" მოუგო 19:5, მოაგროვა 8 ქულა (ბურთები: 87:16) და პირველ ადგილზე გადაინაცვლა. „თბილისმა" „ივერია-2"-ს სძლია 6:4, „ლიგამუსი-2"-ის წყალბურთელებმა კი „ჯორჯიას" აჯობეს - 19:7.

ამ ასაკის საქართველოს ნაკრები სერბეთთან ხელშეკრულების საფუძველზე ამ ქვეყნის პირველობაში მონაწილეობდა. ჩვენი ბიჭები რთულ ჯგუფში მოხვდნენ. ამის მიუხედავად, სამი მატჩი მოიგეს, ორი დათმეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

საქართველოს დელეგაციას **ალექსანდრე ბითაძე** ხელმძღვანელობდა. მან გვითხრა: „პირველ დღეს სობორის „პოლეტს" მოვუგეთ 18:7, მეორე დღეს დილით ქვეყნის ბრინჯაოს პრიზიორ სუბოტიცის „სპარტაკს" შევხვდით. მართალია, ეს შეჯიბრება ჩვენთვის ოსტატობის ამაღლებას და საერთაშორისო მატჩებში გამოცდილების მიღებას ემსახურებოდა, მაგრამ მაინც საწყენია, უმოწყალოდ რომ დაგჩაგრავენ. მე-4 პერიოდისთვის მეტოქეს 9:5-ს ვუგებდით. ბოლო პერიოდში არბიტრებმა ცალკარა გვათამაშეს და 0:5 წაგვაგებინეს. ცხადია, მატჩიც დავთმეთ 9:10. საღამოს კი ჭაბუკებში სერბეთის ჩემპიონ ნოვი სადის „ვოივოდინასთან" დავმარცხდით 8:11, არადა, დეკემბერში ამ გუნდს სტუმრად ორჯერ ვძლიეთ ამხანაგურ პაექრობაში.

ბოლო დღეს ორი გამარჯვება მოვიპოვეთ „ვოივოდინას" მეორე გუნდთან - 13:6 და ვერბასის „ვერბასთან" - 19:3. ყოველივეს მიუხედავად, მედლებისთვის ბრძოლას განვაგრძობთ, რადგან „ვოივოდინასთან" და „სპარტაკთან" ერთად მე-2 ტურში თამაშის უფლება მოვიპოვეთ".

თბილისში დაბრუნების შემდეგ ბიჭები მშობლიურ კლუბებს დაუბრუნდნენ, საქართველოს პირველობის მე-2 ტურში მიიღეს მონაწილეობა. ორშაბათიდან კი ერთად დაიწყებენ მზადებას თბილისის საერთაშორისო ტურნირისთვის, რომელიც 4-6 მარტს „ოლიმპიკის" აუზში გაიმართება. ისინი უკრაინელ და ბელარუს თანატოლებს გაეჯიბრებიან. ეგვიტიდანაც უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ იქ დატრიალებული ამბების შემდეგ წყალბურთისთვის ვის სცხელა. ახალი ქვეყნის მოწვევა აღარ ესწრება, ამიტომ ტურნირში ორი გუნდით გამოვლენ.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# სეზონის სტარტი: ერთეულებში ცუდი, წყვილებში კარგი

ვაჟ ჩოგბურთელთა შორის საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (635) სამ თვეზე მეტი უქმობის შემდეგ, როგორც იქნა, დაიწყო სეზონი - 19 წლის ჩოგბურთელმა ტეხასის შტატის ქალაქ ბრაუნსვილში (15 ათასი დოლარი) იასპარეზა. სამწუხაროდ, ჩვენი თანამემამულე პირველივე წრეში დამარცხდა 22 წლის ამერიკელ **ტაილერ ჰოჩვოლტთან** (688) ბრძოლაში - 6:3, 2:6, 0:6. თუმცა ნიკა ბრაუნსვილს არ დამშვიდობებია, ის წყვილთა ბადის ნახევარფინალშია გასული. ქართველი ბულგარელ **ბორის ბაკალოვთან** (857) ერთად ასპარეზობს, ისინი მე-4 ნომრად განთესეს. პირველ წრეში ქართულ-ბულგარულმა დუეტმა ავსტრალიური (**ქროუ, კელი**) დაამარცხა - 7:6 (4), 7:6 (5). მეორე წრეში მათ არგენტინელებს (**ორტისი, ტრუნგელიტი**) აჯობეს - 7:6 (4), 7:6 (4). თუ დააკვირდით, ყველა სეტი ბასილაშვილმა და მისმა მეწყვილემ ტაიბრეიკში მოიგეს. ნახევარფინალში კი მათი მეტოქეები ბრიტანელები (**ბარტონი, კოქსი**) იქნებიან.

**ეკა გორგოძემ** (550) თურქულ ანთალიაში (10 ათასი დოლარი) იასპარეზა წარუმატებლად - 19 წლის ქართველმა ბელგიელ **ანუკ დელეფორტრიესთან** წააგო - 2:6, 3:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამთო თხილამურობა

# მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ

გარმიშ-პარტენკირხენში გამართული მსოფლიო პირველობის შემდეგ, ქართველ სამთო-მოთხილამურეთა ნაწილმა იტალიურ კურორტ ბორმიოს მიაკითხა, სადაც ფის-ის ეგიდით გამართულ ტურნირებში იასპარეზა. ბორმიოს სუპერგიგანტში ჩვენებურთაგან უკეთ **დიმიტრი გედევანიშვილი** გამოვიდა, მან 34-ე ადგილი დაიკავა, **ალექსი ბენიაიძე** 41-ე ადგილს დასჯერდა, **ბიძინა ქართველიშვილი** - 72-ეს.

გიგანტურ სლალომში ისევ გედევანიშვილმა იყოჩაღა - 28-ე ადგილზე გავიდა, ბიძინა ქართველიშვილი 56-ე იყო, ბენიაიძე კი მე-2 ცდაზე შეცდა და ტრასა ვერ ჩაამთავრა. ბორმიოს ტურნირების მესამე დღეს, სლალომში ალექსი ბენიაიძეს სულ რაღაც 6 მეასედი წამი დააკლდა პოდიუმზე ასასვლელად, ქართველმა მე-4 ადგილი იკმარა. დიმიტრი გედევანიშვილი ამჯერად მე-20 ადგილზე გავიდა, ბიძინა ქართველიშვილი - 47-ეზე. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ჩვენებურთათვის ყველაზე ძლიერი დისციპლინა სლალომია.

**ნინო წიკლაურმა** სან ჯორჯოში (იტალია) ფის-ის ეგიდით გამართულ ორ სლალომში იასპარეზა, მაგრამ ერთხელაც ვერ შეძლო ტრასის ჩამთავრება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

შეხვედრა სამინისტროში



# დიღმის ბაზა ნაქრებს

საქართველოს ნაკრები წლეულს ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. ეს ყველას გვახარებს, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ: ასეთ წარმატებულ გუნდს ერთი-ორად მეტი ყურადღება სჭირდება. საქართველოს ნაკრები შესაძლოა ევრობასკეტის მონაწილეთა შორის იმ იშვიათთაგანია, რომელსაც ბაზა არ გააჩნია.

ჰოდა, მას მერე, რაც გაირკვა, რომ საფეხბურთო „დინამოს" ახალი სპონსორი საკალათბურთო „დინამოს" ყიდვას არ აპირებს, ხოლო დიღმის კალათბურთელთა ბაზა ბანკშია დაგირავებული, ვეტერანმა სპორტსმენებმა გადაწყვიტეს ქვეყნის პრეზიდენტის, **მიხეილ სააკაშვილისადმი** წერილით მიემართათ. წერილში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს ნაკრებს მოსამზადებელი ბაზა არ აქვს. კარგი იქნებოდა, თუ „დინამოს" დიღმის ბაზა კალათბურთის ფედერაციის განკარგულებაში გადავიდოდა და ნაკრებს დაეთმობოდა.

ცხადია, ამ საკითხის გადაწყვეტა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაევალა და ამ უწყების მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებსა და ვეტერანებს სამინისტროში ესაუბრა. შეხვედრის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა სპორტის სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა **გიორგი ჭანიშვილმა**:

- სპორტის მინისტრისა და ვეტერანების შეხვედრისას რამდენიმე საკითხზე გამახვილდა ყურადღება. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი „დინამოს" დიღმის ბაზის ამბავი იყო. ეს ობიექტი ბანკშია ჩადებული. სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ვეტერანებს დაჰპირდა, რომ აქტიურად ჩაერთვება პრობლემის მოგვარებაში. დიღმის საკალათბურთო ბაზის კალათბურთის ფედერაციის დაქვემდებარებაში გადასვლის შემთხვევაში ეროვნულ გუნდს ექნება საკუთარი ბაზა, რაც აუცილებელია ნებისმიერი გუნდისთვის, მით უმეტეს, წარმატებული საკალათბურთო ნაკრებისთვის.

რადგან მთავრობა საქმეში აქტიურად ჩაერთო, უნდა ვივარაუდოთ, რომ „დინამოს" ბაზის გამოსყიდვა ზაფხულამდე მოხერხდება და საქართველოს ნაკრები აგვისტოში დიღომში მოემზადება. ამ საქმის მოგვარება დიდი შვება იქნება ასაკობრივი ნაკრებებისთვისაც.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერი



# ჰოპლა რაპლასთან

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე სასტარტო ხუთეულში იყო, 16 წუთში 2 ქულა (3-დან 1 ორქულიანი, 1-დან 0 სამიანი, 2-დან 0 საჯარიმო), 2 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. ბევრი იფუსფუსა გიორგის თანაგუნდელმა **ტიმო ეიჩფუსმა:** 18 წუთში 17 ქულა და 9 მოხსნა.

„ტარტუ როკს", რომელიც ცხრილში პირველ ადგილზეა, 26-დან 24 მატჩი აქვს მოგებული, ხოლო მეორეადგილოსანი „კალევი" 24 მოგებას 27 შეხვედრაში გამორჩა. ეს ორი გუნდი ბალტიის ლიგაზე ერთმანეთს 27 თებერვალს ტალინში შეხვდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ესტონეთის ჩემპიონატში წარმატებულ სვლას განაგრძობს **გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკი", რომელსაც შიდა პირველობაზე ფაქტობრივად ერთი ღირსეული კონკურენტი ჰყავს - „კალევი". დანარჩენ გუნდებთან „როკერები" შინაც იოლად იმარჯვებენ და სტუმრადაც.

ერთი ასეთი შეხვედრა ჩაატარა „ტარტუმ" საკუთარ არენაზე „რაპლასთან": ცინცაძის თანაგუნდელები პირველივე მეოთხედიდან 9 ქულით დაწინაურდნენ და დიდ შესვენებაზე 10-ქულიანი ფორით გავიდნენ (51:41). მეორე ტაიმში „რაპლამ" მასპინძლებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და 67:96 დამარცხდა.




ქართველი NBA-ში

# ფაჩულიას ჰიუსტონის შანსი ჰქონდა

გუშინ გაცნობეთ, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ზაზა ფაჩულია** „ატლანტა ჰოქსის" დატოვებას აპირებდა. ამერიკული გაზეთები წერდნენ: ზაზამ „ფინიქსთან" მატჩში იმიტომ არ ითამაშა, რომ ერთ კლუბთან „ტრეიდზე" მიმდინარეობდა მოლაპარაკებებიო.

...მაგრამ სატრანსფერო ფანჯარა ისე დაიხურა, რომ ფაჩულიას სხვაგან გადასვლის შესახებ არაფერი თქმულა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი „ატლანტაში" დარჩა.

მართალია „ტრეიდი" არ შედგა, მაგრამ ქართველი გულშემატკივრისთვის მაინც საინტერესოა, რომელ კლუბთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება. გაზეთ SBnation-ში წერია: „ატლანტელებმა უკანა ხაზი კირკ ჰინრიხით გააძლიერეს, წინა ხაზში კი ბრედ მილერის დამატება სურდათ. სანაცვლოდ „ჰიუსტონში" ზაზა ფაჩულია უნდა წასულიყო. მილერი ცენტრად დადგებოდა, ჰორფორდი მძიმე ფორვარდად გადაინაცვლებდა, ხოლო სმიტს მსუბუქ თავდამსხმელად თამაშის საშუალება მიეცემოდა. თუმცა გაცვლა არ შედგა, მოლაპარაკება სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ვერ მოესწრო."

დღეს, დილას 7:30 საათზე „ატლანტა" „გოლდენ სტეიტს" ეთამაშება. სწორედ ამ მატჩში გამოჩნდება, რა ადგილს დაიკავებს ფაჩულია გადახალისებულ „ჰოქსში".

**ვაჟა სიმონიშვილი**




ზაზა ფაჩულია: წასვლა ჯობდა

სუპერლიგა. XV ტური

# 5, 15, 25 ბათუმში

25 თებერვალი ბათუმი

| | |
|---|---|
| ბათუმი | 78 |
| აგრარული | 73 |

20:12, 11:10, 15:15, 32:36

**ბათუმი:** ნინუა (4ქ), ვ. მაისურაძე (4ქ), სანაძე (31ქ), კეშელავა (14ქ), ყველაშვილი (15ქ, 14მ), რამიშვილი (6ქ), ელიაშვილი (4ქ).

**აგრარული:** ტეტელაშვილი (6ქ), ბაიკაშვილი (3ქ), ჩაჩანიძე (13ქ), ჯავახიშვილი (6ქ), მუმლაძე (12ქ), ნანიტაშვილი (6ქ), არწივიძე (9ქ), გემაზაშვილი (5ქ), ხანიაშვილი (7ქ), სიგუა (6ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი

**კომისარი:** რ. გელოვანი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 12 | 11 | 1 | 1063/814 | 23 |
| 2. შსს | 13 | 10 | 3 | 1162/972 | 23 |
| 3. თსუ | 13 | 10 | 3 | 1128/1022 | 23 |
| 4. სოხუმი | 13 | 8 | 5 | 1021/980 | 21 |
| 5. ქუთაისი | 12 | 8 | 4 | 973/868 | 20 |
| 6. ენერჯი | 13 | 7 | 6 | 911/931 | 20 |
| 7. ბათუმი | 13 | 5 | 8 | 1017/1067 | 18 |
| 8. აგრარული | 14 | 4 | 10 | 991/1153 | 18 |
| 9. სტუ | 13 | 4 | 9 | 1051/1113 | 17 |
| 10. სამედიცინო | 13 | 3 | 10 | 944/1001 | 16 |
| 11. დინამო | 13 | 10 | 12 | 885/1225 | 14 |

სათაურში ჩამოთვლილ რიცხვებს ერთ წინადადებაში მოვაქცევთ: 25 თებერვალს მე-15 ტურის გახსნით მატჩში „ბათუმმა" 5 ქულის სხვაობით დაამარცხა „აგრარული".

ამ მოგებით ზღვისპირელებმა სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზე აინაცვლეს, ერთი საფეხურით გაასწრეს „აგრარულს".

დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბათუმმა" იანვარში წარმატებული ტრანსფერები განახორციელა: დაიმატა **დუდა სანაძე** („ენერჯიდან") და **გიორგი ყველაშვილი** (თსუ-დან). „აგრარულთან" მატჩში ყველაზე გამორჩეული სწორედ ეს დუეტი იყო: ყველაშვილმა ორმაგი დუბლი შეასრულა (15 ქულა, 14 მოხსნა), ხოლო სანაძემ 31 ქულას მოუყარა თავი.

ასევე არ უნდა გამოგვრჩეს, რომ „ბათუმის" მთავარ მწვრთნელად იანვარში **მიხეილ კობეშავიძე** დაინიშნა, რომელიც მანამდე რამდენიმე წლის განმავლობაში „აგრარულს" ხელმძღვანელობდა. მის გუნდს მეორე წრეში გამართული სამი მატჩიდან ორი აქვს მოგებული.

**ვაჟა სიმონიშვილი**



დუდა სანაძემ (24) აგრარულთან 31 ქულა ჩააგდო

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს რეგიონალური სპორტული ასპარეზობები

### არაბთა თამაშები




კომპლექსური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ არაბული ქვეყნების ლიგის წევრები. იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში არსებული რთული პოლიტიკური ვითარების გამო ასპარეზობა არაერთხელ გადადებულა. მაგალითად, V თამაშები ჯერ უნდა გამართულიყო 1969 წელს ტრიპოლიში (ლიბია), შემდეგ - 1971 წელს ხართუმში (სუდანი), მერე კი - 1974 წელს დამასკში (სირია), სადაც საბოლოოდ ჩატარდა კიდეც 1976 წელს. ალჟირში თამაშები 2003 წელს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იქ მომხდარი მიწისძვრის გამო 2004 წლისთვის გადაიტანეს. ყველა თამაშების შედეგების მიხედვით, საპრიზო ადგილები ასე ნაწილდება: I-ეგვიპტე (504 ოქროს, 319 ვერცხლისა, 162 ბრინჯაოს მედალი), II-მაროკო (შესაბამისად - 222, 181, 186), III-სირია (213, 216, 263).

**არაბთა თამაშებს მასპინძლობდნენ:** 1953-ალექსანდრია (ეგვიპტე), 1957-ბეირუთი (ლიბანი), 1961-კასაბლანკა (მაროკო), 1965-კაირო (ეგვიპტე), 1976-დამასკი (სირია), 1985-კასაბლანკა, 1992 (დამასკი), 1997-ბეირუთი, 1999-ამანი (იორდანია), 2004-ალჟირი (ალჟირი).




*1984 წელი. ლოს ანჯელესი (აშშ). XXIII ოლიმპიური თამაშების აფიშა და მედალი*

## საინტერესო ამბები

**ელ-ბერშეში** (ეგვიპტე) ნეჰერის სამარხში აღმოჩენილია მოჭიდავეთა გამოსახულებები (ძვ. წ. 2080 წ.)

**ჭიდაობის ამსახველი** 400-ზე მეტი სცენაა ეგვიპტეში ბენი ჰასანის თავადთა მარტო ოთხ სამარხში. აქვეა ძალოსანთა გამოსახულებები. პერიოდი - დაახლოებით ძვ. წ. 2000 წ.

**დაახლოებით** 1590 წლების (ძვ. წ.) პერიოდს განეკუთვნება ხეთების დედაქალაქ ხათუსაში (ახლანდელი ბოლაზყალი) აღმოჩენილი ჭურჭელი, რომელზედაც აღბეჭდილია შუბით ნადირობის სცენა. ალაკა ჰიუიკში ნაპოვნ ქვის რელიეფზე კი მშვილდ-ისრით ნადირობის ეპიზოდია აღბეჭდილი.

**მიკვლეულია** დისკო, რომლის წარწერის თანახმად ძვ. წ. 1580 წელს - ოლიმპიაში უკვე ტარდებოდა პირველი შეჯიბრებები.

**ეგვიპტეში** ქვეყნის ახალი დედაქალაქის, თებეს მახლობლად სამარხებში ნაპოვნია ჭიდაობისა და ფარიკაობის ამსახველი ნახატები, რომელიც ძვ. წ. დაახლოებით 1500 წ. განეკუთვნება.

**დეირ ელ ბაჰარიში,** დედოფალ ჰატშეპსუტის აკლდამაში აღმოჩენილია ბურთაობისა და ჯოხებით ფარიკაობის ამსახველი სცენები და მოცეკვავე აკრობატი ქალების გამოსახულებები (1470 დ. ძვ. წ.)

**ეგვიპტეში** კარნაკში ფარაონ ამენოფის II (იგივე ამენხოტი II) მუმიასთან პირამიდაში ნაპოვნია მშვილდი.

## თარიღი. 27 თებერვალი - 4 მარტი

**27.02.1900 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ბაიერნი“ (მიუნხენი).

**27.02.1994 წ.** ლილეჰამერი (ნორვეგია). დაიხურა ზამთრის XVI ოლიმპიური თამაშები.

**28.02.1988 წ.** კალგარი (კანადა). დაიხურა ზამთრის XV ოლიმპიური თამაშები.

**28.02.1942 წ.** დაიბადა **დინო ძოფი**-ფეხბურთი (მეკარე, იტალია).

**28.02.1944 წ.** დაიბადა **ზეპ მაიერი**-ფეხბურთი (მეკარე, გერმანია).

**1.03.1943 წ.** დაიბადა **ვილფრიდ ვან მური**-ფეხბურთი (ბელგია).

**2.03.1955 წ.** ჩატარდა უეფას დამფუძნებელი სხდომა.

**3.03.1956 წ.** დაიბადა **ზბიგნევ ბონეკი**-ფეხბურთი (პოლონეთი).

**4.03.1945 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი).

**4.03.1951 წ.** დაიბადა **კენი დალგლიში**-ფეხბურთი (შოტლანდია).



## ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

**1. ვინ წამოაყენა რაგბიში საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს შექმნის იდეა?**

ა –საფრანგეთმა
ბ – ავსტრალიამ
გ – საქართველომ

**2. რა პროფესიის იყო უეფას პირველი პრეზიდენტი ე. შვარცი?**

ა – ექიმი
ბ – ჟურნალისტი
გ – საფეხბურთო ფუნქციონერი

**3. ვის ეკუთვნის ზიკოზე ნათქვამი: „პელეს შემდეგ ბრაზილიის ნაკრებში მაისურა მეათე ნომრით ასე კარგად არავის მოურგია“.**

ა – მარადონას
ბ – კრუიფს
გ – სოკრატესს

**4. ვის აქვს სამჯერ მოგებული ოლიმპიური ოქროს მედალი კრივში?**

ა – სავონ და სტივენსონს (ორივე-კუბა)
ბ – ლასლო პაპას (უნგრეთი)
გ – სამივეს

**5. რომელი ქვეყნის როდეოა ყველაზე პოპულარული სპორტული შეჯიბრება მსოფლიოში?**

ა – მექსიკური
ბ – ამერიკული
გ – არგენტინული

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-ბ

## ვინ რა თქვა

„იტალიელები ვერასდროს დაგამარცხებენ, მაგრამ შენ მათთან შეიძლება წააგო. ფეხბურთი შეცდომების თამაშია. ვინც ნაკლებად ცდება, ის იმარჯვებს. უპირატესობის დაკარგვას ყოველთვის აქვს თავისი უპირატესობა. ფეხბურთი უბრალო თამაშია, მაგრამ ერთი სირთულე აქვს – ფეხბურთის თამაშს ყველა ვერ ახერხებს. ყოველთვის უნდა დარწმუნდე, რომ თამაშის დასრულებამდე მეტოქეზე მეტი გოლი გაქვს შეგდებული. სჯობს საკუთარი შეხედულებების გამო წააგო, ვიდრე სხვისი. თუ ბურთი ჩვენს გუნდს ექნება, გოლს ვერ გაგვიტანენ“.

**იოჰან კრუიფი**

**გიორგი ფულარიანი**

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** ინგლისელი ფეხბურელი, რომელმაც მუნდიალის ჩაგდების მიუხედავად, „ოქროს ბურთი“ დაიმსახურა, იყო **კევინ კიგანი**. ამ ლეგენდარულმა ინგლისელმა ეს 1978 წელს გააკეთა.

**პირველმა** მსოფლიოს რეკორდი ველოსიპედით რბოლაში დაამყარა კემბრიჯელმა სტუდენტმა **დოდმა.** ერთ საათში მან 15 მილი და 148 იარდი (დაახლოებით 25,5 კმ) დაფარა.

**პირველად** ფეხბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 1900 წელს შეიტანეს.

**გიორგი ფულარიანი**

## საფეხბურთო ანეკდოტი

**ფრანჩესკო ტოტი** წყალში იხრჩობა. ყვირის, დამეხმარეთო, მაგრამ მაშველები თავს არ იწუხებენ. სასამართლოზე მათ ეკითხებიან: „კი მაგრამ, რატომ არ უშველეთ იტალიელ ფეხბურთელს?“. მაშველებმა კი... გვეგონა სიმულიანტობდაო - უპასუხეს.

**გიორგი ფულარიანი**

## ლეგენდარული ... ფეხბურთი ახლო ხედით

# მატჩის დრო და შესვენება

მატჩის ძირითად დროს განსაზღვრავს მხოლოდ მთავარი მსაჯი. ნამდვილი დროის განმსაზღვრელი არ შეიძლება იყოს სტადიონზე დამონტაჟებული ტაბლო. საერთაშორისო დებულების თანახმად, მატჩის ძირითადი დრო შემდეგნაირად განისაზღვრება:

ა) მოზრდილი ასაკის ყველა გუნდისათვის - 2 ტაიმი, თითოეული 45 წუთის ხანგრძლივობით;

ბ) ჭაბუკებისათვის - 2 ტაიმი, თითოეული 45 წუთის ხანგრძლივობით;

დ) უმცროსკლასელთათვის - 2 ტაიმი, თითოეული 20 წუთის ხანგრძლივობით.

დაკანონებული დროის ამოწურვის შემდეგ მატჩი გაგრძელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მთავარი მსაჯი საჭიროდ მიიჩნევს გარკვეული დროის დამატებას.

მთავარ მსაჯს შეუძლია ამხანაგური მატჩისათვის განკუთვნილი დრო შეამციროს, თუ მაგალითად, შეხვედრა გვიან დაიწყო, მაგრამ ამ შემთხვევაში პირველი ტაიმი სრულად უნდა იყოს ჩატარებული. დროის შემცირება ორივე ტაიმში ანუ თანაბრად გაყოფა არ შეიძლება.

საერთაშორისო ნორმებით უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის ტაიმებს შორის შესვენება არის 10 წუთი, ხოლო ჭაბუკთა გუნდებისათვის - 15 წუთი. შესაძლოა დაიშვას ტაიმებს შორის შესვენების უარყოფა, თუკი ამას დაჟინებით მოითხოვს მეტოქე გუნდების ყველა წევრი. თუ ერთ-ერთი ფეხბურთელი მაინც უარს იტყვის შესვენების გაუქმებაზე, მთავარ მსაჯს არა აქვს უფლება, არ გამოაცხადოს შესვენება. შესვენების შესაძლო გაუქმებაც გამორიცხულია ჭაბუკთა გუნდებს შორის მატჩი ჯანმრთელობის თვალსაზრისით.

# კროსვორდი



პასუხები მომდევნო ნომერში

შეადგინა ლალი ქიქინაძემ

**თარაზულად:** 1. "ახალ ზიდანად" წოდებული ფრანგი ფეხბურთელი; 9. გამოჩენილი ესპანელი ფეხბურთელი და მწვრთნელი; 10. "სან ანტონიო სპერსის" კალათბურთელი; 11. ავსტრალიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 12. ქართული რაგბის კლუბი(I ლიგა); 13. ქართველი ალპინისტი და მწვრთნელი; 14. "ასტონ ვილას" მთავარი მწვრთნელი; 16. ფეხბურთელ ვერონის ერთ-ერთი სახელი; 17. "ბარსელონას" ნახევარმცველი; 20. ეკვადორის წამყვანი საფეხბურთო კლუბი "... კიტო"; 21. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების ფეხბურთელი; 24. ბილიარდის თამაში 5 ბურთით; 25. გამოჩენილი შოტლანდიელი ფეხბურთელი; 26. „რომას“ ფეხბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი.; 28. დორტმუნდის "ბორუსიის" ხორვატი მცველი; 30. ესპანური ფეხბურთის გრანდი; 31. ბრიტანელი პროფესიონალი მოკრივე ... ლუისი.

**შვეულად:** 1. ქართველი მოჭიდავე, ბერძნულ-რომაულ სტილში მსოფლის 1987 წლის ჩემპიონი; 2. ფიფას ვერსიით 2004-2005 წლების საუკეთესო ფეხბურთელი; 3. უნაგირის ნაწილი; 4. ქართველი ფრენბურთელი ქალი; 5. არგენტინელი ფეხბურთელი გაბრიელ ... ბატისტუტა; 6. ნბა-ში მოთამაშე პირველი ქართველი სპორტსმენი; 7. ქართველი მოციგურავე ქალი; 8. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 13. უზბეკეთის სახელით მოასპარეზე ქართველი მოჭიდავე; 15. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 18. ყოფილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, მცველი; 19. ძველი თაობის დინამოელი, ქართველი ფეხბურთელი გრიგოლ...; 22. კიდული ძრავით ერთადგილიანი სპორტული ნავი ; 23. "მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელი; 27. ცნობილი სამოელი პროფესიონალი მოკრივე; 29. მსოფლიოს ჩემპიონი იტალიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი.

## თავსატეხი „ანთა“

„ანთა“ ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

*შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.*

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | | | | | | | | 5-0 | 7 | I |
| B | | | | | | | | | 5-2 | 5 | II |
| C | | | | | | | | | 3-1 | 4 | III |
| D | | | | | | | | | 2-12 | 0 | IV |

### წინა ამოცანის პასუხი

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | 1:0 | 0:1 | 4:0 | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 6 | I |
| B | 0:1 | | 1:0 | 4:0 | 3 | 2 | 0 | 1 | 5-1 | 6 | II |
| C | 1:0 | 0:1 | | 2:1 | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 | III |
| D | 0:4 | 0:4 | 1:2 | | 3 | 0 | 0 | 3 | 1-10 | 0 | IV |

გვერდი მომზადებულია **თენგიზ თომაშვილის პროექტით**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი


პორტუგალია-საქართველო. 2010 წელი

# შერკინებისა და უკანა ხაზის, გამოცდილებისა და ახალბედების სინთეზი

საქართველოს ნაკრები დღეს ლისაბონში, ევროპის ერთა თასის მესამე ტურში პორტუგალიის ნაკრებს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნები" ამ მატჩისთვის ორშაბათიდან ლისაბონშივე ემზადებოდნენ. პორტუგალიასთან დაპირისპირება მუდამ დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ბოლო წლებში, „ლობუშები" (მგლები) ჩვენი გუნდისთვის უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბდნენ.

საქართველოს ნაკრების თავკაცმა **რიჩი დიქსონმა** ლისაბონში 25 მორაგბე იახლა, რომელთაგან პორტუგალიასთან სათამაშოდ 22 შეარჩია. ძირითად შემადგენლობაში დებიუტი ექნება ფულბეკ **ბექა ურჯუკაშვილს** (ფიჟაკი). გამოცდილი, ქუთაისის „აიას" მოთამაშე-მწვრთნელი **ბესიკ ხამაშურიძე** განაცხადში ვერ მოხვდა. დიქსონმა სათადარიგოთა შორის გადაიყვანა მგეზავი **მერაბ კვირიკაშვილი**(ფიჟაკი). ამ პოზიციაზე ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს **ლაშა მალაღურაძე**(ბეზიე).

თითქმის მთლიანად შეიცვალა მესამე ხაზი. ერთწლიანი პაუზის შემდეგ ნაკრებს უნდა დაბრუნებოდა **მამუკა გორგოძე**(მონპელიე). ის საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და ჩვენი გუნდისთვის ძალიან დიდი ძალაა, მაგრამ ვარჯიშისას ტრავმა გაუმიზეზდა და მინიმუმ ორი კვირა ვერ ითამაშებს. მის ნაცვლად რვა ნომრის პოზიციაზე **გიორგი ჩხაიძე** (მონპელიე) დადგება. მესამე ხაზში ითამაშებენ ასევე **სიმონ მაისურაძე** (ვილერბანი) და **შალვა სუთიაშვილი** (მასი). **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი), რომელიც რიჩი დიქსონმა ტრავმირებული **გია ლაბაძის** ნაცვლად იხმო, თადარიგში იქნება.

პირველ ხაზში შემადგენლობა ოპტიმალურია. პორტუგალიასთან წამყვანი სამეული გამოცდილი და მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი მორაგბეებისგან დაკომპლექტდება: **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი) და **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი).

გუნდის მომზადებით მწვრთნელთა შტაბი კმაყოფილია. რიჩი დიქსონის ასისტენტმა **ილია მაისურაძემ** ასე დაახასიათა მეტოქე:

*„პორტუგალიის ნაკრები კარგი, ბოლომდე მებრძოლი გუნდია. მართალია, შერკინებაში ოდნავ მოიკოჭლებენ, მაგრამ ძალიან ტექნიკურები და სწრაფები არიან, რითაც მეტოქეებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიან. ჩვენი გუნდი უკეთესად გამოიყურება დინამიკურ თამაშში. ბევრი ვიმუშავეთ შერკინებისა და უკანა ხაზის თამაშის სინთეზის დახვეწაზე. ამასთან ვცდილობთ ვიყოთ უფრო აგრესიული და ორგანიზებული მიწაზე, რაკში თამაშისას. დიდი ყურადღება დავუთმეთ დაცვაში დროულად გადაწყობასაც".*

პორტუგალიის ნაკრები „ბორჯღალოსნებს" უძლიერესი შემადგენლობით დაუხვდება. „ლობუშებმა" ერთა თასისთვის ბრძოლაში ძირითადი კონკურენტები, რუმინეთისა და რუსეთის ნაკრებები უკვე დაამარცხეს. ჩვენს გუნდთან გამარჯვების შემთხვევაში კი, ფაქტობრივად, პირველ ადგილს გაინაღდებენ, რადგან დარჩენილ ორ შეხვედრაში აუტსაიდერებთან, უკრაინისა და ესპანეთის ნაკრებებთან უწევთ დაპირისპირება.

შეგახსენებთ, რომ მატჩი თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

## პორტუგალია-საქართველო

პორტუგალია: 15. ანტონიო აგილარი, 14. გონსალო ფორო, 13. ფედერიკო ოლივეირა, 12. პედრო სილვა, 11. ჟოზე ლიმა, 10. ჯო გარდნერი, 9. პედრო ლეალი. 1. ჟუან მურე, 2. ჟოაო კორეა, 3. კრისტიან სპაშუკი, 4. ჟუან სევერინო, 5. გონსალო უვა, 6. ვასკო უვა, 7. ჟულიენ ბარდი, 8. ტიაგუ გიარაუ.

16. ლიონელ კამპარნე, 17. ენტონი ალვეში, 18. რუი დორეი, 19. ჟაკ ლე რუ, 20. ჟოზე პინტუ, 21. პედრო კაბრალი, 22. ფრანსისკო მირა.

საქართველო: 15. ბექა ურჯუკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ლექსო გუგავა, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. სიმონ მაისურაძე, 7. შალვა სუთიაშვილი, 8. გიორგი ჩხაიძე.

16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. გოდერძი შველიძე, 18. ვასილ კაკოვინი, 19. ვიქტორ კოლელიშვილი, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ირაკლი ჩხიკვაძე, 22. მერაბ კვირკაშვილი

## რუმინეთი-რუსეთი

რუმინეთი: 15. იულიან დუმიტრაში, 14. მადალინ ლემნარუ, 13. იონელ კაზანი, 12. რობერტ დესკალუ, 11. კატალინ ფერკუ, 10. ფლორინ ვლაიკუ, 9. ლუჩიან სირბუ. 1. სეზარ პოპესკუ, 2. ბიგდან ზებეგა, 3. მიჰაიტა ზაზარი, 4. სორინ სოკოლი, 5. კრისტიან პეტრე, 6. სტელიან ბურეა, 7. დანიელ იანუსი, 8. ოვიდიუ ტონიცა.

16. ვასილე მარისკარიუ, 17. ნიკოლაე ნერე, 18. ვალენტინ პოპირლანი, 19. დანიელ კარპო, 20. ფლორინ სურუგიუ, 21. დანიც დუმბრავა, 22. კონსტანტინ გეარა.

## რუსეთის ნაკრები

პირველი ხაზი: ვალერი ცნობილაძე (სმენა), კარლო მალლაკელიძე (პენზა), ალექსანდრ ხროკინი, ალექსეი ტრავკინი, ვლადისლავ კორშუნოვი (სამივე-ვვა), ივან პრიშეპენკო (კრასნი იარი), ევგენი პრონენკო (ენისეი).

მეორე ხაზი: ანდრეი ოსტრიკოვი (ორიაკი), ალექსანდრ ვოიტოვი (ვვა).

მესამე ხაზი: არტიომ ფატახოვი, ალექსეი პანასენკო, ევგენი მატვეევი, კირილ კუშნარიოვი, ვიქტორ გრესევი (ყველა-ვვა), ანდრეი გარბუზოვი (კრასნი იარი)

N9: ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი (ვვა)

N10: იური კუშნარიოვი (ვვა)

N12-13: მიხაილ ბაბაევი (ვვა), იგორ გალინოვსკი, ალექსეი მაკოვეცკი (კრასნი იარი)

N11-14: ვასილი არტემიევი, ანდრეი კუზინი (ორივე -ვვა), ვლადიმირ ოსტროუშკო (კრასნოდარი)

N15: კონსტანტინ რაჩკოვი (სტად ფოსენი), იგორ კლუჩნიკოვი (ვვა).

ესპანეთის ნაკრები: მარტინ ერედია (კოსტას დელ სოლ), ხუან გონსალესი, ლანდრო ფერნანდეს-არამბურუ (ორივე-კახასოლი), მიულერ გუტიერესი, იგნასიო ბონანი, ფერნანდო ანიბალი (სამივე-ენტრეპინარესი), სერხიო სოუტო, პაბლო ფეიხოო (ორივეელ სალვადორი), ხავიერ ასევედო (სანტაბოიანა), ხავიერ კანოსა, ვიქტორ გომესი (ორივე-მადრიდი), მატრინ ასენა, მეთიუ კუკი, როდრიგო სანჩესი (სამივე-ლა ვილა), პედრო მარტინი, მატიას ტუდელა (ორივეორდიზია), ფედერიკო ნეგრილო (ბისკაია), კარლოს ბლანკო (ვიგო), გაუტიერ გიბუნი (ბორდო), სერხი ობენალი (კლერმონი), ხესუს ნუნესი, ხუან არიასი (ორივე-ლილი), პიერ ბელსუნსე (კოლომიე), ბატისტ სანჩესი (ნარბონი), ადრიან აიესტარანი, ანდონი ხორახურია (ორივე-ბიარიცი), მატინ ეჩეპარე (დაქსი), მატიო როსა (ორიაკი), ფაბიენ როფესი (მონპელიე), ხესუს მორენო (ლიდსი).

## ერთა თასი

### III ტური, 26 თებერვალი

პორტუგალია-საქართველო, რუმინეთი-რუსეთი, ესპანეთი-უკრაინა

### IV ტური, 12 მარტი

საქართველო-რუმინეთი, ესპანეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუსეთი

### V ტური, 19 მარტი

რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | +119 | 10 |
| 2. პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | +9 | 8 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +2 | 5 |
| 4. ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | -64 | 1 |
| 5. რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -7 | 1 |
| 6. უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -59 | 0 |

ზე რაგბი

# რებლზის პირველი ისტორიული გამარჯვება

ზე რაგბის გათამაშების მეორე ტური B ჯგუფის ბინადრების, დანიდინის „ჰაილენდერზისა" და ჰემილტონის „ჩიფსის" მატჩით გაიხსნა. ჰემილტონელებმა შეხვედრის პირველი ტაიმში შესანიშნავად ითამაშეს და 13:6 მოიგეს. დანიდინელები გონს შესვენების შემდეგ მოეგნენ და მაქსიმალურად სწრაფად და მძლავრად ამოქმედდნენ.

მესამეხაზელმა **ნასი მანუმ** და გარემარბმა **პოკი კადემ** თითო ლელო გაიტანეს, რომლებიც მგეზავმა **ლიმა სოპოაგამ** გარდასახა. მანვე მატჩის მინურულს ერთი საჯარიმოც გაიტანა. „ჩიფსმა" კი მეორე ტაიმში საკუთარი მონაგრის გაზრდა ვერ მოახერხა და 13:23 წააგო. ჰემილტონელთაგან გამორჩეული იყო მგეზავი **მაიკ დელანი,** რომელმაც გუნდს 13 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, ერთი გარდასახვა და ორი საჯარიმო).

25 თებერვალი ისტორიული დღე გამოდგა ზე რაგბის გათამაშების ახალი გუნდისთვის, A ჯგუფში მოასპარეზე „მელბურნ რებლზისთვის", რომელმაც შინ კანბერის „ბრამბიზთან" ისტორიაში პირველი გამარჯვება მოიპოვა - 25:24.

მატჩი მგეზავების, მელბურნელი **დენი სიპრიანისა** და კანბერელი **მეთ გიტოს** დუელად გადაიქცა. უკეთესი სიპრიანი გამოდგა, რომელმაც ვიზავი ფეხჩუბინობაში დაჩაგრა. მან ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (20 ქულა). მეექვსე, გამარჯვების მომტანი საჯარიმო სიპრიანიმ მატჩის ბოლო წუთზე დაარტყა. გიტოს მონაგარი შედარებით მოკრძალებულია, მან სამი საჯარიმო, ერთი არეკნი და ერთი გარდასახვა მიითვალა (14 ქულა).

„მელბურნ რებლზის" შემადგენლობაში თავისი პირველი ლელო მიითვალა ლეგენდარულმა ავსტრალიელმა შუამარბმა **სტირლინგ მორთლოქმა.** ბრამბიზელთაგან თავი უკანახაზელებმა, **პატრიკ მაკკებიმ** და **ჰენრი სპეითმა** გამოიჩინეს.

ამავე ჯგუფში დიდ ინტერესს იწვევს სიდნეის „ვორათაზისა" და ბრისბენის „რედსის" დაპირისპირება. ორივე გუნდმა სტარტი წარმატებულად აიღო. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სიდნეელებს „წითლებისთვის" ექვსი წელიწადია არ მოუგიათ, მაგრამ „ვორათაზი" წლეულს, როგორც ჩანს, შესანიშნავად მოემზადა და რევანშის აღებას შეეცდება.

B ჯგუფში კიდევ ერთი შეხვედრა ველინგთონის „ჰარიკენზსა" და ქრაისტჩერჩის „კრუსეიდერზს" შორის გადაიდო. ქრაისტჩერჩში სტიქიურმა უბედურებამ, ბოლო მონაცემებით, 98 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ქალაქი ნანგრევებშია მოქცეული.

საკმაოდ მძიმე და საინტერესო ბრძოლებია მოსალოდნელი C ჯგუფში. ჩემპიონი, პრეტორიის „ბლუ ბულზი" სტუმრად ეთამაშება ბლუმფონტეინში „ჩიტაზს". პრეტორიელებმა მეტოქისგან განსხვავებით პირველ ტურში ასევე სტუმრად მოიგეს. „ლურჯი ხარები" მატჩს ოპტიმალური შემადგენლობით ხვდებიან და, წესით, ბლუმფონტეინში „ქვა ქვაზე არ უნდა დატოვონ".

გათამაშების კიდევ ერთი ფავორიტი, დურბანის „ნატალ შარქსი" შინ ეთამაშება ოქლენდის „ბლუზს". ორივე გუნდმა შეჯიბრება გამარჯვებით დაიწყო. ოქლენდელებმა „კრუსეიდერზი" დაამარცხეს, რაც მათ თამაშს მეტ დამაჯერებლობას შესძენს. თუმცა დურბანელები შინ იოლად არავის არაფერს უთმობენ და სავარაუდოდ, საკმაოდ მძიმე თამაშს უნდა ველოდოთ.

ამ ჯგუფის კიდევ ერთი მატჩი გაიმართება კეიპთაუნში, სადაც „სტორმერზი" იოჰანესბურგის „ლაიონზს" უმასპინძლებს. მასპინძლებისთვის ეს მატჩი სასტარტო იქნება, მაშინ როცა „ლომებმა" სტუმრად წააგეს „ბლუ ბულზთან" - 24:20.

## ზე რაგბი. II ტური

### A ჯგუფი

მელბურნ რებლზი-ბრამბიზი 25:24, ვორათაზი-რედსი

### სატურნირო მდგომარეობა

1. ვორათაზი - 5 ქულა, 2. ბრამბიზი - 4, 3. რედსი - 4, 4. მელბურნ რებლზი - 4, 5. ფორსი - 1.

### B ჯგუფი

ჰაილენდერზი-ჩიფსი 23:13, ჰარიკენზი-კრუსეიდერზი (გადაიდო)

### სატურნირო მდგომარეობა

1. ჰაილენდერზი - 8 ქულა, 2. ბლუზი - 4, 3. კრუსეიდერზი - 1, 4. ჰარიკენზი - 1, 5. ჩიფსი - 0.

### C ჯგუფი

ჩიტაზი-ბლუ ბულზი, ნატალ შარქსი-ბლუზი, სტორმერზი-ლაიონზი

### სატურნირო მდგომარეობა

1. ნატალ შარქსი - 4 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 4, 3. ლაიონზი - 1, 4. სტორმერზი - 0, 5. ჩიტაზი - 0.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**


ბურთით დენ სიპრიანი

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბოშმა 17 ააცილა

გუშინ რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ ორი მატჩი გაიმართა, მაგრამ ორივემ ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია კალათბურთის მოყვარულებში. მეორედ შეხვდნენ ამ სეზონში ერთმანეთს „ჩიკაგო“ და „მაიამი“ და „ხარებმა“ ამჯერადაც მოუგეს ფავორიტს, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი საჩემპიონო ამბიციები. წინა შემთხვევაში ფლორიდელებმა თავი იმით იმართლეს, რომ **ლებრონი ჯეიმსი** აკლდათ და თან **კრის ბოში** ტრავმით თამაშობდა. ამჯერად კი „მაიამის“ „დიდი ტრიო“ მწყობრში იყო და შესაბამისად, გუნდმა წაგების გამო სხვა რამით უნდა იმართლოს თავი.

სავარაუდოდ, ამ წაგების მთავარი მიზეზი კრის ბოშია, რომელმაც თამაშიდან 18 ტყორცნა შეასრულა და მხოლოდ ერთი (!) ჩააგდო. ბოლო 28 წლის განმავლობაში ეს არის ტყორცნების ყველაზე უარესი რეალიზაცია იმ მოთამაშეებს შორის, რომლებმაც ერთი მატჩის განმავლობაში მინიმუმ 18 ტყორცნა შეასრულეს. საერთოდ ისტორიაში ბოში ამ მაჩვენებლით „საუკეთესო“ სამეულში მოხვდა. მასზე უარესად ისროდნენ **მაიკ ნიულინი** 1972-73 წლების სეზონში (1/22, 4.5%) და **ნეიტ ტიორმონდი** 1969-70 წლების სეზონში (1/19, 5.3%). მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ბოშს არ უნდა დაბრალდეს. დამნაშავენი არიან ისინიც, ვინც მას ჯიუტად ამარაგებდა პასებით და ისინიც, ვინც მის წინააღმდეგ იცავდნენ თავს.

კრის ბოშის წინააღმდეგ **კარლოს ბუზერი** და **ტაჯ გიბსონი** მოქმედებდნენ, რომლებსაც **ჟოაკიმ ნოა** და **აშიქიც** ეხმარებოდნენ. სხვათა შორის, თურქმა 21 წუთში 11 მოხსნა დააგროვა და კარიერის პირადი რეკორდი დაამყარა. მოკლედ „ჩიკაგოსთვის“ საქმეები კარგად მიდიოდა, მაგრამ კინაღამ ყველაფერი გააფუჭა **დერიკ როუზმა.** „ხარების“ ლიდერმა ზედმეტად აიღო თამაში თავის თავზე და მეოთხე მეოთხედში დიდი გაჭირვებით მოპოვებული ცხრაქულიანი უპირატესობა ოთხქულიან ჩამორჩენად იქცა. თუმცა დროის ამ მონაკვეთში მარტო როუზი არ სცოდავდა - მისი პარტნიორების თამაშიც მოიშალა. მაგალითად, გიბსონმა 21 წამში მოასწრო ორჯერ მარტივი სიტუაციიდან ბურთის აცილება და ჯეიმსსა და **დამპიეზე** პერსონალურების აღება. ამ გასაჭირის მიუხედავად, „ჩიკაგოს“ დამრიგებელმა **ტომ ტიბოდომ** ტაიმ-აუტი არ აიღო. როგორც ჩანს, ბოლომდე სჯეროდა თავისი შეგირდების და მათაც არ უმტყუნეს მასწავლებელს.

ჯერ **კორვერმა** ჩააგდო სამქულიანი, **დენგმა** საშუალო მანძილიდან გამოიჩინა თავი, ხოლო როუზი ფენომენალური გარღვევითა და ექვსი მეტრიდან ზუსტი ტყორცნით დაეხმარა პარტნიორების გაქცევას. ამ დროის განმავლობაში კი „დიდი ტრიოს“ წევრებმა ზედიზედ ხუთი ტყორცნა ააცილეს. საფინალო სირენამდე წუთითა და 6 წამით ადრე „ჩიკაგოს“ უპირატესობა ხუთი ქულა იყო - 89:84. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ყველაფერი. უეიდმა და ჯეიმსმა იმავე როუზის ორი უშედეგო შეტევის შემდეგ ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს.

„ჩიკაგოს“ გამთამაშებელი მაინც გადაურჩა მატჩის ანტიგმირის სტატუსს. მორიგი შეტევისას როუზი დაელოდა, სანამ ნოა მეურვეებს გაიტყუებდა და კუთხეში უმეთვალყურეოდ დარჩენილი დენგი მონახა. მან იდეალური სამქულიანი ჩააგდო. „მაიამის“ საპასუხო იერიში ლებრონის არაზუსტი სამქულიანით დასრულდა, მოხსნა როუზს ერგო, მისგან პასი - კორვერს. სტუმრები მასზე დაჯარიმდნენ და ორმა ზუსტმა საჯარიმომ შეხვედრას წერტილი დაუსვა.

■ ■ ■

ბოლო ორი დღის განმავლობაში „დენვერმა“ და „ბოსტონმა“ მნიშვნელოვნად გადაახალისეს შემადგენლობები. სანამ „სელტიქსს“ „ოკლაჰომადან“ აყვანილი **ნენად კრსტიჩი** შეუერთდება, **დოკ რივერსს** ცენტრად **გლენ დევისის** გამოყენება მოუწევს. **პერკინსი** და **სემიჰი** გაუშვეს, **შაკილ** და **ჯერმეინ ო'ნილები** ტრავმირებულები არიან. „დენვერთან“ მატჩში რივერსის განკარგულებაში მხოლოდ ცხრა კალათბურთელი იყო, სათადარიგოთა სკამზე კი ერთადერთი „მაღალი“ იჯდა - D-ლიგიდან სასწრაფოდ გამოძახებული 211 სანტიმეტრის სიმაღლის **კრის ჯონსონი**.

რაც შეეხება „დენვერს“, ახალწვეულთაგან სასტარტოში მხოლოდ **გალინარი** მოხვდა. თავიდან სტუმრებმა შეუტიეს და 7:2 გავიდნენ წინ. „ნაგეტსმა“ პირველ ოთხ წუთში მხოლოდ ერთი ბურთის ჩაგდება შეძლო.

მდგომარეობა მეორე მეოთხედში შეიცვალა, როცა რივერსს ლიდერების დასვენებამ მოუწია. **ჯორჯ კარლმაც** მეორე შემადგენლობა შეუშვა მოედანზე, მაგრამ ეს სათადარიგო ხუთეული პირველს არაფრით ჩამოუვარდებოდა - **ფელტონი, სმიტი, ჩენდლერი, ჰარინგტონი, ანდერსენი**... ბევრი კლუბი ვერ დაიკვეხნის ასეთი რეზერვით. მათ ექვსი ქულით მოახერხეს მეორე მეოთხედის მოგება.

მეორე ტაიმის დასაწყისი ძალიან ჰგავდა პირველს - ისევ „ბოსტონმა“ იაქტიურა და ისევ **რაჟონ რონდოს** დახმარებით. მაგრამ პრობლემები არსად გამქრალა - როგორც კი სტუმრების დიდი ოთხეულიდან რომელიმე დასასვენებლად მიდიოდა, „ბოსტონი“ მაშინვე თამაშს უკლებდა. ასეთ პირობებში „კელტების“ ნაქები დაცვაც ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე.



როუზი ბევრს იღებდა თავის თავზე

პრობლემები „დენვერსაც“ ჰქონდა - მის ახალწვეულებს შეთამაშება აკლდათ, რამაც შეტევაში ბევრი შეცდომა გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ჯორჯ კარლმა მონახა საჭირო სვლა იმისთვის, რომ ბოლოსკენ გაენადგურებინა დაუძლურებული მეტოქე. ეს ჩანაფიქრი იყო „მსუბუქი“ შემადგენლობა ორი გამთამაშებლით - **ლოუსონითა** და ფელტონით. ეს სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა რივერსისთვის, რომელმაც საპასუხოდ ვერაფერი მოიფიქრა. 16:0 - ასეთი იყო „დენვერის“ საფინიშო სპურტი. მსგავსი დაცინვა „ბოსტონს“ ამ სეზონში ჯერ არ გადაუტანია.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ახალი „დენვერი“ შედგა. ამას გუნდის გულშემატკივარიც ხვდება და მატჩის ბოლოს შემთხვევით არ მოუწყო თავის გუნდს ფეხზე ამდგარმა ხანგრძლივი ოვაცია. შეგახსენებთ, **კარმელო ენტონის** წასვლის შემდეგ „ნაგეტსს“ ორიდან ორი მოგება აქვს.

**ჩიკაგო-მაიამი 93:89**

**23:31, 21:22, 27:14, 22:22**

**ჩ:** როუზი (26+5 მოხსნა+6 პასი), დენგი (20+10 მოხსნა+5 პასი), ბუზერი (16+9 მოხსნა), აშიქი (0+11 მოხსნა).

**მ:** უეიდი (34+8 მოხსნა), ჯეიმსი (29+10 მოხსნა+5 პასი), ჩელმერსი (12), ბოში (7+9 მოხსნა).

**დენვერი-ბოსტონი 89:75**

**18:23, 19:13, 24:24, 28:15**

**დ:** მარტინი (18+10 მოხსნა), ჩენდლერი (16+5 მოხსნა), აფლალო (13), ნენე (12+10 მოხსნა), სმიტი (12+8 მოხსნა).

**ბ:** პირსი (17+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), გარნეტი (14+13 მოხსნა), დევისი (11+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ალენი (10), უესტი (10).

# ბოსტონის გადახალისდა



სემიჰი და პერკინსი მწვანეები აღარ არიან

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სატრანსფერო ციებ-ცხელებაში აქტიურად ჩაება „ბოსტონ სელტიქსი“. სეზონის ერთ-ერთმა ფავორიტმა პრინციპულ შეთანხმებას მიაღწია „ოკლაჰომასთან“ და ოთხი კალათბურთელისგან შემდგარი ტრეიდი განახორციელა.

კერძოდ, „სელტიქსი“ „თანდერს“ ცენტრ **კენდრიკ პერკინსსა** და მცველი **ნეიტ რობინსონს** მისცემს, სანაცვლოდ კი ამავე ამპლუის კალათბურთელებს - **ჯეფ გრინსა** და **ნენად კრსტიჩს** მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ პერკინსმა „ლეიკერსთან“ შარშანდელი ფინალური სერიის დროს მიიღო მძიმე ტრავმა და ახლახან დაუბრუნდა თამაშს. როგორც ჩანს, „სელტიქსის“ დამრიგებელი **დოკ რივერსი** აღარ განიხილავდა მას თავისი გუნდის ძირითად ცენტრად. ამ სეზონში პერკინსმა 12 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 7.3 ქულა და 8.1 მოხსნა დააგროვა.

ჯეფ გრინი „ოკლაჰომას“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო - მან წელს 49 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 15.2 ქულითა და 5.6 მოხსნით დაეხმარა გუნდს. კრსტიჩმა ორჯერ ნაკლები მატჩი ჩაატარა და 7.6 ქულა და 5.4 მოხსნა მიითვალა.

გრინისა და კრსტიჩის დამატების შემდეგ „სელტიქსის“ ხელმძღვანელობამ კიდევ სამი კალათბურთელი ჩათვალა ბალასტად. „კლივლენდში“ გაუშვეს **სემიჰ ერდენი** და **ლუკ ჰარანგოდი**, სანაცვლოდ კი მხოლოდ დრაფტის მეორე რაუნდში არჩევანის უფლება მიიღეს.

თურქი ერდენის ანგარიშზე 37 მატჩი და 14 წუთი საშუალო სათამაშო დროა. მისი სტატისტიკა 4.1 ქულასა და 2.9 მოხსნას უდრის. ჰარანდოგიმ 28 მატჩში საშუალოდ 2.3 ქულა და 2.0 მოხსნა დააგროვა.

მესამე გასხვისებული კალათბურთელია **მარკის დენიელსი**, რომელიც „კელტებმა“ „საკრამენტოს“ დაუთმეს. ამ მოთამაშის შეძენა „მეფეების“ მთავარ მწვრთნელ **პოლ უესტფოლს** უნდოდა. „საკრამენტომ“ მასში გარკვეული თანხა გადაიხადა.

წელს დენიელსი საშუალოდ 19 წუთს თამაშობს და 5.5 ქულასა და 2.3 მოხსნას აგროვებს.

■ ■ ■

„ჰიუსტონის“ ფორვარდი **შეინ ბატიე** „მემფისში“ ბრუნდება. საპირისპირო მიმართულებით ჰიუსტონისკენ მიემართება ცენტრი **ჰაშიმ ტაბიტი**, რასაც დრაფტის პირველი რაუნდის არჩევანიც ემატება.

ბატიე „გრიზლისმა“ (მაშინ ეს გუნდი ქალაქ ვანკუვერს ეკუთვნოდა) 2001 წლის დრაფტში მეექვსე ნომრად აირჩია და 2006 წელს გაუცვალა „ჰიუსტონს“ **სტრომაილ სვიფტსა** და **რუდი გეიში**.

ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი წელს საშუალოდ 8.6 ქულასა და 4.8 მოხსნას აგროვებს. 23 წლის ტაბიტის სტატისტიკა 1.2 ქულასა და 1.7 მოხსნას უდრის.

■ ■ ■

„როკეტსი“ ამ ერთი ტრეიდით არ დაკმაყოფილდა და „ფინიქს სანზს“ გაურიგდა. კერძოდ, მცველი **აარონ ბრუქსი** გამთამაშებელ **გორან დრაგიჩში** გაცვალა. სლოვენიელის გარდა „ჰიუსტონმა“ დრაფტის პირველი რაუნდის არჩევანიც მიიღო.

მიმდინარე რეგულარულში ბრუქსის სტატისტიკაა - 11.6 ქულა და 3.8 პასი, დრაგიჩისა - 7.4 ქულა და 3.1 პასი.

■ ■ ■

„შარლოტმა“ „პორტლენდს“ დაუთმო თავისი ერთ-ერთი ლიდერი, ფორვარდი **ჯერალდ უოლასი.** ამ კალათბურთელს დიდი ხანია უნდოდა „ბობკეტსის“ დატოვება, „ბლეიზერსი“ კი შემადგენლობის გაძლიერებას ლამობდა.

უოლასის სანაცვლოდ „შარლოტმა“ მცირე კომპენსაცია მიიღო. ვარაუდობდნენ, რომ ამ ტრეიდში „პორტლენდის“ მხრიდან **ანდრე მილერი** იქნებოდა ჩართული, მაგრამ სხვანაირად მოხდა: „შარლოტში“ გაემგზავრა მუდმივად ტრავმირებული ცენტრი **ჟოელ პრჟიბილა,** რასაც „პორტლენდმა“ დრაფტის პირველი რაუნდის ორი არჩევანი დაუმატა.

ამ სეზონში ჯერალდ უოლასმა 48 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 15.6 ქულა და 8.2 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

დღის ბოლო ტრეიდი განახორციელეს იმავე „შარლოტმა“ და „ოკლაჰომამ“. ცენტრი **ნაზრ მოჰამედი** „ოკლაჰომაში“ ითამაშებს, ფორვარდები - **დი ჯეი უაიტი** და **მო პეტერსონი** - „ბობკეტსში“.

მოჰამედი ამ სეზონში საშუალოდ 7.3 ქულასა და 4.9 მოხსნას აგროვებს, უაიტი - 2.8 ქულას და 2.3 მოხსნას, პეტერსონი - 1.0 ქულას და 0.8 მოხსნას.

● ევროლიგა. TOP 16. V ტური

**E ჯგუფი**

**პანათინაიკოსი-ლ. რიტასი 67:68**

**20:23, 19:11, 14:14, 14:20**

**პ:** ბატისტი (11+5 მოხსნა), ნიკოლასი (10), დიამანტიდისი (8+7 პასი).

**ლ-რ:** ნიული (16+5 მოხსნა), ელ ამინი (11+4 პასი), ბიელიცა (10).

**კ. ლაბორალი-უნიკახა 78:63**

**24:14, 16:17, 18:18, 20:14**

**კ-ლ:** უერტასი (18+6 მოხსნა+5 პასი), ოლესონი (16), ტელეტოვიჩი (12), სან ემეტერიო (12+7 მოხსნა), ბარაცი (10+8 მოხსნა).

**უ:** სინანოვიჩი (18+5 მოხსნა), ფრილენდი (15+8 მოხსნა), ფიტჩი (11+7 მოხსნა).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 5 | 3 | 2 | 375-334 | 6 |
| 2. კ. ლაბორალი | 5 | 3 | 2 | 391-369 | 6 |
| 3. ლ. რიტასი | 5 | 3 | 2 | 377-396 | 6 |
| 4. უნიკახა | 5 | 1 | 4 | 253-397 | 2 |

**F ჯგუფი**

**ოლიმპია-რომა 76:87**

**14:20, 27:17, 14:28, 21:22**

**ო:** გრეგორი (18), ოზბოლტი (15), ილიევსკი (14+5 პასი), შერმადინი (10+5 მოხსნა+3 დაფარება).

**რ:** ჯედოვიჩი (20+4 ჩაჭრა), ვაშინგტონი (15), დატომე (13), გორდიჩი (10), დაშიჩი (10+6 მოხსნა).

**მაკაბი-ბარსელონა 85:92 (ო)**

**24:16, 15:14, 21:24, 13:19, 12:19**

**ს:** პარგო (19+5 მოხსნა), შორცანიდისი (16+6 მოხსნა), ეიდსონი (13), ელიაჰუ (12+5 მოხსნა), პერკინსი (12+5 მოხსნა).

**ბ:** მორისი (19+6 მოხსნა), ნავარო (17+4 პასით), ანდერსონი (14), ინგლესი (10).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 395-344 | 8 |
| 2. მაკაბი | 5 | 3 | 2 | 442-360 | 6 |
| 3. რომა | 5 | 1 | 4 | 329-393 | 2 |
| 4. ოლიმპია | 5 | 1 | 4 | 336-405 | 2 |

**G ჯგუფი**

**მონტეპასკი-ეფესი 88:76**

**25:23, 24:24, 21:11, 18:18**

**მ:** რაკოვიჩი (15), კაუკენასი (14), მოსი (11), ლავრინოვიჩი (11+5 მოხსნა).

**ე:** რაკოჩევიჩი (24), გიონლუმი (10+5 მოხსნა), ვუიჩიჩი (10).

**პარტიზანი-რეალი 56:61**

**12:15, 6:18, 18:11, 20:17**

**პ:** ვესელი (15+5 მოხსნა), კატიჩი (14+8 მოხსნა), კეცმანი (11+6 მოხსნა).

**რ:** ტომიჩი (21+7 მოხსნა), ლიული (13+5 მოხსნა), მიროტიჩი (13+9 მოხსნა), როდრიგესი (10).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 5 | 0 | 383-328 | 10 |
| 2. მონტეპასკი | 5 | 3 | 2 | 357-346 | 6 |
| 3. ეფესი | 5 | 2 | 3 | 361-388 | 4 |
| 4. პარტიზანი | 5 | 0 | 5 | 322-361 | 0 |

**H ჯგუფი**

**ქალგირისი-ვალენსია 74:80**

**17:18, 20:17, 17:23, 20:22**

**ჟ:** კოლინზი (15), იანკუნასი (14+5 მოხსნა), კალნიეიტისი (11+5 მოხსნა).

**ვ:** დე კოლო (17), რიჩარდსონი (17), მარტინესი (14), იავტოკასი (13+5 მოხსნა).

**ფენერბაჰჩე-ოლიმპიაკოსი 65:80**

**18:20, 18:14, 19:20, 10:26**

**ფ:** უკმიჩი (14), კინსი (12+6 მოხსნა).

**ო:** ერცეგი (21+5 მოხსნა), ნესტეროვიჩი (16+9 მოხსნა), მავროკეფალიდისი (16), სპანულისი (12+4 პასი), პაპალუკასი (9+8 პასი).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 5 | 4 | 1 | 383-354 | 8 |
| 2. ფენერბაჰჩე | 5 | 3 | 2 | 388-380 | 6 |
| 3. ვალენსია | 5 | 2 | 3 | 367-370 | 4 |
| 4. ჟალგირისი | 5 | 1 | 4 | 354-388 | 2 |

## ტურის მოთამაშე

ევროლიგამ მეორე ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურის საუკეთესო მოთამაშედ ესპანეთის „კახა ლაბორალის“ ფორვარდი **მარსელინიო უერტასი** დაასახელა.

„უნიკახასთან“ მატჩში (78:63) ბრაზილიელმა 18 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა, რამაც მას სარგებლიანობის რეიტინგში 30 ქულა მოუტანა. უერტასი მეორე მოთამაშე გახდა ევროლიგის ისტორიაში, ვინც მეორე ჯგუფური ეტაპის დროს ორჯერ მოიპოვა ტურის MVP-ის ტიტული. პირველად ასეთი რამ 2007-08 წლების სეზონში „ოლიმპიაკოსის“ მცველმა **ლინ გრირმა** შეძლო.

ტურის MVP-ის სტატუსისთვის ბრძოლაში უერტასმა დაამარცხა **ნიჰად ჯედოვიჩი** („რომა“), **ნიკოლა მიროტიჩი** („რეალი“), **იგორ რაკოჩევიჩი** („მონტეპასკი“) და **რაშკო კატიჩი** („პარტიზანი“).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბები

**ოლიმპიზმი**

### ოლიმპიადა დიდ ეკრანზე

ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორები თამაშების სტუმრების კომფორტსა და სპორტული შეჯიბრებების მაღალ დონეზე გაშუქებისთვის ზრუნავენ. ამ მიზნით ისინი ბრიტანეთის დედაქალაქის ოთხ ყველაზე ხალხმრავალ ადგილას დიდ ეკრანებს დაამონტაჟებენ, რომლის მეშვეობითაც მაყურებელს ოლიმპიური სტარტების ხილვის საშუალება ექნება.

ეკრანებს დააყენებენ ჰაიდ-პარკზე, ვიქტორიის პარკში, ტრაფალგარის მოედანზე და პოტერს-ფილდის პარკში. ამავე ადგილებში ოლიმპიადის დღეებში ათასგვარი კულტურული ღონისძიება დაგეგმილი.

ლონდონის მერის თქმით, ამ აქციის მეშვეობით ლონდონის ყოველი მცხოვრები და სტუმარი შეძლებს განიმსჭვალოს საზეიმო ატმოსფეროთი, რომელიც თან სდევს ყველაზე დიდ სპორტულ ფორუმს.

**დოპინგი**

### დოპინგის გავრცელებაზე სამი წელია

სათხილამურო სპორტსა და ბიატლონში ავსტრიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **ვალტერ მაიერი** სულ მალე სასამართლოს წინაშე წარდგება. მას სპორტსმენებისთვის დოპინგის რეალიზაცია ედება ბრალად. ყოფილ მწვრთნელს, რომლის სახელსაც უკავშირდება 2006 წლის ტურინის ზამთრის თამაშების ყველაზე გრანდიოზული დოპინგსკანდალი, სამწლიანი პატიმრობა ემუქრება.

2008 წელს მიღებული კანონის თანახმად, ავსტრიაში სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება დოპინგის გამოყენება და გავრცელება. თავად 53 წლის სპეციალისტი თავის დანაშაულს უარყოფს. გარდა ამისა, პროკურატურა მაიერს ველომრბოლების - **გეორგ ტოშნიგისა** და **მიხაილ ბოტვინოვის** საქმესთან დაკავშირებით ცრუ ჩვენებების მიცემაში ადანაშაულებს.

**ფორმულა 1**

### ბოლო მზადება ბარსელონაში

როგორც იცით, ბაჰრეინის გრან-პრი გაუქმდა და ახალი სეზონის დაწყება 27 მარტისთვის გადაიდო. ამავე ქვეყანაში უნდა გამართულიყო (3-6 მარტს) ტესტების დასკვნითი სერია, მაგრამ ისიც გაუქმდა და მომზადების ბოლო ეტაპი 9-12 მარტს ბარსელონაში გაიმართება. ამის შესახებ პრესას „უილიამსის" ტექნიკურმა დირექტორმა **სემ მაიკლმა** გამოაცხადა.

**ჰოკეი**

### პიტსბურგმა ვეტერანი დაიმატა

ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი „პიტსბურგ პინგვინზი" შეტევაში შექმნილი პრობლემების მოგვარებას ცდილობს. როგორც იცით, „პინგვინებს" ჯერაც ვერ დაუბრუნდა ლიდერი და ბომბარდირი **სიდნი კროსბი**, ხოლო **ევგენი მალკინი** სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს ყინულზე გასვლას.

ამის გამო „პიტსბურგმა" ტრეიდი განახორციელა „ოტავასთან". „პინგვინზმა" რუსი ვეტერანი, 38 წლის **ალექსეი კოვალიოვი** დაიმატა, რომელიც 1998-2003 წლებში თამაშობდა „პიტსბურგის" შემადგენლობაში. „ოტავამ" ვეტერანის სანაცვლოდ 2011 წლის დრაფტის მესამე რაუნდში არჩევანის უფლება მიიღო.

კოვალიოვი ორი სეზონია „ოტავაში" თამაშობს. მიმდინარე სეზონში მან 54 მატჩი ჩაატარა და 27 ქულა (14+13) დააგროვა, სულ კი NHL-ში მისი მონაგარია 1282 მატჩი და 1017 ქულა (426+591).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ალექსეი კოვალიოვი

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| რანდებერგი-ბრინი | 2:0 |
| ტრელებორგი-ანგელჰოლმსი | 2:3 |
| ნილი-ალტა | 0:1 |
| სარპსბორგი-ჰიონეფოსი | 0:0 |
| ბრეი-ლიმერიკი | 0:4 |

**ინგლისი — I ლიგა**

| | |
|---|---|
| ნოტსი-ჩარლტონი | 1:0 |

**იტალია — სერია B**

| | |
|---|---|
| პადოვა-პიაჩენცა | 0:0 |
| ლივორნო-ასკოლი | 1:1 |

**ესპანეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტენერიფე-ხერესი | 2:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-ბორუსია (მ) | 2:1 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ობერჰაუზენი-დუისბურგი | 0:0 |
| უნიონი-მიუნხენი | 0:1 |
| კოტბუსი-ფრანქფურტი | 2:1 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ზანდჰაუზენი-ზააბრიუკენი | 3:1 |

**საფრანგეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ევიანი-დიჟონი | 0:2 |
| ისტრი-ანჟერსი | 1:1 |
| ლავალი-ბულონი | 4:0 |
| ლე მანი-სედანი | 1:1 |
| მეცი-შატორუ | 0:0 |
| ნანტი-რეიმსი | 1:1 |
| ნიმი-კლერმონი | 1:2 |
| ტრუა-გრენობლი | 2:0 |
| ვანი-აიაჩო | 0:1 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ვენლო-ექსელსიორი | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კამბური-ვოლენდამი | 2:2 |
| ემენი-აპელდოორნი | 6:0 |
| დენ ბოში-როსენდაალი | 4:0 |
| ცვოლე-ეინდჰოვენი | 4:0 |

| | |
|---|---|
| ჰელმონდი-სპარტა | 5:2 |
| მაასტრიხტი-დორდრეჰტი | 3:1 |
| ვაალვიკი-ვეენდამი | 3:2 |
| ტელსტარი-ომნივორლდი | 2:3 |

**ბელგია — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოსტენდე-რუპელი | 3:0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| გიმარაეში-აკადემიკა | 0:2 |

**ავსტრია — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალტახი-ვენა | გადაიდო |
| ლუშტენაუ-ჰარტბერგი | 1:3 |
| სტ. პოლტენი-აუსტრია (ლ) | 1:1 |
| სტ. ანდრე-გრიოდიგი | 2:1 |
| გრატკორნი-ადმირა | 0:6 |

**ფინეთი — ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| მიუპა-ინტერი | 2:2 |
| ჰიკ-მარიეჰამნი | 4:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ბუძა-ბურსა | 0:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-ბრნო | 1:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ტრნავა-სლოვანი | 1:3 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| არკა-ვისლა | 0:1 |
| კრაკოვია-ლეგია | 3:3 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივა-ოსიეკი | 0:0 |
| ზაგრები-შიბენიკი | 1:1 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| შიოფოკი-დიორი | 0:1 |
| ფერენცვაროში-კეჩმეკეტი | 2:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| რაპიდი-უნირეა | 1:0 |

**კალათბურთი**

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| პო ორტეზი-ტულონი | 82:70 |
| რონანი-ნანსი | 74:78 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ქ. კრილია-სპარტაკი | 68:88 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი-ტრაბზონი | 82:80 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ნეფტიხიმიკი | 1:0 (ო) |
| ს. იულიაევი-სიბირი | 3:1 |
| მეტალურგი (მ)-იუგრა | 1:2 |
| აკ ბარსი-ბარისი | 3:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზაგრები-ალბა | 2:3 |
| ლინცი-ზალცბურგი | 7:2 |
| ოლიმპია-კლაგენფიურტი | 2:4 |
| ვილახი-აკრონი | 5:1 |
| გრაცი-ვენა | 3:2 (ბ) |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| შინიკი-ვიტებსკი | 1:3 |
| იუნოსტი-ხიმვოლოკნო | 14:4 |
| ნემანი-ხიმიკი | 6:5 |
| მეტალურგი-ბრესტი | 5:1 |
| შახტარი-ლიეპაიასი | 6:7 (ბ) |
| გომელი-სოკილი | 4:3 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| შტრაუბინგი-აისბარენი | 3:0 |
| აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 1:2 (ბ) |
| ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 5:3 |
| მიუნხენი-მანჰაიმი | 4:3 (ო) |
| დიუსელდორფი-ჰამბურგი | 6:5 |
| კრეფელდი-კიოლნი | 0:1 (ბ) |

**დანია**

| | |
|---|---|
| ფრედრიკშავნი-ჰვიდოვრე | 6:3 |
| ოლბორგი-როდოვრე | 4:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-ნიტრა | 6:0 |
| პოპრადი-სკალიცა | 2:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბრნო-ბოლესლავი | 5:1 |
| სპარტა-კლადნო | 4:3 (ო) |

**ჩოგბურთი**

**ATP. დუბაი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ბერდიხი | 6:7, 6:2, 6:2 |
| ფედერერი-გასკე | 6:2, 7:5 |

**ATP. დელრეი ბიჩი**

| | |
|---|---|
| ნიშიკორი-სვიტინგი | 6:7, 6:2, 6:4 |
| ტიპსარევიჩი-დოდიგი | 7:6, 6:1 |

**WTA. დოჰა**

| | |
|---|---|
| ვოზნიაცკი-ბარტოლი | 6:1, 6:1 |
| ზვორანევა-იანკოვიჩი | 6:1, 2:6, 6:4 |

## TV პროგრამა

**26 თებერვალი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**21:30** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი (LIVE).
**23:00** ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ბარსელონა (LIVE).
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-რეალი (LIVE).

**I არხი**

**14:00** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სოხუმი-არმია (LIVE).
**18:50** რაგბი. ერთა თასი. პორტუგალია-საქართველო (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**18:25** გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ნიურნბერგი (LIVE).
**20:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სევილია (LIVE).
**22:55** ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ბარსელონა (LIVE).
**00:55** ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-რეალი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**11:55** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
**13:25** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სწრაფდაშვება. არე. შვედეთი (LIVE).
**15:55** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერკომბინაცია (სლალომი). ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
**20:00** პროფესიული კრივი. გუნდური პირველობა (LIVE).
**06:00** პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. მ. აკოსტა-ბ. რიოსი. აშშ (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**18:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-მაინცი (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ოსერი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**16:55** რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-ენისეი (LIVE).
**18:55** რუსეთის ჩემპიონატი. უნიქს-ხიმკი (LIVE).

**SPORT+**

**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**21:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი (LIVE).
**23:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ბოლონია (LIVE).

**EUROSPORT**

**12:45** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ტრამპლინი. HS106. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
**14:00** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. 15 კმ. ქალები. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
**15:45** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. რბოლა. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
**17:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. HS106. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
**05:00** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. ფილიპ აილენდი. ავსტრალია (LIVE).
**06:15** სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფილიპ აილენდი. ავსტრალია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**12:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
**13:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სწრაფდაშვება. არე. შვედეთი (LIVE).
**17:00** ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. სპრინტი. კაცები. რიდნაუნი. იტალია (LIVE).
**19:00** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კაცები. XXI ტური (LIVE).
**23:30** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XIII ტური. კასტელანა-პერუჯა (LIVE).

**27 თებერვალი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**15:30** იტალიის ჩემპიონატი. კატანია-ჯენოა (LIVE).
**17:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-აიაქსი (LIVE).
**20:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ტულუზა (LIVE).
**23:45** იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ინტერი (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**15:25** იტალიის ჩემპიონატი. კატანია-ჯენოა (LIVE).
**17:55** იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-უდინეზე (LIVE).
**19:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ერკულესი-ხეტაფე (LIVE).
**21:55** ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ვილიარეალი (LIVE).
**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ვალენსია (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**11:55** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
**13:25** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერგიგანტი. არე. შვედეთი (LIVE).
**15:55** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
**17:25** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ტვენტე (LIVE).
**19:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი (LIVE).
**22:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ტამპა ბეი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**17:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-პარმა (LIVE).
**20:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ლევერკუზენი (LIVE).
**23:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ინტერი (LIVE).

**HTB-პლუსი (კლასიკა)**

**18:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-შტუტგარტი (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტა. სტ. პაული-პალმეირასი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**04:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-მემფისი (LIVE).

**SPORT+**

**17:25** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-აიაქსი (LIVE).
**19:55** ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. ფინალი. არსენალი-ბირმინგემი (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლიონი (LIVE).

**EUROSPORT**

**08:30** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ფილიპ აილენდი. ავსტრალია (LIVE).
**12:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
**13:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერგიგანტი. არე. შვედეთი (LIVE).
**14:45** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. 30 კმ. კაცები. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
**17:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. გუნდური. HS106. ოსლო. ნორვეგია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:00** ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. რიდნაუნი. იტალია (LIVE).
**16:00** ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. რიდნაუნი. იტალია (LIVE).

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი–დალასი 1:4**

**0:2, 0:1, 1:1**

**გოლები:** 0:1 რიბეირო-12 (მოროუ-16, ბენი-21), 0:2 ლ. ერიქსონი-20 (ფისტრიჩი-2), 0:3 ბერჩი-2 (ჯეისონ უილიამსი-2), 1:3 ჰოლმსტრიომი-13 (დაციუკი-32), 1:4 ლანგენბრუნერი-7 (ოტი-13, გოლიგოსკი-23).

**ფილადელფია–აილენდერსი 4:3 (ო)**

**0:1, 2:0, 1:2, 1:0**

**გოლები:** 0:1 ნილსენი-8 (ჰილენი-11, მონტოია-1), 1:1 მ. რიჩარდსი-19 (ჰარტნელი-21), 2:1 ვან რიმსდიკი-15 (ყირუ-35, ჯ. კარტერი-27), 3:1 ჯ. კარტერი-28 (ყირუ-36, ო'დონელი-12), 3:2 მ. მარტინი-3 (ჰეილი-1, კატიჩი-1), 3:3 მ. მარტინი-4 (ჰამონიკი-16, ენდრიუ მაკდონალდი-20), 4:3 მეზაროში-5 (ლეინო-28, მ. კარლი-26).

**მონრეალი–ტორონტო 4:5**

**1:3, 2:1, 1:1**

**გოლები:** 1:0 ჰალპერნი-10 (ჰამრლიკი-23, პლეკანეცი-28), 1:1 კესელი-24 (ფანოფი-14, ბოჟაკი-13), 1:2 კესელი-25, 1:3 ლებდა-1 (კ. არმსტრონგი-13, შენი-12), 2:3 კამალერი-14 (ა. კოსტიცინი-17, სუბანი-20), 3:3 ვიშნიევსკი-6 (ჯონტა-11, ჰამრლიკი-24), 3:4 ბოჟაკი-9 (კესელი-18, ბრენტი-6), 3:5 ბოჟაკი-10 (კესელი-19, ლებდა-2), 4:5 პასიორეტი-11 (ჰალპერნი-13, კამალერი-19).

**ნეშვილი–ჩიკაგო 0:3**

**0:1, 0:0, 0:2**

**გოლები:** 0:1 კოპეცკი-11 (შარპი-24, ტეუვზი-36), 0:2 მარიან ჰოსა-14, 0:3 შარპი-32.

**ვანკუვერი–სტ. ლუისი 3:2**

**2:0, 0:2, 1:0**

**გოლები:** 1:0 სამუელსონი-18 (ჰ. სედინი-59, დ. სედინი-47), 2:0 სალო-1 (გლესი-7, ორეშკოვიჩი-1), 2:1 პიეტრანჯელო-8 (ენდი მაკდონალდი-17, სობოტკა-18), 2:2 ბეკსი-23 (კ. სტიუარტი-18, შატენკირკი-22), 3:2 მალორტა-8 (ჰანსენი-13).

**ლოს ანჯელესი–მინესოტა 4:2**

**1:0, 1:2, 2:0**

**გოლები:** 1:0 სიმონდსი-10 (ჯ. ჯონსონი-35, დ. ბრაუნი-22), 1:1 ნისტრიომი-3 (ჰავლატი-33, ბერნსი-22), 2:1 სიმონდსი-11 (კოპიტარი-39, შტურმი-5), 2:2 ბერნსი-15 (კულენი-24), 3:2 დაუტი-9 (დ. ბრაუნი-23, რ. სმიტი-18), 4:2 კოპიტარი-19 (ჰანძუში-16).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# კაროლინ ჯერარდი

დუბაისა და დოჰას ტურნირებზე მეოთხედფინალური ეტაპის მატჩები ჩატარდა. მამაკაცთა შორის საუკეთესო ოთხეულში მოხვდნენ პირველ სამ ნომრად განთესილი ჩოგბურთელები - **როჯერ ფედერერი, ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **ტომაშ ბერდიხი**. მათ ორი სეტში დამაჯერებლად მოიგეს საკუთარი მატჩები.

ჯოკოვიჩი მთელი სეტი ეძებდა გასაღებს **ფლორიან მაიერის** წინააღმდეგ. პირველ პარტიაში გერმანელი 5:4-ზე სეტზე აწვდიდა და სწორედ ამ კრიტიკული მომენტიდან მოყოლებული აჩვენა სერბმა თავისი საფირმო თამაში - ჯოკოვიჩმა მომდევნო 10 გეიმიდან ცხრა მოიგო და 7:5, 6:1 გაიმარჯვა.

ტომაშ ბერდიხმა გერმანიის მეორე წარმომადგენელი - **ფილიპ პეტცშნერი** დაამარცხა. პირველი სეტის სტარტზე მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, რის შემდეგაც ყველაფერი ტაი-ბრეიკისკენ მიდიოდა, როცა 5:5-ზე ჩეხმა ისევ აიღო გეიმი მეტოქის მოწოდებაზე. პირველ სეტში მეტოქეებს ჯამში 15 ბრეიკ-პოინტი დაუგროვდათ, მაგრამ მეორე სეტში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ბერდიხმა მხოლოდ ერთადერთი ბრეიკ-პოინტი მიიღო, რომელიც გამოიყენა და მეორე სეტი 6:4 მოიგო.

უკრაინელი **სერგეი სტახოვსკი** კარიერაში პირველად ხვდებოდა როჯერ ფედერერს და შეეცადა თამაშის ხარისხში არ ჩამორჩენოდა მეტოქეს. ფედერერი აჰყვა თამაშის ასეთ წესებს და ორივე ჩოგბურთელი სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს მახვილგონივრული კომბინაციებით. თუმცა უკრაინელი მუდმივად მდევრის როლში იყო და როცა მეტოქეს ეწეოდა, როჯერი მაშინვე თამაშს უმატებდა და საბოლოოდ, შვეიცარიელმა ორ სეტში - 6:3, 6:4 მოიგო.

მეოთხე მეოთხედფინალი ფრანგული დერბი იყო. ერთ დროს საუკეთესო ათეულის წევრებმა - **რიშარ გასკემ** და **ჟილ სიმონმა** ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ გამოავლინეს საუკეთესო - 5:7. 6:2, 6:4 გასკემ მოიგო და ფედერერზე გავიდა.

■ ■ ■

დოჰას ნახევარფინალისტებშიც არის ერთი ფრანგი - **მარიონ ბარტოლი**, რომელიც უპრობლემოდ გაუსწორდა წინა დღის სენსაციის ავტორ **შუაი პენგს** - 6:2, 6:2. ბარტოლი კარგ ფორმაში შეხდა ტურნირს ყატარის დედაქალაქში, რაზეც წინა წრეებში **ალისა კლეიბანოვასა** და **შაარ პეერის** იოლად ძლევამაც დაადასტურა. ამას თავად ფრანგიც გრძნობს, რომელმაც მატჩის შემდეგ თამამი განცხადება გააკეთა - თუ ასე გავაგრძელე, WTA-ის რეიტინგის საუკეთესო სამეულში შევალო.

ბარტოლიზე უკეთეს ფორმაში იმყოფება დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**. ბოლო ორ კვირაში ის ზედიზედ მეორე ტიტულს უმიზნებს. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ზედიზედ ორი გეიმის წაგებით დაიწყო მატჩი იტალიელ **ფლავია პენეტასთან**, მაგრამ 0:2-დან მოყოლებული მიჯრით 12 გეიმი აიღო და ნახევარფინალის საგზური გაინაღდა. ვოზნიაცკიმ არამარტო კარგი თამაშით დაგვამახსოვრა თავი. საყოველთაო განხილვის საგნად იქცა მისი მაისურა მატჩის წინ მოთელვის დროს: „კაროს" საფეხურთო კლუბ „ლივერპულის" კაპიტნის **სტივენ ჯერარდის** ფორმა ეცვა. *„მე ამ გუნდის დიდი გულშემატკივარი ვარ"*, - ასე ახსნა თავისი საქციელი ვოზნიაცკიმ.

დღის მთავარი მატჩი რუს **ვერა ზვონარევასა** და სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვას** შორის გაიმართა. ზვონარევამ სულ ცოტა ხნის წინ წააგო პატაიას ტურნირის ნახევარფინალი დანიელასთან და ახლა რევანშისთვის იყო განწყობილი. მაგრამ რუსს გაუჭირდა ამ ამოცანის შესრულება. პირველ სეტში ყველაფერი ტაი-ბრეიკისკენ მიდიოდა, როცა 5:5-ზე სლოვაკმა ნულზე წააგო თავისი გეიმი და შემდეგ პარტიაც.

მეორე სეტში ჰანტუხოვა მუდმივად წინ იყო - 3:0, 4:1, 5:2, მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, თუმცა იქ მაინც შეძლო სეტებს შორის ანგარიშის გათანაბრება. ამ პარტიაში ზვონარევამ ოთხი სეტბოლი გადაარჩინა.

მესამე სეტშიც დიდი ხანი ინიციატივა სლოვაკის მხარეს იყო. მან სტარტზე ბრეიკი გააკეთა და ზვონარევა დიდი ხანი ვერ ახერხებდა დაკარგული მოწოდების დაბრუნებას. სლოვაკმა 5:4-ზე მატჩზე ჩაწოდების უფლება მიილო და სწორედ ამ მნიშვნელოავანი მომენტისას მოდუნდა - ზვონარევამ ანგარიში გაათანაბრა, თავისი გეიმიც აიღო, 6:5-ზე კი პირველივე მატჩბოლი გამოიყენა და სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ ნახევარფინალში გააღწია.

**ATP**

**Dubai Tennis Championships**

დუბაი (საემიროები). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 619 500 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 3)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 7:5, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ფლორიან მაიერი (გერ) 7:5, 6:1; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:3, 6:4; **რიშარ გასკე (საფ)**-ჟილ სიმონი (საფ) 5:7, 6:2, 6:4.

**1/2 ფინალი**

ფედერერი (1)-გასკე; ბერდიხი (3)-ჯოკოვიჩი (2).

**Abierto Mexicano Telcel**

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 995 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 3)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 7:6, 5:7, 6:4; **ტომაშ ბელუჩი (ბრა)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 6:7(5), 6:3, 6:4; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 6)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 4) 6:4, 7:6(6); **დავიდ ფერერი (ესპ, 1)**-ხუან მონაკო (არგ, 7) 2:6, 7:5, 6:2.

**1/2 ფინალი**

ფერერი (1)-დოლგოპოლოვი (6); ალმაგრო (3)-ბელუჩი.

**International Tennis Championships**

დელრეი ბიჩი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 442 5000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ალეხანდრო ფალა (კოლ)**-ადრიან მანარინო (საფ, 8) 6:3, 6:2; **მარდი ფიში (აშშ, 2)**-რიკარდო მელო (ბრა) 6:2, 6:1; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-ფლორან სერა (საფ) 6:1, 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:1, 6:1.

**1/4 ფინალი**

დოდიგი-ტიპსარევიჩი (სერ, 6); სვიტინგი-ნიშიკორი; ანდერსონი-დელ პოტრო; ფიში (2)-ფალა.

**WTA**

**Qatar Ladies Open**

დოჰა (კატარი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 721 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**მარიონ ბარტოლი (საფ)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:2, 6:2; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:2, 6:0; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 7:5, 6:7, 7:5; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:2, 6:4.

**1/2 ფინალი**

ვოზნიაცკი (1)-ბარტოლი; იანკოვიჩი (5)-ზვონარევა (2).

**Abierto Mexicano Telcel**

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 7) 6:2, 2:2 სუარესის უარი; **ხისელა დულკო (არგ)**-ლაურა პოუს ტიო (ესპ) 3:6, 7:5, 6:0; **იუჰანა ლარსონი (შვედ)**-გრეტა არნი (უნგ, 3) 6:1, 4:6, 6:2; **არანჩა პარა-სანტონხა (ესპ, 6)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 2:6, 6:3, 6:2.

**1/2 ფინალი**

მედინა გარიგესი-დულკო; ლარსონი-პარა-სანტონხა (6).



კაროლინ ვოზნიაცკი

# ფედერერის შავი სია

მსოფლიოს მეორე ჩოგან **როჯერ ფედერერს** სპორტის ბევრი სახეობა უყვარს, მაგრამ საკუთარ თავს მხოლოდ მაგიდის ჩოგბურთის თამაშის უფლებას აძლევს. ამის მიზეზი ტრავმის მიღების შიშია. ფედერერი ამჟამად დუბაის ტურნირზე თამაშობს და მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ ჟურნალისტებს მოუყვა, რომ მის „შავ სიაში" შესულია სპორტის შემდეგი სახეობები - თხილამურებით სირბილი, მთის თხილამურები, ფეხბურთი, სქვოში.. ასევე „აკრძალულთა" რიცხვში მოხვდა თითქოსდა ისეთი უხიფათო სახეობები, როგორიცაა სპორტული სიარული და გოლფი.

*„სიმართლე გითხრათ, მართლაც ვცდილობ თავი შორს დავიჭირო სათხილამურო სპორტისგან. ბოლოს თხილამურებზე 2008 წელს ვიდექი. იმ პერიოდში მონონუკლეოზის დაავადება მქონდა. ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ისევ მთას მივაშურე და ავად გავხდი. ასე რომ, ეს გარკვეული ნიშანი იყო ჩემთვის. ახლა ახლოსაც არ ვეკარები თხილამურებს.*

*ვცდილობ, ფეხბურთი არ ვითამაშო. მახსოვს, ამ მიზეზით ერთხელ უიმბლდონის დროს საზარდულის ტრავმა მივიღე. მაშინ მაინც გავემგზავრე გშტაადის ტურნირზე (2001). იქ მარატ საფინთან ერთად ტიტული მოვიგე. პარალელურად მთელი კვირა ფეხურთს ვთამაშობდით და ბოლო საერთოდ ფეხზე დგომა არ შემეძლო. ეს დიდი სისულელე იყო ჩემი მხრიდან. ყველაფერი შესანიშნავად იყო, კარგად გავერთე, მაგრამ მომდევნო დღეს ზურგი მტკიოდა"*, - ჰყვება „დიდი სლემის" ტურნირების 16-გზის ჩემპიონი.

ფედერერის აზრით, გოლფის თამაშიც უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმზე: *„გასულ კვირას დუბაიში, Emirates Golf Course-ზე გოლფს ვთამაშობდი ჩემს მშობლებთან ერთად. თან დედაჩემის დაბადების დღე იყო. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თამაშიც გამომივიდა, მაგრამ მეორე დღეს ზურგი ამტკივდა.*

*საკუთარ თავს ერთ რამეში გამოვუტყდი: არ უნდა ითამაშო სხვა რამ, სანამ პროფესიულ დონეზე გამოდიხარ ჩოგბურთში. კიდევ ექვსი წელი მომიწევს მოცდა, სანამ ნორმალურად დავიწყებ სპორტის სხვა სახეობით გართობას. სამწუხაროდ, პარალელურად მხოლოდ მაგიდის ჩოგბურთის თამაში შემიძლია".*


როჯერ ფედერერი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# უილიამსის ახალი ფერები

ფორმულა 1-ის ბრიტანულმა საჯინიბომ „უილიამსმა" ახალი ბოლიდის ტექნიკური პრეზენტაცია ჩაატარა. FW33-ს უკვე ჰქონდა დებიუტი სატესტო სერიებისას, მაგრამ მაშინ ნეიტრალურ ფერებში იყო გადაწყვეტილი. საქმე ისაა, რომ გუნდი აგრძელებდა მოლაპარაკებებს პოტენციურ სპონსორებთან, ამიტომაც თავისი ბოლიდის საბოლოო შეფერილობის წარდგენა ბოლო მომენტისთვის გადადო.

გასული სეზონის ბოლოს „უილიამსი" ბევრმა სპონსორმა დატოვა, რომლებსაც კონტრაქტი დაუმთავრდათ. ამ პრეზენტაციაზე ბევრი ელოდა სიურპრიზს, მაგრამ FW33-ზე მხოლოდ სანავთობო კომპანია Petroleos de Venezuela (PDVSA)-ის ლოგოა განთავსებული. სწორედ ეს კომპანია აფინანსებს გუნდის ერთ-ერთ საპრიზო პილოტს - ვენესუელელ **პასტორ მალდონადოს**. PDVSA-თან კონტრაქტი ჯერ კიდევ 2010 წლის დეკემბერში იყო დადასტურებული. ახალ ბოლიდზე ბევრი სარეკლამო ადგილი თავისუფალია.

